

საერთაშორისო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში N13

მონიტორინგის პერიოდი: მარტი 2018 - თებერვალი 2019



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საერთაშორისო
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

თბილისი 2019

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის ანგარიში №13

(თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და
თელავის სასამართლოებში)

მონიტორინგის პერიოდი: მარტი 2018 - თებერვალი 2019

მონიტორინგის პროექტის განხორციელება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საპროტექტოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

ავტორთა მიერ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და ამერიკის მთავრობის პოზიციას.

საია მადლობას უხდის საქართველოს სასამართლო ხელისუფლებას სასამართლო მონიტორინგის პროექტის განხორციელების ხელშეწყობისათვის.

ავტორი: მერაბ ქართველიშვილი

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: სულხან სალაძე

**ანგარიშის მომზადებისა და თამარ ბოჭორიშვილი
მონიტორინგის განხორციელების ბიძა თაკა ლანძა
პროცესში მონაწილეობა მიიღეს ხატია ხარატიშვილი
საიას მონიტორებმა: ფატიმა ჩაფიჩაძე
მთვარისა შველიძე
შალვა ჯავახიშვილი
გვანცა კახიძე
გიორგი ეუაშვილი**

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ.15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2019, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

ს ა რ ჩ ე ვ ი

მოკლე მიმოხილვა	7
მეთოდოლოგია	9
მიზნობები	11
I. პირველი წარდგენის სხდომაზე გამოვლენილი თანდენციები – ზოგადი მიმოხილვა	20
კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	20
სხდომების ანალიზი	21
აღკვეთის ღონისძიებები ქალაქების/რაიონების მიხედვით	23
სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის ხანგრძლივობა	24
პროკურატურის მიდგომები	27
სასამართლოს მიდგომები	28
დაცვის მხარის პოზიცია	29
II. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება	31
კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	31
სასამართლო სხდომების ანალიზი	32
III. აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება	38
კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	38
სასამართლო სხდომების ანალიზი	39
პირადი თავდებობა	46
გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება	47
IV. აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის შესახებ სასამართლო სხდომები	49

კანონმდებლობის ანალიზი	49
სასამართლო სხდომების ანალიზი	49
V. დაკავების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება	52
კანონმდებლობის მიმოხილვა	52
სასამართლო სხდომების ანალიზი	52
VI. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტები სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან	55
შესავალი	55
სასამართლო სხდომების ანალიზი	56
VII. წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებაულებათა დასაშვებობა	57
შესავალი	57
სასამართლო სხდომების ანალიზი	57
გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება და სასამართლო კონტროლი	60
შესავალი	60
სასამართლო სხდომების ანალიზი	60
VIII. სამართალწარმოება საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით	63
შესავალი	63
სასამართლო სხდომების ანალიზი	64
კანონით გათვალისწინებული უფლებების განმარტება, პროცესის ხანგრძლივობა	64
მონიტორინგის შედეგები	65
სასამართლოს მიდგომები სასჯელის სამართლიანობისა და კანონიერების შემოწმებასთან დაკავშირებით	67

მონიტორინგის შედეგები	68
საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული სასჯელები	69
დამარალეულის ინტერესების გათვალისწინება სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით	74
მონიტორინგის შედეგები	74
სატრანსპორტო დანაშაული	75
ადვოკატის მონაწილეობა საპროცესო შეთანხმების სასამართლო განხილვის პროცესში	75
მონიტორინგის შედეგები	76

IX. საქმის არსებითი განხილვის დროს

გამოვლენილი ტენდენციები	77
სასამართლო სხდომების გაჭიანურების პრობლემა	77
შესავალი	77
პროცესის გადადება	78
სხდომების დაგვიანებით დაწყება	82
მხარეთა შეჭიბრებითობასა და თანასწორობაში ჩარევა	83
შესავალი	83
სასამართლო სხდომების ანალიზი	84
განაჩენები	85

X. ოჯახური დანაშაულების საქმეებზე დაკვირვების

შედეგად გამოვლენილი ტენდენციები	87
ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის შემთხვევებში აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება	87
კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	87
სხდომების ანალიზი	87
ტენდენციები ოჯახურ დანაშაულებზე, ქალაქების მიხედვით	91

საპროცესო შეთანხმების შედეგად შეფარდებული სასჯელები ოჯახური დანაშაულისთვის	92
არსებითი განხილვის შედეგად სასამართლოს მიერ გამოყენებული სასჯელები ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე	92
დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა	95
XI. ნარკოტიკული დანაშაულის საქმეებზე დაპირების შედეგად გამოვლენილი ტენდენციები	97
აღკვეთის ღონისძიებები ნარკოტიკულ დანაშაულებზე	97
კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა	97
სხდომების მოკლე მიმოხილვა	99
საპროცესო შეთანხმების სხდომებზე გამოყენებული სასჯელები ნარკოტიკული დანაშაულებისთვის	105
საქმის არსებითი განხილვით გამოტანილი სასჯელები	107
XII. შიშვესოციალური ფონით განპირობებული დანაშაულები	108
აღკვეთის ღონისძიების სხდომებზე გამოვლენილი ტენდენციები ...	108
საპროცესო შეთანხმების დადებისას გამოვლენილი ტენდენციები	111
XIII. მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული სხვა საკითხები	113
თარჯიმნის ყოლის უფლება	113
გამოვლენილი ტენდენციები	113
საჯარო განხილვის უფლება	114
გამოვლენილი ტენდენციები	114
ბრალდებულის მიმართ ვიზუალურად დამამცირებელი ღონისძიების გამოყენება	115
დასკვნა და რეკომენდაციები	117

მოკლე მიმოხილვა

ანგარიშის მიზანია, სისხლის სამართლის სასამართლო პროცესებზე დასწრებითა და გამოვლენილი შემთხვევების ანალიზის შედეგად, პრაქტიკული და საკანონმდებლო ხარვეზების, ასევე, დადებითი ტენდენციების იდენტიფიცირება. ანგარიში ასახავს სისხლის სამართალწარმოების საკითხებს 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის პერიოდში, ასევე, ძირითად ტენდენციებს მონიტორინგის დაწყებიდან დღემდე.

პრობლემა, რომელსაც წლებია ავლენს მონიტორინგი, არის მოსამართლის ფორმალური ან არასაკმარისი როლი ადამიანის უფლებების დაცვაზე სასამართლო კონტროლის განხორციელებისას. მათ შორის:

- ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე მოსამართლეები თავს არიდებენ დაკავების კანონიერების განხილვასა და შეფასებას. აღნიშნული განპირობებულია როგორც პრაქტიკის, ისე კანონმდებლობის ნაკლოვანებით. აუცილებელია დაკავების განხილვის მექანიზმის და პროცედურის სათანადოდ მოწესრიგება კანონმდებლობით, რათა განისაზღვროს მოსამართლის ვალდებულება, პირველი წარდგენის სხდომაზე შეამოწმოს დაკავების კანონიერება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, დაკავებული პირი არამართლზომიერად დარჩეს პატიმრობაში ან მის მიმართ გამოყენებული იყოს ზედმეტად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.
- სასამართლო მონიტორინგმა აჩვენა, რომ მოსამართლე ნაკლები გულმოდგინებით ეკიდება პატიმრობის პერიოდული გადასინჯვის საკითხს და თითქმის ყველა შემთხვევაში უცვლელად ტოვებს პატიმრობას, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე არ ასაბუთებს პატიმრობის ვადის გაგრძელების აუცილებლობას.
- ფორმალურია საპროცესო შეთანხმებისას სასამართლოს მიერ სასჯელის სამართლიანობისა და კანონიერების შემოწმება. აუცილებელია, სასამართლოებმა მეტი გულმოდგინება გამოიჩინონ ამ საკითხთან დაკავშირებით და დააფიქსირონ, ეთანხმებიან თუ არა დანაშაულის კვალიფიკაციას და სასჯელს.
- თითქმის ყოველთვის პროკურატურა გადაუდებელი აუცილებლობის წესით ატარებს ჩხრეკას და ამოღებას, რომელსაც სა-

სამართლო თითქმის ყველა შემთხვევაში კანონიერად ცნობს. კანონმდებლობით მკაცრად განწერილი საგამონაკლისო წესი პრაქტიკაში ხშირი გამოყენების ნორმა გახდა.

- საია წლების განმავლობაში პრობლემად ასახელებდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოსამართლის როლს საგარეუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით. კანონში მკვეთრად არ იყო განწერილი, თუ რა როლი ჰქონდა მოსამართლეს ასეთ ფაქტებზე რეაგირების კუთხით. საია დადებითად აფასებს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვით, მოსამართლეს განესაზღვრა უფლებამოსილება, ასეთ შემთხვევაში მიმართოს კონკრეტულ საგამომძიებო ორგანოს. თუმცა, გაუგებარია, რატომ არ მოხდა აღნიშნული ნორმის ამოქმედება 2019 წლის 1-ლი იანვრიდან და რატომ გადაიდო ის 2019 წლის 1-ლ ივლისამდე.

საანგარიშო პერიოდში კვლავ ძალიან მაღალი იყო ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიებების – პატიმრობისა და გირაოს გამოყენების მაჩვენებელი, ხოლო პრაქტიკაში ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიებები ფაქტობრივად არ გამოიყენებოდა. ასევე, მხოლოდ იშვიათ და საგამონაკლისო შემთხვევებში ხდებოდა ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვება. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული გამოწვეული იყო აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების დაუსაბუთებლობით. ზოგჯერ, კანონმდებლობის ნაკლოვანების გამო, სასამართლოს უწევდა მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, რაც განპირობებული იყო ალტერნატიული ღონისძიებების არასაკმარისი რაოდენობით და მათ გამოყენებაზე არსებული საკანონმდებლო შეზღუდვებით. შედეგად, ბრალდებულის მიმართ ხდებოდა უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება მაშინ, როდესაც ამის საჭიროება არ არსებობდა.

წლების განმავლობაში პრობლემატურ საკითხად რჩება სასამართლო სხდომების გაჭიანურების საკითხი, რაც ზიანს აყენებს სასამართლო სისტემის რეპუტაციას, მართლმსაჯულების ეფექტიანობას, მის მიმართ ნდობას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით, საქმის არსებითი განხილვისა და გადანყვეტილების გამოტანისთვის განწერილია 24-თვიანი ვადა. მონიტორინგმა აჩვენა, რომ არის საქმეები, სადაც გასულია სასამართლოში საქმის განხილვის კანონით გათვალისწინებული ვადები. საუბარი მხარეებისა ან მოსამართლისგან იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ვადის გასვლა ცალკეულ შემთხვევებ-

ში განპირობებულია ობიექტური გარემოებებით, ამრს მოკლებულია, ვინაიდან კანონმდებელმა საქმის განხილვის მაქსიმალურ ვადად განსაზღვრა 24 თვე, რომელშიც გაითვალისწინა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური გარემოებები, სასამართლო სხდომების გაჭიანურების ჩათვლით.

საია იმედს გამოთქვამს, რომ წინამდებარე ანგარიშში მოცემული მიგნებები და რეკომენდაციები გამოყენებული იქნება სასამართლო პრაქტიკის, პროკურატურის და დაცვის მხარის მიდგომებისა და კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად.

მეთოდოლოგია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია) სასამართლოს მონიტორინგის პროექტს 2011 წლის ოქტომბრიდან ახორციელებს. პროექტი თავდაპირველად თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში განხორციელდა. 2012 წლის პირველი დეკემბრიდან საიამ გააფართოვა მონიტორინგის ფარგლები და მასში ქუთაისის საქალაქო სასამართლოც ჩაერთო. 2014 წლის მარტში მონიტორინგი ბათუმის საქალაქო სასამართლოშიც დაიწყო, ხოლო 2016 წლის სექტემბრიდან მას თელავისა და გორის სასამართლოებიც დაემატა. ხუთივე ქალაქში მონიტორინგის იდენტური მეთოდებია გამოყენებული.

დღემდე, საიამ მონიტორინგის 12 ანგარიში მოამზადა, რომელიც მოიცავს 2011 წლის ოქტომბრიდან 2018 წლის მარტამდე დაფიქსირებულ ტენდენციებს. ამჟერად წარმოგიდგენთ საიას სასამართლო პროცესების მონიტორინგის №13 ანგარიშს, რომელიც მოიცავს მონაცემებს 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით. წინამდებარე ანგარიშში მოცემული ყველა ინფორმაცია მიღებულია სხდომებზე დასწრებისა და მათზე დაკვირვების შედეგად. საიას დამკვირვებლები არ ესაუბრებოდნენ მხარეებს და არ განიხილავდნენ საქმის მასალებს ან შემაჯამებელ გადაწყვეტილებებს.

გასული მონიტორინგების მსგავსად, საიას დამკვირვებლები იყენებდნენ კითხვარებს, რომლებიც უშუალოდ მონიტორინგისთვის მომზადდა. მონიტორების მიერ მოპოვებული ინფორმაცია და სასამართლოს საქმიანობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კონსტიტუციასა და მოქმედ შიდა კანონმდებლო-

ბასთან შეფასდა საიას ანალიტიკოსისა და იურისტების მიერ. კითხვარები მოიცავდა როგორც „დახურულ“ კითხვებს, რომლებზე პასუხიც შეიძლებოდა ყოფილიყო „კი“ ან „არა“, ასევე „ღია“ კითხვებს, რომლებიც მონიტორებს საშუალებას აძლევდა, გრცლად აეხსნათ და დაეფიქსირებინათ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ამასთან, წინა საანგარიშო პერიოდების მსგავსად, საიას მონიტორები, გარკვეულ შემთხვევებში, აწარმოებდნენ ჩანაწერებს სასამართლო განხილვებისა და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შუამდგომლობების შესახებ, რაც უფრო მეტ სიცხადესა და კონტექსტს ანიჭებდა მათ მუშაობას. ამ პროცედურის საშუალებით, მონიტორებმა მოახერხეს ობიექტური, გამომავალი მონაცემების შეგროვება და, იმავდროულად, სხვა მნიშვნელოვანი ფაქტების იდენტიფიცირება.

ანგარიშში არ არის განხილული და დამუშავებული სასამართლოებში მიმდინარე ყველა პროცესი თუ სხდომა, თუმცა, წარმოდგენილი ინფორმაცია მნიშვნელოვან და საყურადღებო მონაცემებს შეიცავს როგორც სასამართლო სისტემის, პროკურატურისა და ადვოკატთა ასოციაციის წევრებისთვის, ისე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. აგრეთვე, სასამართლო მონიტორინგის მიღმაა საქმის ფაქტობრივი გარემოებების, სხდომის მონაწილეთა მიერ გაკეთებული განცხადებებისა და საქმის მასალების შინაარსის შესწავლა. კერძოდ, საიას არ გაუკეთებია ანალიზი იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხებოდა კონკრეტულ დანაშაულთან დაკავშირებულ გარემოებებს და განსაზღვრავდა პირის ბრალეულობასა თუ უდანაშაულობას.

სისხლის სამართლის საქმის წარმოების ხანგრძლივობისა და სხვადასხვა ეტაპის გათვალისწინებით, საიას დამკვირვებლები, როგორც წესი, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით ესწრებოდნენ ინდივიდუალურ სასამართლო პროცესებს და არა – საქმის განხილვის ყველა სხდომას. თუმცა, იყო რამდენიმე გამონაკლისი:

- ე.წ. „გახმაურებული“ საქმეები, რომლებშიც ბრალდებულები ყოფილი პოლიტიკური თანამდებობის პირები იყვნენ;
- აგრეთვე, საია აკვირდებოდა საქმეებს, რომლებიც შეირჩა უფლებათა უხეში დარღვევების, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის ან სხვა განსაკუთრებული ფაქტორის გათვალისწინებით.

2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით საიამ 2754 სასამართლო სხდომის მონიტორინგი განახორციელა. მათ შორისაა:

- 594 – პირველი წარდგენის სხდომა
- 500 – საპროცესო შეთანხმების სხდომა
- 433 – წინასასამართლო სხდომა
- 1202 – არსებითი განხილვის სხდომა
- 25 – საქმის არსებითი განხილვა სააპელაციო სასამართლოში

ძირითადი მიგნებები

აღკვეთის ღონისძიებები:

- ბოლო სამი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში იზრდება ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების – პატიმრობისა და გირაოს გამოყენების მაჩვენებელი. ამ საანგარიშო პერიოდში 653 ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლომ ბრალდებულს შეუფარდა აღკვეთის ღონისძიება, საიდანაც 643 (98%) შემთხვევაში გამოიყენა გირაო ან პატიმრობა. სასამართლოების მხრიდან ფაქტობრივად არ ხდება ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება;
- გორის და ბათუმის სასამართლოებმა მხოლოდ თითო შემთხვევაში გამოიყენეს შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. თელავის სასამართლომ სამ, ხოლო ქუთაისის სასამართლომ ორ შემთხვევაში გამოიყენა აღკვეთის იგივე ღონისძიებები. მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოიყენა პირადი თავდებობა 3 შემთხვევაში, თუმცა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ არცერთ შემთხვევაში გამოიყენებული არ ყოფილა;
- კვლავ პრობლემაა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობისა და გირაოს დაუსაბუთებლად გამოყენება. პატიმრობის დაუსაბუთებლად გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა. კერძოდ, 322 შეფარდებული პატიმრობიდან 49 (15%) იყო დაუსაბუთებელი ან/და არ იყო გამოყენებული, როგორც უკიდურესი საშუალება, კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად. მცირედით შემცირდა გირაოს დაუსაბუთებლად გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი – 321 გამოყენებული გირაოს შემთხვევაში 91 (28%) იყო დაუსაბუთებელი;

- დაუსაბუთებელი გირაოს გამოყენების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (36%) ფიქსირდება ქუთაისში. სხვა ქალაქებში შემდეგი მონაცემებია: გორი და თელავი – 31%, ბათუმი – 30%, ხოლო თბილისი – 25%. დაუსაბუთებელი პატიმრობის გამოყენების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი დაფიქსირდა თელავსა და ბათუმში – 19%. სხვა ქალაქებში: თბილისი – 14%, ქუთაისი – 15%, გორი – 17%;
- ამ საანგარიშო პერიოდში პირველი წარდგენის სხდომაზე 668 ბრალდებულისა და 452 (68%) სასამართლოში გამოცხადდა დაკავებულის სტატუსით, რაც წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით 12 პროცენტული ერთეულით მეტია;
- წარდგენილი 668 ბრალდებულისა და პროკურატურა პატიმრობას ითხოვდა 399 (60%) შემთხვევაში, მაშინ, როცა წინა საანგარიშო პერიოდში პატიმრობის მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელი 45%-ს არ აღემატებოდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ 182 საქმეზე, რომელიც ოჯახურ დანაშაულებს ეხებოდა, 163 (90%) შემთხვევაში პროკურატურა პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა;
- სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობები პატიმრობის ნაწილში შემთხვევათა 81%-ში დააკმაყოფილა. ბოლო სამი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოიკვეთა სასამართლოს მხრიდან პატიმრობის შუამდგომლობის დაკმაყოფილების ზრდის ტენდენცია. წინა საანგარიშო პერიოდში პროკურატურის შუამდგომლობა პატიმრობის თაობაზე მოსამართლეებმა დააკმაყოფილეს შემთხვევათა 75%-ში, 2017 წლის საანგარიშო პერიოდში – 72%-ში, ხოლო 2016 წლის საანგარიშო პერიოდში – შემთხვევათა 60%-ში;
- ოჯახური დანაშაულების მონიტორინგის შედეგების გამოკლებით, პროკურატურამ 486 ბრალდებულისა და 236 (49%) შემთხვევაში მოითხოვა პატიმრობა, ხოლო სასამართლომ 217 (92%) შემთხვევაში დააკმაყოფილა პატიმრობის შუამდგომლობა. სასამართლოს მხრიდან პატიმრობის შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი კრიტიკულად მაღალია. 92%-ზე მეტი დაკმაყოფილების მაჩვენებელი დაფიქსირდა მხოლოდ 2011 და 2012 წლებში, როდესაც სასამართლო ყველა (100%) შემთხვევაში აკმაყოფილებდა პროკურატურის შუამდგომლობებს;
- ბრალდებულთა 82%-ის მიმართ გირაოს მოთხოვნის შემთხვევაში ბრალდების მხარეს ყურადღება არ გაუმახვილებია მათ მატერია-

ლურ შესაძლებლობებზე და არც სათანადო დასაბუთება წარმოდგენია. გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით გამოყენებული იყო 164 შემთხვევაში, აქედან 61 მათგანი (37%) დაუსაბუთებელი ან/და არასაკმარისად დასაბუთებული იყო;

- საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც მოსამართლე შემლუღული იყო, გამოყენებინა გირაოზე ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებიდან ერთ-ერთი. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური და ფაქტობრივი გარემოებები, სასამართლო აწყდება პრობლემას, ვინაიდან ვალდებულია, მიმართოს აღკვეთის ღონისძიების მკაცრ სახეს – გირაოს ან პატიმრობას მაშინაც კი, როდესაც ასეთი მკაცრი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა არ არსებობს.

აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვა:

- საია დაესწრო 190 წინასასამართლო სხდომას, რომელზეც განიხილებოდა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საკითხი. სასამართლომ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა – 182 (96%) შემთხვევაში უცვლელად დატოვა. აქედან 137 (75%) შემთხვევაში სასამართლომ სხდომაზე არასაკმარისად ან საერთოდ არ დაასაბუთა, თუ რატომ იყო აუცილებელი პატიმრობის ძალაში დატოვება;
- პროკურორმა 10 შემთხვევაში იშუამდგომლა, აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით შეცვლილიყო პატიმრობით, იმ მოტივით, რომ ბრალდებულმა თანხის გადახდა ვერ მოახერხა. სასამართლომ 8 შემთხვევაში პროკურორის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

სათანადო სასამართლო კონტროლი:

- კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება დაკავების კანონიერებაზე ჯეროვანი სასამართლო კონტროლის არარსებობა. უმეტესად, სხდომაზე მოსამართლეები არ ამოწმებენ დაკავების კანონიერებას. 452 დაკავებული ბრალდებულიდან უმრავლეს – 376 (83%) შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე საერთოდ არ განხილულა დაკავების კანონიერება.

- კვლავ პრობლემას წარმოადგენს ჩხრეკისა და ამოღების საგამონაკლისო წესით ჩატარების სიხშირე. 172-დან 151 (88%) შემთხვევაში ჩხრეკა და ამოღება ჩატარდა გადაუდებელი აუცილებლობით, ხოლო სასამართლომ დასაშვებად ცნო გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა და ამოღება 150 (99%) შემთხვევაში.
- საია დაესწრო 169 სასამართლო სხდომას, რომელმაც მოწვეული იყო თარჯიმანი. გარდა ამისა, საიამ გამოავლინა 3 შემთხვევა, როდესაც პროცესზე იკვეთებოდა, რომ ბრალდებულს უჭირდა მოსამართლის ნათქვამის გაგება და აშკარად საჭიროებდა თარჯიმნის დახმარებას. ასევე, 4 შემთხვევაში, სასამართლო სხდომაზე ბრალდებული საუბრობდა, რომ თარჯიმანი ვერ ახერხებდა სათანადო თარგმანის უზრუნველყოფას.
- ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომების საჯარო გამოცხადება, როგორც წესი, არ ხდება. ასეთი ინფორმაცია მხოლოდ 123 (21%) შემთხვევაში იყო ცნობილი.

საპროცესო შეთანხმება:

- 500 საპროცესო შეთანხმების განხილვის სხდომიდან 213 (43%) გრძელდებოდა 5 წუთიდან 15 წუთამდე. 26 შემთხვევაში სასამართლო სხდომა მიმდინარეობდა არაუმეტეს 5 წუთის განმავლობაში. ასეთ მცირე დროში შეუძლებელია, სასამართლომ სსსკ-ის XXI თავში მოცემული უფლებები ბრალდებულს სრულყოფილად განუმარტოს, დარწმუნდეს, რომ ბრალდებული თანახმაა საპროცესო შეთანხმებაზე, განიხილოს, რამდენად თანაზომიერია საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელის ზომა/ფორმა და სწორედ ამის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება;
- სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებებზე, უმეტესად, ისე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომ დაზარალებულის პოზიციისა ან მისი ინტერესების შესახებ სასამართლო სხდომაზე პროკურორს არ უსაუბრია;
- პროკურორის მიერ წარდგენილი 535 შუამდგომლობიდან მოსამართლემ 534 საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა და, აქედან, მხოლოდ 11 (2%) შემთხვევაში აღნიშნა, რომ სამართლიანად მიანდა ის სასჯელი, რომელიც ბრალდებულს შეეფარდა;

- მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 43 შემთხვევა, როდესაც სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი წარმოადგინა პროკურორმა;
- საპროცესო შეთანხმების სხდომაზე გამოვლინდა სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნულ ადვოკატებსა და ბრალდებულებს შორის კომუნიკაციის პრობლემა, კერძოდ, 143 შემთხვევიდან გამოიკვეთა 56 (23%) მსგავსი ფაქტი.

არსებითი სხდომა:

- 1202 საქმის არსებითი განხილვის სხდომიდან 477 (40%) სხდომა გახსნისთანავე გადაიღო. ყველაზე ხშირად სასამართლო სხდომები იღება ბრალდების მხარის მოწმეთა წარუდგენლობის მოტივით (195 (32%) პროცესი). მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკების მოტივით გადაიღო 140 (23%) სხდომა;
- 1202 სასამართლო სხდომიდან 361 (30%) შემთხვევაში საქმის განხილვა დაგვიანებით დაიწყო. 46 სასამართლო სხდომის დაწყება საათზე მეტი დროით დაგვიანდა. პროცესის დაგვიანებით დაწყება, როგორც წესი, არ ხდება მსჯელობის საგანი – არც მხარეების და არც მოსამართლის მიერ დაგვიანების თაობაზე შესაბამისი განმარტებები არ კეთდება;
- მონიტორინგმა აჩვენა, რომ სხდომის გვიან დაწყების მიზეზი ხშირად ხდება მოსამართლის დაგვიანება – 134 (37%) სხდომა. მხარეთა დაგვიანება ან/და მხარეთა ყოფნა სხვა პროცესზე დაფიქსირდა 65 (18%) შემთხვევაში. დაგვიანების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად რჩება სასამართლო სხდომის დარბაზში მიმდინარე სხვა საქმის განხილვა – 98 (27%) შემთხვევა;
- 1202 არსებითი განხილვის სხდომიდან 171 (14%) პროცესზე დადგა განაჩენი: 144 (84%) შემთხვევაში – გამამტყუნებელი, 6 (4%) პროცესზე – ნაწილობრივ გამამართლებელი და 21 (12%) შემთხვევაში – გამამართლებელი. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, მკვეთრად არის გაზრდილი გამამართლებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებელი,¹ თუმცა, საყურადღებოა,

¹ წინა საანგარიშო პერიოდში 191 (20%) პროცესზე დადგა განაჩენი: 178 (93%) - გამამტყუნებელი, 3 (2%) - ნაწილობრივ გამამართლებელი, 10 (5%) - გამამართლებელი.

რომ გამამართლებელი განაჩენების სრული უმრავლესობა დგება ოჯახურ დანაშაულებზე.²

ოჯახური დანაშაულები:

- წინა საანგარიშო პერიოდში საია დაესწრო ოჯახური დანაშაულის/ოჯახში ძალადობის 71 ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომას, რაც წარმოადგენდა დამონიტორინგებული პროცესების 17%-ს.³ ამ საანგარიშო პერიოდში კი მონიტორინგი გაუწია 182 სხდომას, რაც წარმოადგენდა პროცესების 30%-ს.⁴ 13 პროცენტული ერთეულით მონაცემების ზრდა მიანიშნებს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ოჯახური დანაშაულების/ოჯახში ძალადობის ფაქტების გამოვლენის მაჩვენებელი გაზრდილია;
- საიას მონიტორინგი სასამართლოებში დაესწრნენ აღკვეთის ღონისძიების 182 სხდომას, რომლებიც ეხებოდა ოჯახში ძალადობას. პროკურატურამ ასეთი ტიპის დანაშაულებზე აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა მოითხოვა 163 (90%) შემთხვევაში, სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა პატიმრობასთან დაკავშირებით დააკმაყოფილა 105 (64%) შემთხვევაში;
- 534 ბრალდებულს გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება. მათგან მხოლოდ 9 (2%) ბრალდებულს, რომელსაც ბრალი ედებოდა ოჯახური დანაშაულის ჩადენაში (სსკ-ს მე-11¹ ან/და სსკ-ის 126¹-ე მუხლები), გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება.⁵ ზემოაღნიშნული მიუთითებს პროკურატურის დამოკიდებულების ცვლილებაზე ამ ტიპის დანაშაულებთან მიმართებით. გასულ წლებში, ხშირ შემთხვევაში, ფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება, ბოლო ორი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კი, პროკურატურა უარს ამბობს საპროცესო შეთანხმების დადებაზე;
- საპროცესო შეთანხმების შედეგად, 5 ბრალდებულს სასჯელის სახედ შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც ნაწილი

² 21 გამამართლებელი განაჩენიდან 16 შეეხებოდა ოჯახურ დანაშაულებს.

³ წინა საანგარიშო პერიოდში საია დაესწრო 402 ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომას.

⁴ საია დაესწრო 594 ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომას.

⁵ წინა საანგარიშო პერიოდში 303 ბრალდებულიდან 19 (6%) ბრალდებულს გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება.

ჩაითვალა პირობით მოსახდელად, 3 ბრალდებულს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაითვალა პირობითად, ხოლო 1 ბრალდებულს – თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაითვალა პირობითად და სამოგადოებისთვის სასარგებლო შრომა;

- ამ საანგარიშო პერიოდში საია დაესწრო ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით 310 არსებითი განხილვის სხდომას, საიდანაც 81 მათგანზე დადგა განაჩენი;
- წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად არის გამრდილი გამამართლებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებელი. 81-დან 16 (20%) შემთხვევაში დადგა გამამართლებელი განაჩენი.⁶ 16 გამამართლებელი განაჩენიდან 14 შემთხვევაში დაზარალებულმა არ მისცა ჩვენება ბრალდებულის წინააღმდეგ და პირი სწორედ ამ მოტივით გამართლდა;
- 65 საქმიდან 11 (17%) შემთხვევაში სასამართლომ ბრალდებულს სასჯელის სახედ შეუფარდა სამოგადოებისთვის სასარგებლო შრომა. პირობითი მსჯავრი და გამოსაცდელი ვადა დაუწესდა 31 (48%) პირს, ხოლო ვადიანი თავისუფლების აღკვეთა – რეალური სასჯელი – დაეკისრა 21 (32%) ბრალდებულს.

დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა:

- ბრალდებულის პირველი წარდგენის 182 სხდომიდან, სადაც დაზარალებული იყო ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი ქალი, 9 (5%) შემთხვევაში პროკურორმა მიუთითა, რომ სახეზე იყო დისკრიმინაციული მოტივი. საიას დამკვირვებლებმა გამოავლინეს კიდევ 8 შემთხვევა, როდესაც პროკურორს შეეძლო მიითითება დანაშაულის დისკრიმინაციულ მოტივზე;
- ამ საანგარიშო პერიოდში საქმის არსებითად განხილვის დროს პროკურორმა 11 შემთხვევაში მიუთითა დისკრიმინაციულ მოტივზე. აქედან: 2 შემთხვევაში – გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივზე, 1 შემთხვევაში კი – სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციულ მოტივზე.⁷

⁶ წინა საანგარიშო პერიოდში 73 განაჩენიდან მხოლოდ 4 იყო გამამართლებელი.

⁷ წინა საანგარიშო პერიოდში საიამ დაიდენტიფიცირა მხოლოდ 2 საქმე, სადაც პროკურატურა უთითებდა დისკრიმინაციულ მოტივზე.

ნარკოტიკული დანაშაულები:

- 100 ბრალდებულის მიმართ, რომლებსაც ბრალი ედებოდათ ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენაში (გარდა ნარკოტიკული საშუალების – მცენარე კანაფის ან მარიხუანის – მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება), ყველა შემთხვევაში გამოყენებული იყო პატიმრობა (45 (45%) შემთხვევაში) და გირაო (55 (55%) შემთხვევაში);
- სასამართლომ 48-დან 48-ვე შემთხვევაში დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა პატიმრობასთან დაკავშირებით;
- საია დაესწრო ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით აღკვეთის ღონისძიების 123 სხდომას, საიდანაც 46 (37%) შემთხვევა იყო დაუსაბუთებელი. 668 სასამართლო სხდომიდან სულ 140 (21%) დაუსაბუთებელი აღკვეთის ღონისძიება დაფიქსირდა;
- საიამ განახორციელა 171 სასამართლო სხდომის მონიტორინგი, რომლებზეც განიხილებოდა ნარკოტიკული დანაშაულისთვის ბრალდებულის მიმართ საპროცესო შეთანხმების გაფორმების საკითხი;⁸
- ნარკოტიკულ დანაშაულთან მიმართებით გამოყენებული ჯარიმის ოდენობა⁹ საგრძნობლად აღემატება სხვა ტიპის დანაშაულებზე გამოყენებული ჯარიმის საშუალო ოდენობას;¹⁰
- საიას მონიტორები დაესწრნენ ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებულ (სსკ-ის 260-ე მუხლი) 6 პროცესს, საიდანაც ყველა მათგანზე გამამტყუნებელი განაჩენი დადგა.

⁸ აქედან, 117 ბრალდებულს ბრალად ედებოდა ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენა (გარდა ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობის უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება (სსკ-ის 260–272 მუხლები)), ხოლო დანარჩენ 54 ბრალდებულს - ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობის უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება ან მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და გასაღება (სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლები).

⁹ არ შედის სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე სასჯელის სახით გამოყენებული ჯარიმა.

¹⁰ ნარკოტიკულ დანაშაულთან მიმართებით გამოყენებული ჯარიმის საშუალო ოდენობა შეადგენს 6778 ლარს, ხოლო ყველა სხვა დანაშაულთან მიმართებით ჯარიმის საშუალო ოდენობა 4238 ლარით განისაზღვრავს.

მძიმე სოციალური ფონით განპირობებული დანაშაულები:

- საია დაესწრო 25 ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომას, რომელიც შეეხებოდა ქმედების ჩადენას ეკონომიკური გაჭირვების მიზეზით. 25-ვე შემთხვევაში სასამართლომ გამოიყენა გირაო ან პატიმრობა. არცერთ შემთხვევაში აღვლილი არ ჰქონია პირად თავდებობას და აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას. 25 შემთხვევიდან პროკურორმა პატიმრობა იშუამდგომლა 9 შემთხვევაში, რაც სასამართლომ ყველა შემთხვევაში დააკმაყოფილა;
- 16 შემთხვევაში პროკურორმა იშუამდგომლა გირაოს გამოყენების შესახებ. აქედან 2 შემთხვევაში პროკურორმა მოითხოვა მინიმალური ოდენობის გირაოს გამოყენება. აღსანიშნავია, რომ სასამართლო, როგორც წესი, ამცირებდა პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობას, ითვალისწინებდა ქმედების ხარისხს, ბრალდებულის სოციალურ მდგომარეობას და 16-დან 12 (75%) შემთხვევაში გამოიყენა გირაოს მინიმალური ოდენობა;
- საია დაესწრო 20 სხდომას საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ, სადაც ნათლად იკვეთებოდა, რომ ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედება სოციალური გაჭირვებით იყო განპირობებული. 6 შემთხვევაში პროკურორს შეეძლო, საერთოდ არ დაეწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და მხარისთვის განრიდების გამოყენება შეეთავაზებინა. თავის მხრივ, სასამართლოს შეეძლო, არ დაემტკიცებინა საპროცესო შეთანხმება ქმედების მცირე მნიშვნელობიდან გამომდინარე.

I. პირველი წარდგენის სხდომაზე გამოვლენილი ტენდენციები – ზოგადი მიმოხილვა

კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 196-ე მუხლი არეგულირებს დაკავებული ბრალდებულის უფლებას, მაქსიმალურად მცირე დროში მოექცეს სასამართლო კონტროლის ქვეშ. აუცილებელია, რომ მოსამართლემ იმსჯელოს დაკავების კანონიერებაზე, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობაზე, აღკვეთის ღონისძიების სახეზე. იმავდროულად, სათანადო/კვალიფიციური სასამართლო კონტროლი დიდ როლს ასრულებს ბრალდებულის მიმართ შესაძლო არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიმართულებით.

სსსკ-ის 198-ე მუხლით განსაზღვრულია მიზნები და საფუძვლები, თუ რა შემთხვევაში გამოიყენება აღკვეთის ღონისძიება. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას გააჩნია პრევენციულ-უზრუნველმყოფი ხასიათი. აღკვეთის ღონისძიების მიზანი არ არის პირის ბრალეულობის მტკიცება. მსჯელობა უნდა შეეხებოდეს, რამდენად მიზანშეწონილია ამა თუ იმ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი და ამოცანაა მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების უზრუნველყოფა.¹¹ ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომაზე, სხვა პროცედურებთან ერთად, სასამართლო განიხილავს, თუ რომელი ღონისძიება უნდა იყოს გამოყენებული, რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა და ხელი არ შეეშალოს გამოძიებას მანამ, სანამ საქმეზე საბოლოო განაჩენი დადგება. აღკვეთის ღონისძიება უნდა იყოს დასაბუთებული, რაც იმას ნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს კანონით დადგენილ მიზნებს.

სასამართლოს შეუძლია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რამდენიმე აღკვეთის ღონისძიებიდან ერთ-ერთის გამოყენება: პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა, გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, სარდლობის მიერ სამხედრო მოსამსახურის ქცევის მეთვალყურეობა. ამასთან,

¹¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26/06/2015 წლის საოქმო ჩანაწერი. №6466 | I-40.


სასამართლო უფლებამოსილია, ბრალდებულს ძირითად აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად დაუნიშნოს დამატებითი ღონისძიებები.¹²

სხდომების ანალიზი

საანგარიშო პერიოდში საია დააკვირდა 594 პირველი წარდგენის სხდომას 668 ბრალდებულის მიმართ. გამოიკვეთა, რომ სასამართლო, ძირითადად, ვკლავს ორი სახის აღკვეთის ღონისძიებას – გირაოსა და პატიმრობას იყენებს (ჯამში 98%). ამასთან, ბოლო სამი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემცირებულია სხვა სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი – 2%,¹³ რაც ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ სასამართლო გირაოს და პატიმრობის რეალურ ალტერნატივად არ განიხილავს შეთანხმებას გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ და პირად თავდებობას. პატიმრობის გამოყენების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებებიდან 15% იყო დაუსაბუთებელი, ხოლო გირაოს შეფარდების შესახებ – 28% იყო დაუსაბუთებელი ან/და ზედმეტად მკაცრი ღონისძიება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სიტუაციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით (2011 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით)

დიაგრამა №1




¹² სსსკ-ის 199(2) მუხლი.

¹³ წინა საანგარიშო პერიოდში სხვა სახის აღკვეთის ღონისძიებები გამოყენებული იყო 3% შემთხვევაში, 2017 წლის ანგარიშის მიხედვით - 4%, ხოლო 2016 წელს - 6%.

აღსანიშნავია, რომ ამ საანგარიშო პერიოდში ოჯახური დანაშაულებების რაოდენობა მკვეთრად არის გაზრდილი. თუკი წინა საანგარიშო პერიოდში ოჯახურ დანაშაულებებს შეეხებოდა დასწრებული პროცესების 18%, ამ საანგარიშო პერიოდში ასეთი პროცესების მაჩვენებელი შეადგენს 31%-ს. ყურადსაღებია, რომ ამ ტიპის დანაშაულებთან მიმართებით აღმასრულებელ ხელისუფლებას აქვს განსხვავებული, მკაცრი მიდგომები – პროკურატურა ძირითად შემთხვევაში ითხოვს პატიმრობას. ყოველივე ზემოთქმული კი საერთო სტატისტიკის სურათს მნიშვნელოვნად ცვლის. შესაბამისად, საიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, გარკვეული მონაცემების დამუშავება/გაანალიზება განცალკევებით განეხორციელებინა (ყველა სხვა დანაშაულის და ოჯახური დანაშაულების დათვლა ცალ-ცალკე). რათა შესაძლებელი ყოფილიყო წინა საანგარიშო წლებთან მონაცემების ობიექტურად შედარება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ოჯახურ დანაშაულებსა და სხვა დანარჩენ დანაშაულებზე სასამართლოს მიერ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას (2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით)

დიაგრამა №2



ოჯახური დანაშაულების გამოკლებით, მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ პატიმრობის პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 46%-ს. ბოლო ათი საანგარიშო პერიოდია, ასეთი მაღალი პროცენტული მაჩვენებელი არ დაფიქსირებულა. ასევე საყურადღებოა, რომ ბოლო

სამი საანგარიშო პერიოდის მანძილზე იზრდებოდა სასამართლოს მხრიდან პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი.

აღკვეთის ღონისძიებები ქალაქების/რაიონების მიხედვით¹⁴

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, თბილისის საქალაქო სასამართლო კიდევ უფრო იშვიათად იყენებს ალტერნატიული აღკვეთის ღონისძიების სახეებს.¹⁵ საია დაესწრო 260 პირველი წარდგენის სხდომას 309 ბრალდებულის მიმართ, საიდანაც სასამართლომ მხოლოდ 3 შემთხვევაში გამოიყენა პირადი თავდებობა, ხოლო შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ არცერთ შემთხვევაში არ გამოუყენებია.

გორის რაიონული სასამართლო იყენებს მხოლოდ გირაოსა და პატიმრობას. თელავის რაიონულმა სასამართლომ (48 ბრალდებულისა) ამ საანგარიშო პერიოდში 2 შემთხვევაში გამოიყენა შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ. ბათუმის (52 ბრალდებული) და ქუთაისის (57 ბრალდებული) საქალაქო სასამართლოებმა მხოლოდ თითო შემთხვევაში გამოიყენეს შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ.

ამ საანგარიშო პერიოდშიც გამოიკვეთა, რომ პირადი თავდებობა თბილისის საქალაქო სასამართლოს გარდა არცერთ სასამართლოს არ გამოუყენებია.


თელავის, ბათუმისა და გორის სასამართლოებმა თითო შემთხვევაში დატოვეს ბრალდებული აღკვეთის ღონისძიების გარეშე, ქუთაისში – 3 შემთხვევაში, ხოლო თბილისში 8 შემთხვევაში არ გამოიყენეს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიება.

ქვემოთ, დიაგრამაზე მოცემულია გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების შესახებ სტატისტიკა ქალაქების მიხედვით, 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით (ოჯახური დანაშაულების გამოკლებით).

¹⁴ ამ თავში მოცემული სტატისტიკა არ შეიცავს ოჯახური დანაშაულის სხდომებზე გამოვლენილ ტენდენციებს.

¹⁵ წინა საანგარიშო პერიოდში თბილისის საქალაქო სასამართლომ 186 საქმიდან 4-ჯერ გამოიყენა პირადი თავდებობა, ხოლო შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ - 5-ჯერ.

დიაგრამა №3



სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის ხანგრძლივობა

სამართლიანი სასამართლოს უფლების განხორციელებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომას. აუცილებელია, მოსამართლემ ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე განუმარტოს კანონით გათვალისწინებული ყველა უფლება,¹⁶ კერძოდ: კონკრეტული ბრალდების შინაარსი, ბრალდებით განსაზღვრული მოსალოდნელი სასჯელის სახეები და ზომები. იმავდროულად, თუკი ბრალდებული წარდგა დაკავებულის სახით (საანგარიშო პერიოდში – 668 ბრალდებულიდან 452 (68%) პირი), მოსამართლე ვალდებულია, შეამოწმოს დაკავების კანონიერება, განმარტოს წამების და არაჰუმანური მოპყრობის შესახებ საჩივრის შეტანის უფლება და გაარკვიოს, აქვს თუ არა ბრალდებულს საჩივარი საპროცესო უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. ამის შემდგომ, სასამართლო ვალდებულია, განიხილოს პროკურორის შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების თაობაზე, შეამოწმოს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის საფრთხეების არსებობა,¹⁷ იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშე-

¹⁶ სსსკ-ის 197-ე მუხლი.


¹⁷ სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

წონილობაზე, განმარტოს მიღებული განჩინება და დაასაბუთოს სხვა ნაკლებად მძიმე აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დაუშვებლობა.

მისასალმებელია, რომ ამ საანგარიშო პერიოდში 6 პროცენტული ერთეულით შემცირდა იმ პროცესების რაოდენობა, რომლებიც გაგრძელდა არაუმეტეს 15 წუთი.¹⁸ 15 წუთამდე პერიოდში პრაქტიკულად შეუძლებელია აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე კანონით გათვალისწინებული ყველა საკითხის კვალიფიციურად და ყოველმხრივ სრულყოფილად გამოკვლევა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ასახულია ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომის ხანგრძლივობა წუთების მიხედვით, 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით.


დიაგრამა №4



¹⁸ ამ საანგარიშო პერიოდში 14%-ით განისაზღვრა, წინა საანგარიშო პერიოდში კი - 20%-ით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ასახულია იმ სხდომების რაოდენობა, რომელთა ხანგრძლივობაც არ აღემატებოდა 15 წუთს, 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით, ქალაქების მიხედვით

დიაგრამა №5



დაკვირვებამ აჩვენა, რომ 86 სასამართლო სხდომიდან, რომელიც გაგრძელდა არაუმეტეს 15 წუთი, 36 (42%) შემთხვევაში სასამართლომ ბრალდებულს სრულყოფილად არ განუმარტა უფლებები.

მართალია, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში შემცირდა იმ სხდომების რაოდენობა,¹⁹ რომლებიც 15 წუთზე დიდხანს არ გაგრძელდებულა, თუმცა, მონაცემები მაინც მაღალია – სხდომათა 43% ჩატარდა 15 წუთამდე ხანგრძლივობით. აღნიშნული ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეები სხდომის მსვლელობისას სრულყოფილად არ სწავლობენ საქმეს და, მეტწილად, აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით არასაკმარისად დასაბუთებული გადაწყვეტილებები გამოაქვთ.

¹⁹ წინა საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 15 წუთს - 51% შემთხვევაში.


პროკურატურის მიდგომები

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსად, საიას მიერ დანახული პრობლემები პროკურატურის მიდგომებთან დაკავშირებით კვლავ სახეზეა. მრავლად იყო შემთხვევები, როდესაც პროკურორის შუამდგომლობებს შაბლონური ხასიათი ჰქონდა. მართალია, ბრალდების მხარე უთითებდა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნებსა და საფუძვლებზე, მაგრამ აღნიშნული არგუმენტები, ზოგიერთ შემთხვევაში, არ უკავშირდებოდა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ბრალდების მხარე უფრო მეტად აქცენტს აკეთებდა დანაშაულის სიმძიმესა და ბუნებაზე, ვიდრე იმ საფრთხეებსა და რისკებზე, რომლებმაც, შესაძლოა, რეალურად ვერ უზრუნველყოს აღკვეთის ღონისძიების მიზნის მიღწევა.

ბრალდების მხარემ გირაო მოითხოვა 236 შემთხვევაში, საიდანაც 193 (82%) შემთხვევაში პროკურატურას არ ჰქონდა ინფორმაცია ან სათანადო დასაბუთება ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობის შესახებ. შესაბამისად, ძალიან ხშირად პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობა არაპროპორციული და არათანაზომიერი იყო ბრალდებულის ქონებრივ მდგომარეობასთან მიმართებით.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია ინფორმაცია, თუ რა მიზეზით ასაბუთებს პროკურატურა შესაბამისი აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნის შუამდგომლობას, 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით

დიაგრამა №6



როგორც ზემოაღნიშნული დიაგრამა აჩვენებს, პროკურორები აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის დაყენებისას ერთდროულად უთითებდნენ სსსკ-ის 198-ე (2) მუხლის რამდენიმე საფუძველზე, თუმცა, ამ საფუძველებიდან ზოგიერთზე საერთოდ არ მსჯელობდნენ.

არ შეიძლება, პროკურორი *in abstracto*²⁰ იყენებდეს რომელიმე საფუძველს. აუცილებელია შუამდგომლობაში მითითებული თითოეული აღკვეთის ღონისძიების საფუძვლის მაქსიმალური დასაბუთება, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლომ არ უნდა გაითვალისწინოს პროკურორის დაუსაბუთებელი/არასათანადოდ დასაბუთებული *in abstracto* საფუძველები.

პროკურორები ქვეყნის დატოვების და მიმალვის საფრთხეზე აპელირებდნენ 384 შემთხვევაში.²¹ აქედან 269 (70%) შემთხვევაში სასამართლომ არ გაიზიარა პროკურატურის მიერ მითითებული არგუმენტები. ზემოხსენებულ საფრთხეებზე მითითებები იყო შაბლონური და დაუსაბუთებელი, კერძოდ, ბრალდების მხარე საუბრობდა, რომ: პირს სასჯელის სახედ ემუქრებოდა თავისუფლების აღკვეთა და ამის გამო მაღალი იყო მიმალვის ალბათობა; ჰქონდა პასპორტი და ნამყოფი იყო საზღვარგარეთ, რაც ზრდიდა მიმალვის ალბათობას; ამასთან, უთითებდა, რომ საქართველოს აქვს 2 ოკუპირებული ტერიტორია და საზღვარი არ არის საკმარისად დაცული.

სასამართლოს მიდგომა

წინა საანგარიშო პერიოდის მსგავსი იყო სასამართლოს გადაწყვეტილებები აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით. შეინიშნებოდა პოზიტიური მაგალითები, რომლებიც დადებითი პრაქტიკის ნაწილად მიიჩნევა, თუმცა, პატიმრობისა და გირაოს გამოყენების შესახებ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების პროცენტული მაჩვენებელი მიანიშნებს ამ მიმართულებით არსებულ ხარვეზებსა და გამონგვევებზე. ზოგჯერ სასამართლო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დასაბუთებისას საფრთხეებს აბსტრაქტულად აფასებდა, რაც არ წარმოადგენს იმ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომლის დროსაც შეიძლება კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მტკიცება.

²⁰ Becciev v. Moldova, §§ 61-62; 04/01/2006.

²¹ მიმალვის საფრთხეზე უთითებდა 293 შემთხვევაში, ხოლო ქვეყნის დატოვების საფრთხეზე - 91 შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ ამ საანგარიშო პერიოდში პროკურატურის შუამდგომლობებს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით სასამართლო კიდევ უფრო ხშირად აკმაყოფილებდა.

დაცვის მხარის პოზიცია

პროცესების მონიტორინგი ცხადყოფს, რომ ხშირ შემთხვევაში ადვოკატებს არ ჰქონდათ სათანადო დრო იმისთვის, რომ საქმის მასალებს სრულყოფილად გასცნობოდნენ. მიუხედავად ამისა, აუცილებელია, ადვოკატმა მაქსიმალურად ეფექტიანად დაიცვას ბრალდებულის საუკეთესო ინტერესები, მათ შორის, სასამართლო პროცესზე პროკურორს მოსთხოვოს, დაასაბუთოს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებით.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ გარკვეული ხარვეზები არსებობს დაცვის მხარესთან მიმართებით. ხშირად ბრალდებულთა ინტერესებს ადვოკატების მოუმზადებლობა და პასიურობა აზარალებდა. სამწუხაროდ, იყო შემთხვევები, როდესაც, ნაცვლად იმისა, რომ ადვოკატებს ბრალდებულთა საუკეთესო ინტერესები დაეცვათ, ბრალდების მხარეს ფორმალურად ეწინააღმდეგებოდნენ, პროცესზე მოუმზადებლად მოდიოდნენ ან დადებითად აფასებდნენ პროკურორის მიერ წარდგენილ შუამდგომლობებს.

გემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ იხილეთ:

პირს ბრალად ედებოდა მეზობლის სახლიდან 550 ლარის და ტელეფონის ქურდობა (სსკ-ს 177(2)ა ქვეპუნქტი და 177(3) ბ/გ ქვეპუნქტები). პროკურორმა ვრცლად ისაუბრა საქმის ფაქტობრივ და ფორმალურ საფუძვლებზე და მოითხოვა პატიმრობის გამოყენება.

ადვოკატს არ ჰქონდა არცერთი შუამდგომლობა. მხოლოდ განაცხადა, რომ საპროცესო შეთანხმების დადება სურდათ მხარეებს და ამ ეტაპზე ეთანხმებოდა პატიმრობის გამოყენებას.

საბოლოოდ, მოსამართლემ ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა.

საიამ გამოავლინა ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პროკურატურის შეცდომის გამო ადვოკატს საერთოდ არ ჰქონდა დრო საქმის მასალების გასაცნობად და დაცვის სტრატეგიის შესამუშავებლად. იხილეთ მაგალითი:

ერთ-ერთ პროცესზე ბრალდებულმა განაცხადა, რომ იგი სოციალურად დაუცველი იყო და სურდა, სახელმწიფოს ხარჯზე აეყვანა ადვოკატი. მან ასევე აღნიშნა, რომ ამის შესახებ გამომძიებელს და პროკურორსაც უთხრა, თუმცა, ადვოკატი მაინც არ დაუნიშნეს. მოსამართლემ გამოაცხადა 1-საათიანი შესვენება და მოუწოდა ბრალდების მხარეს, ეს საკითხი გადაემოწმებინა და, თუ ბრალდებული ნამდვილად სოციალურად დაუცველი იყო, მიემართა ბიუროსათვის სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის დანიშვნის თაობაზე.

1 საათის შემდეგ, როდესაც სხდომა განახლდა, ბრალდებულს დანიშნული ჰყავდა ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე.

II. ალკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება

პანონდელალობის მოკლე მიმოხილვა

პატიმრობა წარმოადგენს ყველაზე მკაცრ ალკვეთის ღონისძიებას, როდესაც პირს სასამართლოს განჩინებით, კონკრეტული ვადით ალკვეთება თავისუფლება. პატიმრობის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა საშუალებები არაეფექტიანია. ამასთან, ზემოხსენებული საფრთხეები დამაჯერებელი და რელევანტური გარემოებებით, მტკიცებულებებით უნდა იყოს დამოწმებული. პატიმრობის გამოყენების თაობაზე მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს აქვს. პროკურორმა მაქსიმალურად უნდა წარმოაჩინოს ფაქტები და ინფორმაცია, რაც დაარწმუნებს ობიექტურ დამკვირვებელს, რომ შესაძლოა, არსებობდეს პატიმრობის გამოყენების საფუძველი.

თავის მხრივ, სასამართლოს მართებს, სათანადოდ შეაფასოს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობა, გაითვალისწინოს რისკებისა და საფრთხეების ხარისხი და დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილებები პატიმრობის გამოყენების შესახებ. სასამართლოს მხრიდან პატიმრობის გამოყენება მაშინ არის დაუსაბუთებელი, როდესაც გადაწყვეტილება არ ეყრდნობა კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებს, აბსტრაქტულად არის შეფასებული საფრთხეები და სხვა, ნაკლებად მკაცრი ალკვეთის ღონისძიების გამოყენებითაც შესაძლებელია შესაბამისი მიზნების მიღწევა.

მნიშვნელოვანია, რომ უპირატესობა მიენიჭოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შემლუდვის ყველაზე მსუბუქ ფორმას. როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნა შესაძლებელია გამართლებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ჭეშმარიტი საჭარო ინტერესის სპეციალური ნიშნები, რომლებიც, უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, გადაწონის პიროვნების თავისუფლების მოთხოვნებს. აგრეთვე, წინასწარი პატიმრობა ყველა შემთხვევაში უნდა იყოს გონივრული და აუცილებელი.²² გარდა ამისა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის მიხედვით, პატიმრობა გამოყენებული უნდა იყოს საგამონაკლისო ღონისძიების სახით. ასევე, ის არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის და არ უნდა გამოიყენებოდეს დასჯის მიზნით.²³

²² Pacuria v. Georgia, no. 30779/04, 6 November, 2007, §62-65.


²³ Recommendation №R (80)11 of the Committee of Ministers of the Council of Europe concerning Custody Pending Trial.

სასამართლო სხდომების ანალიზი

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, გაუარესებულია მდგომარეობა პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიმართულებით. გაიზარდა დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების პროცენტული მაჩვენებელი პატიმრობებთან მიმართებით და, საერთო ჯამში, 15% შეადგინა.²⁴ კერძოდ, პატიმრობის გამოყენება მოხდა 322 ბრალდებულის მიმართ, აქედან 49 ბრალდებულის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება იყო დაუსაბუთებელი ან/და გამოყენებული იყო მედმეტად მკაცრი ღონისძიება. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ პრობლემაა ბრალდებისა და სასამართლო ორგანოებისათვის იმის გათავისება, რომ პატიმრობა არის უკიდურესი ღონისძიება და მხოლოდ დანაშაულის სიმძიმე და სასჯელის სიმკაცრე ვერ გამოდგება მისი გამოყენების გასამართლებლად.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს დაუსაბუთებელი პატიმრობის შესახებ გადაწყვეტილებებს მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით)


დიაგრამა №7



²⁴ წინა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პატიმრობის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების 12% იყო დაუსაბუთებელი.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ქალაქების მიხედვით დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებებს პატიმრობის შესახებ, 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით


დიაგრამა №8



2011 წლიდან მოყოლებული (მას შემდეგ, რაც სასამართლოების მონიტორინგი დაიწყო), მთელი მონიტორინგის განმავლობაში, ამ საანგარიშო პერიოდში პროკურატურის მხრიდან პატიმრობის მოთხოვნის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. 594 სასამართლო პროცესიდან (668 ბრალდებულიდან) პროკურატურა პატიმრობას ითხოვდა 399 (60%) შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ბრალდების მხარის მიერ მოთხოვნილი პატიმრობების სიხშირეს მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით)

დიაგრამა №9




აღნიშნული მონაცემები უმეტესწილად იცვლება, თუკი გამოვაკლებთ ოჯახურ დანაშაულებზე პროკურატურის მიერ მოთხოვნილი პატიმრობების რაოდენობას, ვინაიდან ამ ტიპის საქმეებზე პროკურატურამ 182 საქმიდან 163 (90%) შემთხვევაში მოითხოვა პატიმრობა.

ოჯახური დანაშაულების გარდა, სხვა ტიპის დანაშაულებზე პროკურატურამ, 414 პირველი წარდგენის სხდომიდან, სადაც წარმოდგენილი იყო 486 ბრალდებული, 236 (49%) მათგანის მიმართ მოითხოვა პატიმრობის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ პროკურატურის მხრიდან პატიმრობის მოთხოვნის შემთხვევები გაიზარდა 4 პროცენტული ერთეულით.²⁵

²⁵ წინა საანგარიშო პერიოდში პროკურატურის მიერ მოთხოვნილი პატიმრობის ოდენობა შეადგენდა 45%-ს, ამჯერად კი, ოჯახური დანაშაულების გამოკლებით, აღნიშნული მაჩვენებელი განისაზღვრა 48%-ით.

ქვემოთ მოცემულია დიაგრამა, რომელზეც ასახულია სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული პატიმრობის შუამდგომლობების სტატისტიკა, მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით)


დიაგრამა №10



2016 წლის თებერვალი-ივლისის პერიოდიდან მოყოლებული, სტაბილურად მზარდია სასამართლოს მხრიდან პატიმრობის დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი და ამ საანგარიშო პერიოდში შეადგინა 81%. მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (მისი დაწყებიდან დღემდე) ეს არის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი. მას მხოლოდ 2012 წლის ივლის-დეკემბრამდე არსებული მონაცემები აღემატება, როდესაც სასამართლო აკმაყოფილებდა პროკურატურის ყველა შუამდგომლობას პატიმრობის თაობაზე.

ქვემოთ მოცემულია დიაგრამა, რომელზეც ასახულია პროკურატურის მიერ მოთხოვნილი და სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული პატიმრობის შუამდგომლობების სტატისტიკა მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით). აღნიშნული მონაცემები არ შეიცავს ოჯახური დანაშაულების შესახებ პროკურორის/მოსამართლის მიერ მოთხოვნილი/გამოყენებული პატიმრობების ოდენობას

დიაგრამა №11



ოჯახური დანაშაულების გამოკლებით, პროკურატურამ 486 ბრალდებულისგან 236 (49%) შემთხვევაში მოითხოვა პატიმრობა, ხოლო სასამართლომ 217 (92%) შემთხვევაში დააკმაყოფილა პატიმრობის შესახებ შუამდგომლობა. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ სასამართლოს მხრიდან პატიმრობის შუამდგომლობების დაკმაყოფილების მაჩვენებელი კრიტიკულად მაღალია – საიას სისხლის სამართლის პროცესების მონიტორინგის განხორციელების პერიოდში, მხოლოდ 2011 და 2012 წლებში, 92%-ზე მეტი დაკმაყოფილების მაჩვენებელი დაფიქსირდა, როდესაც სასამართლო ყველა შემთხვევაში აკმაყოფილებდა პროკურატურის შუამდგომლობებს.

აღსანიშნავია, რომ 49 (15%) შემთხვევაში გამოყენებული პატიმრობის დასაბუთებისას მოსამართლე მიუთითებდა აბსტრაქტულ საფრთხეებზე, რომლებიც არ იყო გაჭერებული საქმის კონკრეტული გარემოებებით. ასევე, მოსამართლემ არ დაასაბუთა, თუ რატომ იქნებოდა

შეუძლებელი ნაკლებ შემზღვეველი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა. საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი:

პირს ბრალი ედებოდა სასამართლოს უპატივცემლობაში (სსკ-ის 366-ე მუხლის პირველი ნაწილი), რაც გამოიხატა იმაში, რომ ერთ-ერთი პროცესის დასრულების შემდგომ სასამართლო სხდომის დარბაზში სანთებელა ისროლა. პროკურატურამ მოითხოვა პატიმრობის გამოყენება და მიუთითა შემდეგი გარემოებები: მოსალოდნელი სასჯელით შიშით, შესაძლებელია, თავი აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას; დანაშაული მიმართულია მმართველობის წესის წინააღმდეგ, რაც მიუთითებს, რომ ბრალდებული მიდრეკილია დანაშაულის ჩადენისაკენ; ჩადენილი დანაშაული ნათელყოფს მის დამოკიდებულებას სასამართლო ორგანოს მიმართ და ამ მიზეზით, შესაძლებელია, არ გამოცხადდეს სასამართლოში.

ადვოკატმა განაცხადა, რომ ბრალდებული აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს. ბრალდებულმა თავად აღნიშნა, რომ მისი ქცევა იყო მიუღებელი. ის არასდროს ყოფილა სასამართლოში. რაც შეეხება სასამართლოში გამოცხადებას, ადვოკატის თქმით, ბრალდებული თანამშრომლობს საგამოძიებო ორგანოსთან და სასამართლოშიც გამოცხადდება. ადვოკატმა ასევე მიუთითა, რომ ბრალდებულმა სრულად აღიარა დანაშაული, ამიტომ სახეზე ვერ იქნებოდა მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე. ამასთან, ისაუბრა სასჯელის შიშით მიმალვის საკითხზეც, კერძოდ, აღნიშნა, რომ დანაშაული სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას მხოლოდ ერთ წლამდე ვადით. ამრიგად, პროკურორის პოზიცია იყო დაუსაბუთებელი, თითქოს სასჯელის შიშით ბრალდებული თავს აარიდებდა მართლმსაჯულების განხორციელებას. ბრალდებული იყო დაოჯახებული, ჰყავდა მცირეწლოვანი, 1 წლამდე შვილი და, იმაგდროულად, იყო ოჯახის ერთადერთი მარჩენალი. ადვოკატმა წარმოადგინა ასევე ბრალდებულის პიროვნული დახასიათება მისი სამსახურიდან. იმის მიუხედავად, რომ პროკურორმა ვერ მიუთითა შესაბამისი, რეალური და რელევანტური საფრთხეები ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნისას, სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

III. აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება

კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

გირაო აღკვეთის ღონისძიების მკაცრი სახეა, რა დროსაც ბრალდებული სათანადო ქცევის უზრუნველყოფის მიზნით იხდის კონკრეტულ თანხას ბიუჯეტის სასარგებლოდ და, შესაბამისად, ემლუდება ქონებრივი უფლებები.

სსსკ-ს 200-ე (2) მუხლის მიხედვით, გირაოს თანხის ოდენობა განიანგარიშება დანაშაულის სიმძიმისა და ბრალდებულის ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით. გირაოს თანხის მინიმალური ოდენობა არის 1000 ლარი. ბრალდებულს ან იმ პირს, რომელმაც გადაიხადა გირაოს თანხა ან ეკვივალენტური უძრავი ქონება, გადახდილი თანხა სრულად უბრუნდება ან ქონებას ეხსნება ყადაღა განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში. ზემოხსენებული რეგულაცია მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებულმა მასზე დაკისრებული ვალდებულება შეასრულა ზედმიწევნით და გულწრფელად და მის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება არ შეცვლილა აღკვეთის უფრო მკაცრი ღონისძიებით.²⁶

გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახეობის, მიმართ ვრცელდება აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული ყველა საგალდებულო მოთხოვნა. პროკურორმა უნდა დაასაბუთოს აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობა, ხოლო სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სხვადასხვა გარემოება, მათ შორის, ბრალდებულის პიროვნება, ფინანსური მდგომარეობა და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც პროკურატურა არ წარადგენს ინფორმაციას ამასთან დაკავშირებით. დაცვის მხარე არ არის ვალდებული, აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგინოს, ვინაიდან ბრალდების მხარის მოვალეობაა, დაასაბუთოს მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა და პროპორციულობა.

²⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლი.

სასამართლო სხდომების ანალიზი

საიამ გამოავლინა ზემოხსენებული წესებისა და სტანდარტების დარღვევის შემთხვევები, როდესაც ბრალდების მხარე დაუსაბუთებლად ითხოვდა გირაოს გამოყენებას და არ ჰქონდა ინფორმაცია ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობის შესახებ. ხშირად ბრალდების მხარე მხოლოდ გირაოს გამოყენების დასაბუთებით შემოიფარგლებოდა და გირაოს ოდენობასთან დაკავშირებით საუბარს თავს არიდებდა. მართალია, სასამართლო ცდილობდა პირის ქონებრივი შესაძლებლობების დადგენას, თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ბრალდებულის მიმართ გამოყენებული გირაო არ იყო ზომიერი და სათანადო ღონისძიება.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ დაუსაბუთებელი გირაოს წილი წინა საანგარიშო პერიოდის შემდეგ მცირედით შემცირდა და 28%-ით განისაზღვრა, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია.²⁷ ხშირად პროკურორები სათანადოდ არ ასაბუთებდნენ გირაოს გამოყენების აუცილებლობას და, პატიმრობასთან შედარებით, ნაკლებ ძალისხმევას იჩენდნენ მისი მიზანშეწონილობის გასამართლებლად. ცალკეულ შემთხვევებში, ბრალდების მხარე საერთოდ არ საუბრობდა აღკვეთის ღონისძიების მიზნებსა და საფრთხეებზე და მხოლოდ წარდგენილი ბრალდების შინაარსს კითხულობდა. აგრეთვე, მოგჯერ, მიუხედავად იმისა, რომ საფრთხეების აბსტრაქტულად არსებობაზე მიუთითებდა პროკურორი, მოსამართლე ასეთ შუამდგომლობებს აკმაყოფილებდა და ნაკლები გულმოდგინებით ეკიდებოდა ამ ღონისძიების საფუძვლიანობისა და მიზანშეწონილობის შემოწმებას.²⁸


²⁷ წინა საანგარიშო პერიოდში გირაოს გამოყენება 30% შემთხვევაში იყო დაუსაბუთებელი.

²⁸ საია მიიჩნევს, რომ გირაო დაუსაბუთებელია, როდესაც, მაგალითად: მოსამართლეები გირაოს შეფარდების შესახებ პროკურატურის შუამდგომლობის დაკმაყოფილების გადაწყვეტილებას იღებენ პროკურატურის მხრიდან სათანადო დასაბუთების წარდგენის გარეშე, რაც უნდა ეფუძნებოდეს წარდგენილ ბრალს, ბრალდებულის პიროვნებას, მის ფინანსურ შესაძლებლობებსა და საქმისათვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებებს. მოსამართლეთა მხრიდან ამ გარემოებების გამოურკვეველობა კიდევ უფრო საბიანოა იმ შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულს არ ჰყავს ადვოკატი; ბრალდების მხარის მოთხოვნის მიუხედავად, პატიმრობის ნაცვლად გირაოს დაკისრების შემთხვევაში, მოსამართლეები არ იკვლევენ ბრალდებულის ფინანსურ მდგომარეობასა და გირაოს დაკისრებისთვის მნიშვნელოვან სხვა გარემოებებს. გარკვეულ შემთხვევებში, მართალია, დაცვის მხარე ეთანხმებოდა პროკურორს გირაოს გამოყენების შესახებ, თუმცა, ამის მიუხედავად, საიამ სასამართლოს მიერ დაკისრებული გირაო მაინც დაუსაბუთებლად მიიჩნია, ვინაიდან დაცვის მხარის თანხმობა ან სურვილი გირაოს თანხის გადახდასთან დაკავშირებით არ ამძაფრებს ან ანეიტრალებს იმ საფრთხეებს, რა მიზნითაც აღკვეთის კონკრეტული ღონისძიება გამოიყენება.

ამ საანგარიშო პერიოდში პროკურორმა ბრალდებულთა 38%-ის²⁹ მიმართ მოითხოვა გირაოს გამოყენება. თუ აღნიშნულ მონაცემებს გამოვაკლებთ ოჯახური დანაშაულის სტატისტიკას, გამოვა, რომ პროკურორმა ბრალდებულთა 49%-ის³⁰ მიმართ მოითხოვა გირაოს გამოყენება. გამოყენებული გირაოს ოდენობა 1000-დან 30,000 ლარამდე მერყეობდა. ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გამოყენებული გირაოს საშუალო ოდენობა განისაზღვრა 3,202 ლარით, რაც მცირედით ნაკლებია წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით.³¹

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ სასამართლოების მიერ გამოყენებული გირაოს ოდენობების პროცენტული მაჩვენებელი, 2018 წლის მარტიდან 2019 თებერვლის ჩათვლით

დიაგრამა №12



594 პირველი წარდგენის სხდომიდან პროკურორმა 668 ბრალდებულთან 257 პირის მიმართ იშუამდგომლა გირაოს გამოყენება, სასამართლომ კი, მხოლოდ 11 (4%) შემთხვევაში არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის მოთხოვნა გირაოს გამოყენების თაობაზე. წინა

²⁹ 594 პირველი წარდგენის სხდომაზე წარმოდგენილი 668 ბრალდებულთან 257 პირის მიმართ.

³⁰ 414 პირველი წარდგენის სხდომაზე წარმოდგენილი 486 ბრალდებულთან 239 პირის მიმართ.

³¹ წინა საანგარიშო პერიოდში გამოყენებული გირაოს საშუალო ოდენობა განისაზღვრა 3 245 ლარით.

საანგარიშო პერიოდთან შედარებით, სასამართლო 7 პროცენტული ერთეულით უფრო ხშირად აკმაყოფილებდა პროკურორის შუამდგომლობას გირაოსთან დაკავშირებით.³² 11 შემთხვევიდან 6 (54%) ბრალდებული დატოვა სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების გარეშე, 4 (36%) შემთხვევაში შეუფარდა გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, ხოლო 1 (9%) შემთხვევაში გამოიყენა პირადი თავდებობა. საია მიესალმება სასამართლოს მხრიდან ალტერნატიული ღონისძიების გამოყენებისა და ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების ფაქტებს.


სასამართლოს მხრიდან აღკვეთის ღონისძიების გამოყენებლობის გარდა, იყო შემთხვევები, როდესაც პროკურორმა არ მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების გამოყენება. ჯამში, ასეთი 9 შემთხვევა დაფიქსირდა, თუმცა, ამის მიზეზი იყო ის, რომ ბრალდებული სხვა საქმეზე უკვე იყო მსჯავრდებული ან სხვა საქმეზე შეფარდებული ჰქონდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სასამართლო, უმრავლეს შემთხვევაში, ამცირებდა პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობას. კერძოდ, შემთხვევათა 79%-ში, მართალია, სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა გირაოს გამოყენების თაობაზე, თუმცა, იმავდროულად, შეამცირა თანხის ოდენობა. ამგვარი მიდგომა კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ პროკურატურას სათანადოდ არ აქვს გამოკვლეული ბრალდებულის მატერიალური შესაძლებლობები და შეუსაბამოდ მაღალი ოდენობის თანხის გადახდას სთხოვს მას, რაც შეიძლება იმაზე მეტ ტვირთს აკისრებდეს პირს, ვიდრე ეს შესაბამისი მიზნების მისაღწევად არის აუცილებელი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ხშირად ამცირებდა პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობას, მის მიერ გამოყენებული გირაოს ოდენობებიც, გარკვეულ შემთხვევებში, დაუსაბუთებელი იყო.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სასამართლოს მხრიდან პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობის შემცირების ტენდენცია მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით).


³² წინა საანგარიშო პერიოდში პროკურატურამ მოითხოვა გირაოს გამოყენება 205 ბრალდებულის მიმართ. 24 (12%) შემთხვევაში სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის მოთხოვნა გირაოს გამოყენების თაობაზე.

დიაგრამა №13




ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს გირაოს დაუსაბუთებლად გამოყენების ტენდენციას მონიტორინგის მთელი პერიოდის განმავლობაში (2011 წლის ოქტომბრიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით)

დიაგრამა №14



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ასახულია ქალაქების მიხედვით დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები გირაოს თაობაზე, 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით

დიაგრამა № 15



განსაკუთრებული პრობლემაა გირაოს ოდენობის დასაბუთების საკითხი. ბრალდების მხარეს ხშირად არ აქვს შესწავლილი ბრალდებულთა გადახდისუნარიანობა. შემთხვევათა 82%-ში პროკურორს არ ჰქონდა დასაბუთება ან სათანადო არგუმენტაცია ბრალდებულთა მატერიალური შესაძლებლობების შესახებ. ზოგჯერ სასამართლო ეკითხებოდა პროკურორს, როგორ განსაზღვრა გირაოს ოდენობა, თუმცა, ბრალდების მხარეს დამატურებელი არგუმენტები არ გააჩნდა.

საილუსტრაციოდ იხილეთ დაუსაბუთებელი გირაოს მაგალითი:

საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გაირკვა, რომ ბრალდებულს ედავებოდნენ მესაკუთრისგან დაუკითხავად მიბარებული ცხენის გასხვისებას (სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის გ ქ/პ). ბრალდებულმა პროცესზე განაცხადა, რომ გაყიდვის შედეგად აღებული ფულიდან, სირცხვილის გამო, დაზარალებულს უყიდა სხვა ცხენი, რომელსაც დაზარალებული რამდენიმე თვის განმავლობაში საკუთარი მიზნებისთვის იყენებდა, თუმცა, მოგვიანებით, ცხენი დაავადდა და მოკვდა.

პროკურორმა იშუამდგომლა 5000 ლარიანი გირაოს გამოყენება ისე, რომ საერთოდ არ ჰქონდა შესწავლილი ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა. გირაოს მოთხოვნას ასაბუთებდა იმით, რომ სახეზე იყო ახალი დანაშაულის ჩადენის და მტკიცებულებების განადგურების რისკი.


ბრალდებული უთითებდა, რომ ოჯახში მხოლოდ იგი მუშაობდა და მისი ყოველთვიური შემოსავალი არ აღემატებოდა 500 ლარს.

მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოიყენა 2000 ლარიანი გირაო და აღნიშნა, რომ ითვალისწინებდა ბრალდებულის ფინანსურ მდგომარეობას, ხოლო გირაო დაასაბუთა იმ გარემოებით რომ, მისი აზრით, არსებობდა მტკიცებულებების განადგურების საფრთხე.

საგარეულო დანაშაული რამდენიმე თვით ადრე მოხდა. ამ ხნის განმავლობაში ბრალდებულს არ ჩაუდენია დანაშაული, არ მოუხდენია გავლენა დაზარალებულზე. საიას მიაჩნია, რომ ასეთ ვითარებაში სასამართლოს არ უნდა გამოეყენებინა აღკვეთის ღონისძიების არცერთი სახე, გირაოს გამოყენების შემთხვევაში კი, უნდა შეეფარდებინა მინიმალური ოდენობა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ასახულია ინფორმაცია, თუ რამდენი გირაო – პატიმრობის უზრუნველყოფით – იყო დაუსაბუთებელი, 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით

დიაგრამა № 16



გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით სასამართლომ გამოიყენა 164 შემთხვევაში (გამოყენებული 320 გირაოდან 164 იყო ე.წ. საპატიმრო გირაო (51%)), აქედან 61 (37%) იყო დაუსაბუთებელი ან/და არასაკმარისად დასაბუთებული.

მიუხედავად ზემოხსენებული ხშირი ნეგატიური შემთხვევებისა, დაფიქსირდა მოსამართლეების მხრიდან პოზიტიური მიდგომებიც.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი, სადაც სასამართლომ ადეკვატურად, მაღალი პასუხისმგებლობით შეაფასა პროკურორის შეამდგომლობა, რომელიც სრულად შაბლონური ხასიათის იყო და სამართლიანი, არგუმენტირებული გადანაცვეტილება მიიღო.

2015 წლის საავტომობილო ავარიასთან დაკავშირებით (276-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) პირს ბრალი წარედგინა 2018 წელს. პროკურორმა აღკვეთის ღონისძიების სახით მოითხოვა გირაო 1000 ლარის ოდენობით და განმარტა, რომ, ვინაიდან ბრალდებულმა საგზაო მოძრაობის წესები დაარღვია, სახეზე იყო გარკვეული გულგრილობის გამოვლინება, გარდა ამისა, აღნიშნული მუხლი სასჯელის სახით პატიმრობასაც ითვალისწინებდა და, შესაბამისად, არსებობდა მიმალვის საფრთხე. ასევე, პროკურორმა მიუთითა, რომ ბრალდებული თურქეთის საზღვარს საკმაოდ ხშირად კვეთდა. ამის საპასუხოდ, ბრალდებულმა განმარტა, რომ იგი საზღვარს კვეთდა, რადგანაც თურქეთში სწავლობდა მაგისტრატურაზე, ამასთან, აღნიშნა, რომ, მიმალვის სურვილის შემთხვევაში, 2015 წლის მომხდარ შემთხვევაზე საერთოდ არ გამოცხადდებოდა. თუმცა, ბრალდებული დაეთანხმა აღკვეთის ღონისძიების სახით 1000 ლარის ოდენობით გირაოს გამოყენებას.

მიუხედავად ბრალდებულის თანხმობისა, მოსამართლემ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და არ შეუფარდა არცერთი სახე.

პირადი თავდებობა

პირადი თავდებობის გამოყენებისას, სანდო პირები კისრულობენ წერილობით ვალდებულებას, რომ ისინი უზრუნველყოფენ ბრალდებულის სათანადო ქცევას და გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებას.³³

მონიტორინგის მიმდინარეობის პერიოდში, პირველი წარდგენის სხდომებზე დაცვის მხრიდან პირადი თავდებობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების, შეთავაზება დაფიქსირდა 668-დან 8 ბრალდებულთან მიმართებით. აღნიშნული 8 შეთავაზებიდან მოსამართლემ 3 შემთხვევაში დააკმაყოფილა შუამდგომლობა. 1 შემთხვევაში თავად პროკურორმა იშუამდგომლა პირადი თავდებობის გამოყენება, ხოლო 2 შემთხვევაში მოითხოვა პატიმრობა.

ადგილი ჰქონდა შემთხვევებს, როდესაც ბრალდებულს არ მოუთხო-

³³ სსსკ-ის 203-ე მუხლი.

გია პირადი თავდებობა, თუმცა, საიას მოსაზრებით, გირაოს ან/და პატიმრობის გამოყენება იმ კონკრეტულ საქმეებში შეუსაბამო იყო. ასეთ საქმეებში მოსამართლეს შეეძლო, საკუთარი ინიციატივით გამოერკვია პირადი თავდებობის შეფარდების შესაძლებლობა (მაგალითად, სრულყოფილად და გასაგებად განემარტა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სხვა სახეების გამოყენების შესახებ; ეკითხა, ხომ არ იყო დარბაზში შესაძლო თავდები პირი) და გადაწყვეტილება ამის შემდეგ მიეღო.

გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება

გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება შეიძლება გამოყენებული იყოს აღკვეთის ღონისძიების სახით, თუ პირს ბრალად ედება დანაშაული, რომელიც არ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე მეტი ვადით.³⁴

მონიტორინგის პერიოდში, კანონმდებლობიდან გამომდინარე, 169 ბრალდებულის მიმართ შესაძლებელი იყო ამ სახის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება, ვინაიდან მათ მიერ სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისთვის გათვალისწინებული სასჯელი არ აღემატებოდა თავისუფლების აღკვეთას ერთ წელზე მეტი ვადით, თუმცა, სასამართლომ ის მხოლოდ 7 (4%) შემთხვევაში გამოიყენა, დანარჩენ 162 შემთხვევაში კი, ბრალდებულს შეუფარდა გირაო ან პატიმრობა.

აღნიშნული მონაცემები ცხადყოფს, რომ, მოსამართლე, ერთი მხრივ, კანონმდებლობით შეზღუდულია, გამოიყენოს გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმება, თუმცა, მაშინაც კი, როდესაც ამ სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენება შეუძლია, მაინც არ განიხილავს მას გირაოს და პატიმრობის რეალურ ალტერნატივად.

საილუსტრაციოდ იხილეთ დადებითი, საგამონაკლისო მაგალითი, სადაც ადვოკატმა დასაბუთებულად და არგუმენტირებულად იშუამდგომლა აღნიშნული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ და სასამართლომ ის დააკმაყოფილა:

³⁴ სსსკ-ის 202-ე მუხლი.

პირს ბრალი ედებოდა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დაზარალებულის ფიზიკურ შეურაცხყოფაში (სსკ-ის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). პროკურორმა იშუამდგომლა გირაოს გამოყენება და მიუთითა, რომ არსებობდა ბრალდებულის გამოუცხადებლობისა და გამოძიებისთვის ხელშეშლის საფრთხე.

ადვოკატმა აღნიშნა, რომ შემთხვევიდან გასული იყო 3 თვე, დაზარალებულს პრეტენზია არ გააჩნდა, ბრალდებულს ჰქონდა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, ჰყავდა ოჯახი, არ ჩაუდენია ახალი დანაშაული და იშუამდგომლა, რომ სასამართლოს გამოეყენებინა შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ.

მოსამართლემ გაითვალისწინა ადვოკატის არგუმენტაცია და დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ შეთანხმების გამოყენებასთან დაკავშირებით.

IV. აღკვეთის ღონისძიების გადასინჯვის შესახებ სასამართლო სხდომები

კანონმდებლობის ანალიზი

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2015 წლის 8 ივლისის შევიდა ცვლილება,³⁵ რომლის მიხედვით, მოსამართლე ვალდებულია, წინასასამართლო სხდომაზე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ პატიმრობას გადახედოს, გადასინჯოს და თუკი სახეზე აღარ არის პირის თავისუფლების აღკვეთის გამოყენების აუცილებლობა, უფლებამოსილია, შეცვალოს პატიმრობა სხვა აღკვეთის ღონისძიების სახით ან/და დატოვოს აღკვეთის ღონისძიების გარეშე. წინასასამართლო სხდომის გარდა, მოსამართლე ვალდებულია, 2 თვეში ერთხელ საკუთარი ინიციატივით გადასინჯოს პატიმრობის მიზანშეწონილობა.

კანონმდებლობა ასევე იცნობს გირაოს შეცვლის შესაძლებლობას უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახით, თუ ბრალდებულმა: ა) არ გადაიხადა დაკისრებული თანხა დროულად; ბ) დაარღვია გირაოს პირობები; გ) დაარღვია კანონი.

იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული არ გადაიხდის დაკისრებულ თანხას, გირაო შეიძლება შეიცვალოს უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით – პატიმრობით. აღნიშნული დათქმა გულისხმობს, რომ სავალდებულო არ არის, თანხის გადაუხდელობის მოტივით ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიება გაუმკაცრდეს. პირველ ეტაპზე პროკურორს შეუძლია, თავად გადაწყვიტოს, მიმართოს თუ არა სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით. შემდგომ ეტაპზე კი, უკვე სასამართლო მსჯელობს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის აუცილებლობაზე. თავდაპირველად პროკურორმა, ხოლო შემდგომ სასამართლომ უნდა იმსჯელონ, თუ რატომ ვერ მოხერხდა გირაოს თანხის გადახდა – ბრალდებულმა განზრახ აარიდა თავი, თუ ეს ობიექტური გარემოებებით იყო განპირობებული.

სასამართლო სხდომების ანალიზი

საია დაესწრო 207 წინასასამართლო სხდომას, რომელზეც ბრალდებული სასამართლოს წინაშე წარდგა პატიმრობის დანესებულებიდან.

³⁵ სსსკ-ის 219-ე მუხლის მე-4 ნაწილის ბ ქვეპუნქტი.

აქედან, 190 შემთხვევაში სასამართლომ საკუთარი ინიციატივით გადასინჯა ალკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის საკითხი, 10 შემთხვევაში განიხილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა გირაოს შეცვლისა და პატიმრობის გამოყენების შესახებ, ხოლო 7 შემთხვევაში არ მოხდა ალკვეთის ღონისძიების გადასინჯვა, ვინაიდან წინასასამართლო სხდომა გადაიღო ან/და პროცესი გაგრძელდა.

აღსანიშნავია, რომ სასამართლომ შეფარდებული ალკვეთის ღონისძიება – პატიმრობა – 190 შემთხვევიდან 182 (96%) შემთხვევაში უცვლელად დატოვა. აქედან 137 (75%) შემთხვევაში სასამართლომ სხდომაზე არ დაასაბუთა ან არასაკმარისად დაასაბუთა, თუ რატომ იყო აუცილებელი პატიმრობის ძალაში დატოვება.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი, რომელიც აჩვენებს, რომ გამოყენებული გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით წარმოადგენდა ე.წ. „შეფარულ“ პატიმრობას, ხოლო სასამართლომ ე.წ. „საპატიმრო გირაო“ შეცვალა პატიმრობით, თანხის გადაუხდელობის მოტივით:

პირს ბრალი ედებოდა ნარკოტიკული საშუალების შენახვასა და მოხმარებაში (სსკ-ის 260-ე (3) ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი და სსკ-ის 273-ე მუხლი). მას შეფარდებული ჰქონდა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, თუმცა, თანხის გადახდა ვერ შეძლო და წინასასამართლო სხდომაზე წარდგა დაკავებულის სახით. პროკურორმა იშუამდგომლა, რომ გირაო შეცვლილიყო პატიმრობით.

სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა. მიზეზად კი დაასახელა სსსკ-ის მე-200 მუხლის მე-5 მუხლი და აღნიშნა, რომ ბრალდებულმა დადგენილ ვადაში არ უზრუნველყო სასამართლოს მიერ გირაოს სახით შეფარდებული თანხის დროულად გადახდა.

სასამართლომ 45 (25%) შემთხვევაში სრულად დაასაბუთა პატიმრობის ძალაში დატოვების გადაწყვეტილება. ასეთ შემთხვევებში, სასამართლო საუბრობდა, რომ მტკიცებულებები საქმეზე მოპოვებულია, თუმცა, არსებობდა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე, დაზარალებულის უსაფრთხოების საკითხი და სხვა (მაგალითად, დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაცია, როდესაც საქმე ეხებოდა ოჯახურ ძალადობას).

190 საქმიდან 8 (4%) შემთხვევაში სასამართლომ ბრალდებულს პატიმრობა შეუცვალა გირაოთი. 10 შემთხვევიდან, როდესაც პროკურორმა იშუამდგომლა, რომ გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით შეცვლილიყო პატიმრობით, ვინაიდან პირმა ვერ მოახერხა გირაოს თანხის გადახდა, სასამართლომ უმრავლეს შემთხვევაში არ დააკმაყოფილა და 7 შემთხვევაში ძალაში დატოვა ე.წ. საპატიმრო გირაო, ხოლო 1 შემთხვევაში ე.წ. საპატიმრო გირაო შეცვალა გირაოთი.

საილუსტრაციოდ იხილეთ პოზიტიური მაგალითი, როდესაც მოსამართლემ მიიჩნია, რომ გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით რეალურად იყო შეფარული პატიმრობა და აღკვეთის ღონისძიება შეცვალა:

ბრალდებულმა სრულიად აღიარა დანაშაული და ყველა მტკიცებულება უდავო გახდა. სასამართლო სხდომაზე გაირკვა, რომ ბრალდებულს შეფარდებული ჰქონდა 1000 ლარის ოდენობით გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, თუმცა, სასამართლოში საპატიმრო დაწესებულებიდან მოიყვანეს. იმის გამო, რომ ბრალდებული მთელი ამ დროის განმავლობაში დაკავებული იყო, ვერ მოახერხა გირაოს თანხის შეტანა.

თავად ბრალდებულის განმარტებით, იგი მზად იყო, თანხა 2-3 დღეში გადაეხადა, თუ გაათავისუფლებდნენ, ვინაიდან გასამრჯელოს ელოდებოდა.

პროკურორმა იშუამდგომლა, გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით შეცვლილიყო პატიმრობით. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა პროკურორის მოთხოვნა, ბრალდებულს შეუფარდა გირაო 1000 ლარის ოდენობით და განმარტა, რომ, მართალია, ბრალდებულმა ვერ მოახერხა გირაოს თანხის შეტანა, მაგრამ მისთვის საპატიმრო გირაოს შეფარდება იყო აშკარა „შეფარული პატიმრობა“. მოსამართლემ ბრალდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა და აღკვეთის ღონისძიების სახით შეუფარდა გირაო 1000 ლარის ოდენობით.

ასეთი ფაქტები, ცხადია, განხილული უნდა იყოს, როგორც სასამართლოს საუკეთესო პრაქტიკის ნაწილი, როდესაც სხდომაზე მოსამართლის მხრიდან სრულფასოვნად ხორციელდება პატიმრობის მიზანშეწონილობის საკითხის შემოწმება და საფუძვლიანი გამოკვლევის შემდგომ, დასაბუთებულად ხდება პატიმრობის შეცვლა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით.

V. დაკავების კანონიერებაზე სასამართლო კონტროლის განხორციელება

კანონმდებლობის მიმოხილვა

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაკავების ორ წესს იცნობს: პირის დაკავებას მოსამართლის წინასწარი ნებართვით ან გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით, სათანადო საფუძვლებების არსებობის შემთხვევაში.

პირის დაკავების თაობაზე წინასწარი ნებართვის მისაღებად პროკურორი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, რომელიც ზეპირი მოსმენის გარეშე გამოსცემს შესაბამის განჩინებას. აღნიშნული გადაწყვეტილება არ საჩივრდება.³⁶ ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პირის დაკავების კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა, დაკავება ხდება მოსამართლის ნებართვის გარეშე და პირველი წარდგენის სხდომაზე სასამართლომ უნდა შეამოწმოს როგორც დაკავების კანონიერება, ისე გადაუდებელი აუცილებლობის გამო განხორციელებული დაკავების საფუძვლიანობა.³⁷

მოსამართლის მხრიდან დაკავების კანონიერების შეფასება ასევე მნიშვნელოვანია დაკავებული პირის მიერ უკანონო ან/და დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სათანადოდ განხორციელებაში.³⁸ თუმცა, ეს უფლება, დაკავების აუცილებლობასა და კანონიერებაზე რეალური სასამართლო კონტროლის განხორციელების გარეშე, პრაქტიკულად, ფორმალურ ხასიათს ატარებს.

სასამართლო სხდომების ანალიზი

მონიტორინგმა აჩვენა, რომ უმრავლეს შემთხვევაში სასამართლოები თავს არიდებენ დაკავების კანონიერების განხილვასა და შეფასებას და, ძირითადად, აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტით შემოიფარგლებიან.

სასამართლოების ასეთი მიდგომა სამართალდამცავების მხრიდან

³⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 171-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

³⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 171-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები.

³⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 176-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

აშკარა თვითნებობის რისკს წარმოშობს, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც პირის დაკავებიდან 48 საათის განმავლობაში, ვიდრე ბრალდებული პირველად წარდგება სასამართლოს წინაშე, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დაკავების კანონიერების შეფასების სხვა მექანიზმს.³⁹

ამ საანგარიშო პერიოდში, პირველი წარდგენის სხდომაზე, 668 ბრალდებულიდან 452 (68%) სასამართლოში გამოცხადდა დაკავებულის სტატუსით. აღნიშნული მონაცემები წინა საანგარიშო პერიოდის მაჩვენებელს 12%-ით აღემატება.⁴⁰ უმრავლეს – 376 (84%) შემთხვევაში, სასამართლომ სხდომაზე არ განიხილა დაკავების კანონიერება და არც მხარეებს უხსენებიათ აღნიშნული საკითხი, ამიტომ საიასთვის უცნობია, თუ რა წესის გამოყენებით მოხდა პირის დაკავება – მოსამართლის წინასწარი ნებართვით თუ გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.⁴¹

დანარჩენი 76 შემთხვევიდან 29 (38%) შემთხვევაში არსებობდა მოსამართლის განჩინება პირის დაკავების თაობაზე, თუმცა, არცერთ შემთხვევაში პირველი წარდგენის სხდომაზე დაკავების კანონიერების განხილვა და შეფასება არ მომხდარა. დანარჩენ 47 (62%) შემთხვევაში პირი დააკავეს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.⁴² გადაუდებელი აუცილებლობის 47 შემთხვევიდან მხოლოდ 6 შემთხვევაში იმსჯელა მოსამართლემ დაკავების კანონიერებაზე და 6-დან 5 შემთხვევაში კანონიერად ცნო დაკავება – აღნიშნული მსჯელობაც უფრო მეტად ფორმალური ხასიათის იყო. 1 შემთხვევაში კი, მოსამართლემ დაკავება არაკანონიერად ცნო და გადაწყვეტილებაში საფუძვლიანად იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითი წარმოადგენს სასამართლოს მხრიდან დადებით მიდგომას ამ საკითხთან დაკავშირებით:

³⁹ ბოხაშვილი, ბ; მშენიერაძე, გ; ყანდაშვილი, ი; ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში, თბილისი, 2016, 19.

⁴⁰ წინა საანგარიშო პერიოდში 402 ბრალდებულიდან 218 (54%) სასამართლოში გამოცხადდა დაკავებულის სტატუსით.

⁴¹ წინა საანგარიშო პერიოდში 290 ბრალდებულიდან 140 (48%) სასამართლოში გამოცხადდა დაკავებულის სტატუსით. 116 (83%) შემთხვევაში სასამართლომ არ განიხილა დაკავების კანონიერება და მხარეებსაც არ უხსენებიათ აღნიშნული საკითხი სასამართლო სხდომაზე.

⁴² წინა საანგარიშო პერიოდში 4 (17%) შემთხვევაში არსებობდა მოსამართლის განჩინება პირის დაკავების შესახებ. დანარჩენ 20 (83%) შემთხვევაში პირი დააკავეს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.

მართალია, პროცესზე დაცვის მხარეს არ მოუთხოვია, თუმცა, მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით გადახედა დაკავების საკითხს და ის უკანონოდ ცნო. მოსამართლემ აღნიშნა, რომ ბრალდებული თავად გამოცხადდა სამართალდამცავ ორგანოში და პროკურორის მხრიდან მითითება, თითქოს სახეზე იყო მიმალვის საფრთხე, იყო გაუმართლებელი. შესაბამისად, არ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობით დაკავების საფუძველი. მოსამართლემ ასევე აღნიშნა, რომ დანაშაული აპრილის თვეში მოხდა, მას შემდეგ გასული იყო 8 თვე და დაკავება ამის შემდეგ მოხდა. მოსამართლემ ბრალდებული პატიმრობიდან გაათავისუფლა და აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაო შეუფარდა.

საიამ დააფიქსირა 3 შემთხვევა, როდესაც დაცვის მხარე საუბრობდა დაკავების უკანონობაზე, თუმცა, სასამართლოს ამ შემთხვევებში საერთოდ არ უმსჯელია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ბრალდებული დააკავეს გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით. დაცვის მხარე საუბრობდა დაკავების უკანონობაზე და აღნიშნავდა, რომ არ არსებობდა ბრალდებულის გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით დაკავების საფუძველი, ვინაიდან ბრალდებული არ მიმალულა. დაკავებისას პირი მიდიოდა სამსახურში და ამის შესახებ იცოდნენ პოლიციის თანამშრომლებმაც.

მოსამართლეს საერთოდ არ უმსჯელია დაკავების კანონიერებაზე, მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატის შუამდგომლობა ემყარებოდა გადაუდებელი აუცილებლობით ბრალდებულის დაკავების უსაფუძვლობას.

ამდენად, ხშირი უარყოფითი პრაქტიკა მიანიშნებს, რომ სასამართლო არ არის ეფექტური დაკავებული პირების უფლებების დაცვაში. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზია გაუმართავი კანონმდებლობა.

VI. სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტები სამართალდამსავი ორგანოების მხრიდან

შესავალი

წამება და არასათანადო მოპყრობა აკრძალულია საქართველოს კონსტიტუციით,⁴³ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით⁴⁴ და ეროვნული კანონმდებლობით.⁴⁵ აღნიშნული აკრძალვები უზრუნველყოფს ინდივიდის დაცვას წამებისა და ღირსების შემლახველი მოპყრობისგან. მნიშვნელოვანია, რომ ამ უფლებების სათანადოდ დაცვისთვის პირმა იცოდეს თავისი უფლებები. სასამართლო სხდომაზე მოსამართლე ვალდებულია, ბრალდებულს განუმარტოს, რომ მის მიმართ წამების ან არაჰუმანური მოპყრობის შემთხვევაში აქვს საჩივრის (სარჩელის) შეტანის უფლება. იმავდროულად, მოსამართლე არკვევს, აქვს თუ არა რაიმე საჩივარი ან შუამდგომლობა ბრალდებულს მისი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით.⁴⁶ ეს ვალდებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც პირი არის დაკავებული ან იმყოფება პატიმრობაში და, შესაბამისად, სრულად სახელმწიფოს კონტროლის ქვეშაა. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლის ეს საზედამხედველო ფუნქცია იყოს ეფექტიანი და მოსამართლე, როგორც ნეიტრალური ზედამხედველი, დაეხმაროს ბრალდებულს, მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში, სწორად წარმართოს შესაბამისი პროცედურები. კანონმდებლობით, მოსამართლეს მხოლოდ ეს შესაძლებლობა აქვს და არ გააჩნია ასეთ ფაქტებზე ეფექტური რეაგირების დამატებითი ბერკეტები.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა 191¹-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც მოსამართლეს უჩნდება უფლებამოსილება, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ წამების, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობის განხორციელების ან შესაძლო განხორციელების შემთხვევაში, მიმართოს შესაბამის საგამოძიებო უწყებას. ზემოაღნიშნული მუხლი ძალაში უნდა შესულიყო 2019 წლის 1-ლ იანვარს, თუმცა, მისი ამოქმედება გადაი-

⁴³ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი.

⁴⁴ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი.

⁴⁵ სსკ-ის 144¹, 144², 144³ მუხლები.

⁴⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 197-ე მუხლის, 1-ლი ნაწილის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტები.

დო 2019 წლის 1-ლ ივლისამდე. გადავადების მიზეზად დასახელდა ის გარემოება, რომ 2019 წლის 1-ლ იანვარს ვერ მოხერხდა „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“ საქართველოს კანონის სრულყოფილი ამოქმედება, რომელიც ამ ტიპის დანაშაულების გამოძიების საკითხებს აწესრიგებს, მიზეზად კი საკმარისი თანხების არარსებობა დასახელდა.

მიუხედავად ზემოთქმული მიზეზისა, გაუგებარია, რატომ არ მოხდა სსსკ-ის 191¹-ე მუხლის ამოქმედება, ვინაიდან, კანონის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში საგამოძიებო უწყების შექმნამდე ამგვარი დანაშაულების გამოძიებაზე პასუხისმგებელი ორგანო საქართველოს პროკურატურაა და მოსამართლეს ამ უწყებისთვის მიმართვა შეეძლო.

სასამართლო სხდომების ანალიზი

წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, ამ პერიოდში შემცირებულია სასამართლო სხდომებზე ბრალდებულთა მხრიდან წამებასა ან/და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები.

მიუხედავად ამისა, სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე ბრალდებულები ან პროცესის მონაწილეები საუბრობდნენ, რომ იყვნენ წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლები სამართალდამცავი უწყებების თანამშრომელთა მხრიდან. პირველი წარდგენის სხდომაზე ასეთი 7 შემთხვევა დაფიქსირდა, წინასასამართლო სხდომაზე – 2, ხოლო არსებითი განხილვის სხდომაზე – 4.

გემოაღნიშნულ 13 საქმიდან 12 შემთხვევაში ბრალდებულები საუბრობდნენ, რომ მათზე მიმდინარეობდა ფსიქოლოგიური ძალადობა, 1 შემთხვევაში კი, ბრალდებული ამბობდა, რომ მასზე ფიზიკურად იძალადეს. ყველა შემთხვევაში მოსამართლემ მიუთითა პროკურორს, დაეწყო გამოძიება ბრალდებულის მხრიდან გაჟღერებული ინფორმაციის საფუძველზე. 13-დან 11 შემთხვევაში პროკურორმა არაფერი იცოდა აღნიშნული ინფორმაციის შესახებ, ხოლო 2 შემთხვევაში გამოძიება უკვე დაწყებული იყო.

VII. წინასასამართლო სხდომაზე მტკიცებულებათა დასაშვებობა

შესავალი

წინასასამართლო სხდომაზე სასამართლო არკვევს იმ მტკიცებულებათა დასაშვებობის საკითხს, რომლებიც ძირითად სხდომაზე განიხილება. ეს ეტაპი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მხოლოდ დასაშვებ მტკიცებულებებზე დაყრდნობით გამოაქვს მოსამართლეს განაჩენი საქმის არსებითი განხილვის შედეგად. გარდა ამისა, ამ ეტაპზევე მიიღება გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან საქმის არსებითად განხილვის გაგრძელების შესახებ.⁴⁷ აღსანიშნავია, რომ დევნის შეწყვეტის საფუძველია არა მხოლოდ არასაკმარისი მტკიცებულებები, არამედ საპროცესო კანონის არსებითი დარღვევაც.

სასამართლოს გადაწყვეტილება წინასასამართლო სხდომაზე დაყენებული შუამდგომლობის მიმართ უნდა იყოს ობიექტური და მიუკერძოებელი ორივე მხარის მიმართ. ბრალდებულის უფლებას მიუკერძოებელ სამართალწარმოებაზე აღიარებს საქართველოს კონსტიტუციის 62-ე მუხლი, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი და გარანტირებულია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.


სასამართლო სხდომების ანალიზი

წინასასამართლო სხდომებზე, მტკიცებულებების დასაშვებობის ნაწილში, მოსამართლეთა მხრიდან მიკერძოებული დამოკიდებულება, არაობიექტურობა, უმეტესად, არ დაფიქსირებულა. აგრეთვე, სასამართლოები, ძირითადად, თანაბრად აკმაყოფილებდნენ როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარის შუამდგომლობებს მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ამ საანგარიშო პერიოდში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების პროცენტულ მაჩვენებელს ბრალდებისა და დაცვის მხარის მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე, 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით.

⁴⁷ სასამართლომ უნდა შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუ ის ალბათობის მაღალი ხარისხით დაადგენს, რომ პროკურატურის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა.

დიაგრამა №17



ამ საანგარიშო პერიოდში არ ყოფილა შემთხვევა წინასასამართლო სხდომაზე, როდესაც მოსამართლემ შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა.

ბრალდების მხარის შუამდგომლობები მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე:

- ბრალდების მხარემ, სადაც ეს შესაძლებელი იყო,⁴⁸ 420 შემთხვევაში დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე;
- 420 წინასასამართლო სხდომიდან, რომელზეც მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხი განიხილებოდა, ადვოკატი ჰყავდა 323 (77%) ბრალდებულს.⁴⁹

დაცვის მხარის ზომიერად პროკურატურის შუამდგომლობებთან დაკავშირებით მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ:

- 201 (48%) შემთხვევაში სრულად დაუჭირა მხარი მტკიცებულებების დასაშვებად ცნობას;

⁴⁸ 433 წინასასამართლო სხდომიდან: 8 სხდომა გადაიდო, 5 სხდომაზე პროკურორს არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, ვინაიდან წინასასამართლო სხდომის მეორე პროცესი იყო.

⁴⁹ 207 დაკავებულიდან 168 (81%) ბრალდებულს ჰყავდა ადვოკატი.

- 32 (8%) შემთხვევაში ნაწილობრივ დაეთანხმა ბრალდების მხარეს მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე;
- 187 (44%) შემთხვევაში სრულად არ დაუჭირა მხარი პროკურორის შუამდგომლობას.

დაცვის მხარის შუამდგომლობები მტკიცებულებების დასაშვებობის თაობაზე:

დაცვის მხარემ 141 (34%) შემთხვევაში წარმოადგინა მტკიცებულებების სასამართლოში და მოითხოვა მათი დასაშვებად ცნობა. აქედან, ბრალდების მხარე 90 შემთხვევაში (64%) სრულად დაეთანხმა დაცვას მტკიცებულებების დასაშვებობაზე, 7 (5%) შემთხვევაში ნაწილობრივ დაუჭირა მხარი, ხოლო 44 (31%) შემთხვევაში დააყენა შუამდგომლობა დაცვის მხარის მტკიცებულებების დაუშვებლად ცნობაზე. წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, 13 პროცენტული ერთეულით არის გაზრდილი დაცვის მხარის აქტიურობა მტკიცებულებების დასაშვებობის მოთხოვნის ნაწილში.⁵⁰

ამდენად, წინასასამართლო სხდომები, წინა საანგარიშო პერიოდების ანალოგიურად, ყოველგვარი ექსცესების გარეშე მიმდინარეობდა. სასამართლოს მხრიდან, უმეტესად, არ გამოვლენილა რომელიმე მხარის მიმართ მიკერძოებული ან არაობიექტური დამოკიდებულება.

ადვოკატის შუამდგომლობის საფუძველზე, მოსამართლემ ორ შემთხვევაში საქმე დაუბრუნა პროკურორს ბრალდებულის მიმართ განრიდების გაფორმების მიზნით. აღნიშნული შემთხვევები წარმოადგენს პირის საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ მიღებულ გადაწყვეტილებას, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს.

⁵⁰ წინა საანგარიშო პერიოდში დაცვის მხარემ 21% შემთხვევაში დააყენა შუამდგომლობა მტკიცებულებების დასაშვებობის შესახებ.

გადაუდგებელი აუცილებლობით ჩხრეკისა და ამოღების ჩატარება და სასამართლო კონტროლი

შესავალი

ჩხრეკა და ამოღება წარმოადგენს პირის პირადი ცხოვრების უფლებებაში მასშტაბურ ჩარევას, რომლის საფუძველზეც ხდება საქმისთვის მნიშვნელოვანი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან ინფორმაციის შემცველი სხვა საშუალების მოძებნა, ამოღება და საქმეზე მისი გამოყენება. აღნიშნულის გამო, კანონმდებლობის მიხედვით, ჩხრეკა და ამოღება, ძირითად შემთხვევებში, ტარდება სასამართლოს წინასწარი ნებართვით. თუმცა, როდესაც არსებობს ისეთი უკიდურესი ვითარება, რომ ჩხრეკის ან ამოღების დაწყების თუნდაც მცირე ხნით დაყოვნებამ შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები გამოიწვიოს, შესაძლებელია აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდეს სასამართლოს ნებართვის გარეშე, პროკურორის ან საგამოძიებლის დადგენილების საფუძველზე.⁵¹ ამდენად, კანონმდებლის მოთხოვნაა, ჩხრეკა და ამოღება გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ჩატარდეს და ძირითად წესად საგამოძიებო მოქმედებების დაწყებამდე სასამართლოს მხრიდან ნებართვის გაცემას განსაზღვრავს.

სასამართლო სხდომების ანალიზი

სასამართლო პროცესებზე დაკვირვების შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროკურატურა ამ საანგარიშო პერიოდშიც ძირითადი წესის უგულებელყოფით ატარებს ჩხრეკასა და ამოღებას და ძალიან ხშირად იყენებს საგამონაკლისო წესს აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების ჩასატარებლად. წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, უმნიშვნელოდ შემცირდა საგამონაკლისო წესით, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკა-ამოღების და მათი კანონიერად ცნობის პროცენტული მაჩვენებელი. მიუხედავად ამისა, მაინც ძალიან მაღალი მაჩვენებელია და კანონმდებლობის ზემოხსენებული მოთხოვნები – გადაუდებელი აუცილებლობით ჩხრეკისა და ამოღების საგამონაკლისო წესით ჩატარებასთან დაკავშირებით – არ სრულდება.


⁵¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილები.

420 წინასასამართლო სხდომიდან პროკურორმა 198 შემთხვევაში წარმოადგინა ჩხრეკისა და ამოღების ოქმი და მოითხოვა საქმეში მტკიცებულებად დართვა. აქედან 26 შემთხვევაში უცნობია, თუ რა წესით მოხდა ჩხრეკის და ამოღების ჩატარება.

თუმცა, ბრალდების მხარის შუამდგომლობებიდან ან პროცესზე გაჟღერებული გარემოებებიდან გამომდინარე, დადგინდა, რომ ჩხრეკისა და ამოღების ჩატარების 172 შემთხვევიდან, მხოლოდ 21 (12%) ჩატარდა სასამართლოს წინასწარი ნებართვით, ხოლო 151 (88%) – გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით. ამ საანგარიშო პერიოდში სასამართლომ მტკიცებულებად არ დაუშვა და არ დააკმაყოფილა პროკურორის 1 შუამდგომლობა ჩხრეკის შესახებ, 23 შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე მონიტორმა ვერ გამოარკვია, რა გადაწყვეტილება ჰქონდა მიღებული სასამართლოს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების კანონიერად ცნობასთან დაკავშირებით გამოვლენილ სიტუაციას მონიტორინგის იმ პერიოდების განმავლობაში, რომლებშიც საია აღნიშნული საგამოძიებო მოქმედების კანონიერების სიხშირეს აკვირდებოდა

დიაგრამა № 18



შეუძლებელი იყო იმის გარკვევა, გადაუდებელი აუცილებლობით ჩატარებული ჩხრევისა და ამოღების შემდგომი დაკანონება სასამართლოს მხრიდან ხორციელდებოდა თუ არა დასაბუთებულად, ვინაიდან ისინი, ძირითადად, არ განიხილება ზეპირი მოსმენით. თუმცა, ის ფაქტი, რომ საგამოძიებო მოქმედებები შემთხვევათა 88%-ში საგამონაკლისო წესით ჩატარდა და მხოლოდ ჩატარების შემდეგ დაკანონდა, წარმოშობს ეჭვებს, რომ სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლოები არ ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც, არ უნდა ჩაატარონ ან კანონიერად ცნონ საგამოძიებო მოქმედება, რომელიც არ არის სათანადოდ არგუმენტირებული და ტარდება გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე.

VIII. სამართალწარმოება საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით

შესავალი

საპროცესო შეთანხმება სამართალწარმოების დაჩქარებული სახეა, რომლის თანახმადაც, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებასა ან ნაწილობრივ მოხსნაზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის თანახმად, თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოსატანად საკმარისი მტკიცებულებებია წარმოდგენილი, ბრალდებულისგან კანონით გათვალისწინებულ გარემოებებთან დაკავშირებით დამარწმუნებელ პასუხებს მიიღებს და, თუკი პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელი არის კანონიერი და სამართლიანი, მას გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს სასჯელის სამართლიანობა, მოსამართლემ უნდა განიხილოს არსებული გარემოებები, ბრალდებულის ინდივიდუალური მახასიათებლები, დანაშაულის ჩადენის გარემოებები და შეთანხმებული სასჯელი. კანონი არ აკონკრეტებს, თუ როგორ უნდა მოხდეს სასჯელის სამართლიანობის უზრუნველყოფა, თუმცა, სასჯელის შეფარდების ზოგადი პრინციპების მიხედვით, შესაძლებელია აღნიშნული კრიტერიუმის დასაბუთება. მაგალითად, ჯარიმის შეფარდებისას მოსამართლეს შეუძლია, გამოარკვიოს: როგორია ბრალდებულის ფინანსური მდგომარეობა; შეუძლია თუ არა მას ჯარიმის გადახდა; არის თუ არა ჯარიმის თანხა მიყენებული ზიანის შესაბამისი; გარემოებები, რომლებშიც დანაშაული იყო ჩადენილი და მოსალოდნელი სასჯელის ზომა.


მონიტორინგის შედეგები

ამ საანგარიშო პერიოდში საია დაესწრო 500 სხდომას, რომელიც შეეხებოდა საპროცესო შეთანხმებას. 500 სხდომაზე ბრალდებულის სახით წარმოდგენილი იყო 535 პირი. სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება მხოლოდ 1 შემთხვევაში. 534 საპროცესო შეთანხმებიდან ყველაზე მეტი – 172 საქმე – შეეხებოდა ნარკოტიკულ

დანაშაულს, 153 საქმე – საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს, საიდანაც 122 იყო ქურდობის შემთხვევა.

ქვემოთ იხილეთ დიაგრამა, სადაც ასახულია დანაშაულები, რომლებზეც შედგა საპროცესო შეთანხმებები, 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით

დიაგრამა №19



სასამართლო სხდომების ანალიზი

კანონით გათვალისწინებული უფლებების განმარტება, პროცესის ხანგრძლივობა

მოსამართლე ვალდებულია, ბრალდებულს განუმარტოს ყველა ის უფლება, რომელიც მოცემულია სსსკ-ის 212-ე მუხლში და აუცილებელია, აღნიშნული განხორციელდეს არატექნიკური ენით, რათა ბრალდებულისთვის/მსჯავრდებულისთვის გასაგები იყოს უფლებები. უფლებების განმარტებისა და მოსამართლის შეკითხვებზე დამატებითი პასუხების მიღების აუცილებლობაზე მეტყველებს ისიც, რომ მოსამართლეს შეუძლია, უარი თქვას საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე, თუ კანონით გათვალისწინებულ გარემოებებზე ბრალდებულისგან დამარწმუნებელ პასუხებს ვერ მიიღებს.

მონიტორინგის შედეგები

წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, მოსამართლეების მხრიდან კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების სრულყოფილად განმარტების კუთხით მდგომარეობა გაუმჯობესდა. კერძოდ, მხოლოდ 53 (10%) შემთხვევაში⁵² მოსამართლეს არ განუმარტავს ბრალდებულისთვის, რომ, თუ სასამართლო არ დაამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას, დაუშვებელია, მომავალში მის წინააღმდეგ იყოს გამოყენებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი სასამართლოს საპროცესო შეთანხმების განხილვისას მიაწოდებს. აგრეთვე, 34 (6%) შემთხვევაში მოსამართლემ არ განუმარტა ბრალდებულს, რომ მის მიერ საჩივრის შეტანა წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ფაქტზე ხელს არ შეუშლის კანონის დაცვით დადებული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას.⁵³

აუცილებელია, სასამართლომ სრულყოფილად გააცნოს ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლებები. სწორედ აღნიშნული უზრუნველყოფს იმას, რომ სასამართლომ გამოიტანოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულის ნებასაც ასახავს.

აღსანიშნავია, რომ საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული სხდომების 43%⁵⁴ მიმდინარეობდა 5-15 წუთის განმავლობაში. **ამასთან, 26 სასამართლო სხდომა მიმდინარეობდა არაუმეტეს 5 წუთის განმავლობაში.**


ქვემოთ იხილეთ დიაგრამა, რომელმაც ასახულია საპროცესო შეთანხმების შესახებ სხდომების ხანგრძლივობა, 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით

⁵² წინა საანგარიშო პერიოდში 303 სხდომიდან 60 (20%) შემთხვევა დაფიქსირდა.

⁵³ წინა საანგარიშო პერიოდში 303 სხდომიდან 44 (14%) შემთხვევა დაფიქსირდა.

⁵⁴ 500 სხდომიდან 213 ჩატარდა 15 წუთამდე დროში.

დიაგრამა №20



5-15 წთ-მდე დროში, მითუმეტეს 5 წუთამდე პერიოდში, შეუძლებელია, სასამართლომ სსსკ-ის XXI თავში მოცემული უფლებები ბრალდებულს განუმარტოს სრულყოფილად, დარწმუნდეს, რომ ბრალდებული თანახმაა საპროცესო შეთანხმებაზე, განიხილოს, რამდენად თანაბომიერია საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული სასჯელის ზომა/ფორმა და სწორედ ამის შემდგომ მიიღოს გადაწყვეტილება.

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა 43 შემთხვევა, როდესაც სასამართლო სხდომაზე მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი წარმოადგინა პროკურორმა. აღსანიშნავია, რომ 43-დან 23 შემთხვევაში, მოსამართლემ თავად სთხოვა ბრალდების მხარეს, წაეკითხა მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი. ბრალდებულის უფლებება, სასამართლომ მისი საქმე ღიად და საჯაროდ განიხილოს, რაც ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ქვაკუთხედი. სწორედ ბრალდებულის უფლებიდან გამომდინარეობს, რომ დაინტერესებულმა მესამე მხარემ მიიღოს ინფორმაცია სასამართლო პროცესის გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის შესახებ. ის გარემოება, რომ სასამართლო თავად სთხოვს ბრალდების მხარეს პოზიციის მხოლოდ სარეზოლუციო (შემაჯამებელი) ნაწილის წარმოდგენას, პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის სამართლიანი განხილვის უფლებასთან, ვინაიდან ბრალდებულს ერთმევა შესაძლებლობა, მისი საქმის განხილვა მოხდეს გამჭვირვალედ, რაც, ერთი მხრივ,

სასამართლოს მიმართ სანდოობის ხარისხს ამცირებს და, მეორე მხრივ, ბრალდებულის უფლებების ჯეროვნად განხორციელებას უშლის ხელს.

ბრალდებულისთვის ხშირად გაუგებარია მოსამართლეების განმარტებები. სხდომაზე დასწრებისას რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ბრალდებულებს ხშირ შემთხვევაში არ ესმოდათ, რა განმარტებებს აკეთებდა მოსამართლე. ასევე, ზოგჯერ ბრალდებულის მხრიდან არ იკვეთებოდა საპროცესო შეთანხმების დადების ნების ნათელი გამოხატვა, თუმცა, მოსამართლეს სხდომაზე აღნიშნული საკითხი არ გამოუკვლევია.

სასამართლოს მიდგომაში სასჯელის სამართლიანობისა და კანონიერების შემოწმებასთან დაკავშირებით

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 212-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე და არ არის ვალდებული, დაამტკიცოს ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმება. მოსამართლის ეს უფლება მნიშვნელოვანი ბერკეტი იმისათვის, რომ გააკონტროლოს საპროცესო შეთანხმების პირობების სამართლიანობა/კანონიერება და თავიდან აირიდოს ამ ინსტიტუტის ბოროტად გამოყენება.

მართალია, კანონმდებლობა მოსამართლეს არ უტოვებს უფლებას, სასჯელი ავტონომიურად შეამციროს ან შეცვალოს, მაგრამ ეს არ ამართლებს მოსამართლის მხრიდან პროკურატურის მიერ შეთავაზებულ გადაწყვეტულად მსუბუქ ან მძიმე სასჯელზე დათანხმებას იმ მოტივით, რომ ბრალდების მხარემ შუამდგომლობა ამგვარი პირობებით წარადგინა. სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სასჯელის შეფარდება. შესაბამისად, მოსამართლე ყურადღებით უნდა დააკვირდეს სასჯელის განსაზღვრის პროცესს და არ დაუშვას ბრალდებულისთვის შეუსაბამო სანქციის დაკისრება.⁵⁵

⁵⁵ სახელმძღვანელო წინადადებები სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმის, მისი დასაბუთებლობისა და ტექსტის სტილისტიკური გამართულობის თაობაზე, თბილისი, 2015, 63.

მონიტორინგის შედეგები

კანონით მინიჭებული ასეთი მნიშვნელოვანი უფლების მიუხედავად, ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოსამართლეები, უმეტესად, არ დაინტერესებულან, რამდენად სამართლიანი და კანონიერი იყო მხარეების მიერ განსამზღვრული სასჯელი. უფრო მეტიც, პროკურორის მიერ წარდგენილი 535 შუამდგომლობიდან მოსამართლემ 534 (100%) საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა და აქედან მხოლოდ 11 (2%) შემთხვევაში აღნიშნა, რომ სამართლიანად მიაჩნდა ის სასჯელი, რომელიც ბრალდებულს შეეფარდა და ეს ბრალდებულისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება იყო.

ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლოს მხრიდან საპროცესო შეთანხმების შესახებ განცხადების გულმოდგინედ განხილვის პირობებში, შესაძლებელი იყო საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმა, ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო.⁵⁶

საილუსტრაციოდ იხილეთ:

პირს ბრალი ედებოდა სკოლის ტერიტორიიდან საქართველოს და ევროკავშირის დროშების ქურდობა, თითოეული დროშის ღირებულება - 9 ლარი (სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). პირი ნასამართლევი არ ყოფილა. დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომლითაც პირს განესამზღვრა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაეთვალა პირობითად.

1 შემთხვევაში მოსამართლემ პროკურორს შეაცვლევინა პირობები, ვინაიდან პროკურორის მიერ მოთხოვნილი პირობა ქმნიდა რისკს, რომ ბრალდებულის კანონიერი ინტერესები დაზარალდებოდა.

საილუსტრაციოდ იხილეთ მაგალითი, როდესაც მოსამართლემ პროკურორს მოსთხოვა საპროცესო შეთანხმებიდან პირობის ამოღება:

⁵⁶ სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილი.


მოსამართლემ პროკურორს დაუბრუნა საქმე და მოსთხოვა საპროცესო შეთანხმების პირობებიდან ამოეღო ერთ-ერთი პირობა, კერძოდ – ბრალდებულის დავალდებულება, მიეცა საქმეში მონაწილე სხვა პირის მამხილებელი ჩვენება. მოსამართლემ ადვოკატსაც ჰკითხა, თუ რატომ ეთანხმებოდა ამ პირობას. აღნიშნული პირობის ამოღების შემდეგ სასამართლომ დაზუსტებული პირობებით დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება.

აღნიშნულით მოსამართლემ გამოიჩინა კეთილგონიერება. პროკურატურის მიერ წარმოდგენილი პირობებით საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში, იქმნებოდა ბრალდებულის მიერ კონკრეტული პირის წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენების მიცემის რისკი მხოლოდ იმის გამო, რომ ეს საპროცესო შეთანხმებაში ეწერა, თუმცა, თავისუფალი ნების პირობებში ის ამ ტიპის ჩვენებას არ მისცემდა.

საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული სასჯალები

სასამართლოების მონიტორინგმა აჩვენა, რომ ხშირია საპროცესო შეთანხმების შედეგად პირობითი მსჯავრის შეფარდების შემთხვევები, რომლებიც დამოუკიდებლად ან სხვადასხვა სახის სასჯელებთან ერთად გამოიყენება.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საპროცესო შეთანხმების საფუძველზე შეფარდებული სასჯელების პროცენტულ მაჩვენებლებს დიაგრამა №21




ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საგრძნობად გაიზარდა იმ ბრალდებულთა პროცენტული მაჩვენებელი, რომლებსაც საპროცესო შეთანხმების შედეგად ჯარიმა დაეკისრათ.⁵⁷

⁵⁷ ამ საანგარიშო პერიოდში ჯარიმა, როგორც ძირითადი სახე ან/და როგორც დამატებითი სასჯელის სახე, გამოყენებული იყო 45% შემთხვევაში. წინა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი 40%-ით განისაზღვრა.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ჯარიმების გამოყენების სიხშირეს მონიტორინგის იმ პერიოდების განმავლობაში, როდესაც საია აღნიშნულ საკითხებს აკვირდებოდა (2012 წლის ივლისიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით)

დიაგრამა №22



შემცირდა საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმების საშუალო მაჩვენებელი და 4238 ლარით განისაზღვრა. წინა საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მონაცემი 4533 ლარს შეადგენდა.


ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმების საშუალო ოდენობას 2012 წლის ივლისიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით

დიაგრამა №23



ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საპროცესო შეთანხმებით დაკისრებული ჯარიმის ოდენობების პროცენტულ მაჩვენებელს


დიაგრამა №24



შემცირებულია საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი. თუ წინა საანგარიშო პერიოდში ამ სახის სასჯელები გამოყენებული იყო შემთხვევათა 22%-ში, ამჯერად აღნიშნული მონაცემი 17%-ით განისაზღვრა. საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების 5 პროცენტული ერთეულით შემცირება და ჯარიმის გამოყენების 5 პროცენტული ერთეულით ზრდა უარყოფითად უნდა შეფასდეს.

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საპროცესო შეთანხმებებით ბრალდებულთა მიმართ საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების სიხშირეს იმ პერიოდების განმავლობაში, როდესაც საია აღნიშნულ საკითხებს აკვირდებოდა (2012 წლის ივლისიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით)

დიაგრამა №25



დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინება სისოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებთან დაკავშირებით

კანონმდებლობის მიხედვით, პროკურორი ვალდებულია, საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია და შეატყობინოს მას საპროცესო შეთანხმების დადების ფაქტი. აღნიშნულის თაობაზე პროკურორი ადგენს ოქმს.⁵⁸ დაზარალებულს არ აქვს შესაძლებლობა, რაიმე ზემოქმედება მოახდინოს საპროცესო შეთანხმების პროცედურაზე ან გაასაჩივროს მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმება, თუმცა, შეუძლია, სასამართლოს წერილობით ან ზეპირად მიაწოდოს ინფორმაცია იმ მიზნის შესახებ, რომელიც მას მიადგა დანაშაულის შედეგად.⁵⁹ მართალია, დაზარალებულის უარი არ არის დამაბრკოლებელი გარემოება საპროცესო შეთანხმების გაფორმებისთვის, მაგრამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჭიროა, პროკურორმა აქტიურად ითანამშრომლოს დაზარალებულთან.

მონიტორინგის შედეგები

სასამართლო სხდომაზე საპროცესო შეთანხმების განხილვის პროცესში დაზარალებულის ინტერესები და სამართალწარმოებაში მისი ჩართულობა უგულებელყოფილი ან/და ფრაგმენტულია. აღნიშნული, საკანონმდებლო ხარვეზებთან ერთად, პრაქტიკის ნაკლოვანებით და პროკურორთა და მოსამართლეთა არასათანადო მგრძობელობით არის განპირობებული. სასამართლოს მიერ დამტკიცებული საპროცესო შეთანხმებებიდან 178 საქმე ეხებოდა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებს. თუმცა, ამ საქმეებიდან 126 (71%) შემთხვევაში ისე დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომ დაზარალებულის პოზიციას ან მის ინტერესებზე პროკურორს არ უსაუბრია და, შესაბამისად, პროცესზე არ განხილულა. მხოლოდ 52 (29%) შემთხვევაში წარმოადგინა ბრალდების მხარემ დაზარალებულთან კონსულტაციის ოქმი ან გააჟღერა მისი პოზიცია პირის დასჯასთან დაკავშირებით. აღნიშნული მონაცემი

⁵⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 217-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁵⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 217-ე მუხლის 1¹-ლი და მე-2 პუნქტები.

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით გაზრდილია.⁶⁰

სატრანსპორტო დანაშაული

ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა მოცემულია სსკ-ის 276-ე მუხლში. აღნიშნული წარმოადგენს გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულს, რომელიც გამოწვეულია მძღოლის დაუდევრობით/თვითიმედოვნებით. ამ საანგარიშო პერიოდში საპროცესო შეთანხმება გაფორმდა 25 ბრალდებულთან, რომელსაც ბრალი ედებოდა სსკ-ის 276-ე მუხლით ინკრიმინირებული ქმედების ჩადენაში.

პროკურორმა სასამართლო სხდომაზე 11 შემთხვევაში წარმოადგინა დამარალებულის/დამარალებულის უფლებამონაცვლის განცხადება, კერძოდ, ამ შემთხვევებში პროკურორმა დამარალებულს აცნობა, რომ ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმება ფორმდებოდა.

25-დან 6 შემთხვევას მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა. ასეთ დროს კიდევ უფრო მნიშვნელოვანია დამარალებულის უფლებამონაცვლის ინფორმირება ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ და პროკურორის მხრიდან დამარალებულის უფლებამონაცვლის პოზიციის გათვალისწინება. საიას მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ 6-დან 3 შემთხვევაში სხდომაზე გაჟღერდა დამარალებულის უფლებამონაცვლის პოზიცია.

ადვოკატის მონაწილეობა საპროცესო შეთანხმების სასამართლო განხილვის პროცესში

საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს კანონმდებლობა იმპერატიულად მოითხოვს, რომ ბრალდებულს ჰყავდეს ადვოკატი.⁶¹ საპროცესო შეთანხმების შეთავაზების დაწყების მომენტიდან ადვოკატის ძირითადი მოვალეობა არის ბრალდებულისთვის კვალიფიციური იურიდიული კონსულტაციის გაწევა. მართალია, სასამართლო პროცესებზე ადვოკატი მოკლებულია შესაძლებლობას, ამტკიცოს პირის

⁶⁰ წინა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შემთხვევათა 13%-ში სასამართლო სხდომაზე იყო გამოკვლეული დამარალებულის პოზიცია ან პროკურორმა წარმოადგინა დამარალებულთან კონსულტაციის გავლის ოქმი.

⁶¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 45-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი.

უდანაშაულობა ან ბრალდებულისთვის შეღავათიანი პირობების გამოყენება, თუმცა, ადვოკატის მხარდაჭერა გამოიხატება იურიდიული დახმარებისა და კვალიფიციური კონსულტაციის განწვევაში.

მონიტორინგის შედეგები

535 ბრალდებულს ჰყავდა 511 ადვოკატი. მონიტორინგის მიმდინარეობისას ვერ მოხერხდა იმის დადგენა, 511 ადვოკატიდან 143 მათგანი იყო სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნული თუ კერძო ადვოკატი.

367 ადვოკატიდან 120 (33%) იყო ბრალდებულის მიერ საკუთარი ხარჯებით დაქირავებული ადვოკატი. აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევებში ადვოკატებსა და ბრალდებულებს შორის კომუნიკაციის პრობლემა იყო მინიმალური, კერძოდ, 120-დან 11 (9%) შემთხვევაში ბრალდებულსა და ადვოკატს არ ჰქონდათ ეფექტიანი კომუნიკაცია.

სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნულ ადვოკატებსა და ბრალდებულებს შორის კომუნიკაციის პრობლემა გამოიკვეთა 247 საქმიდან 56 (23%) შემთხვევაში. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემი წინა საანგარიშო პერიოდში დაფიქსირებულ მაჩვენებელზე გაცილებით ნაკლებია.⁶²

საიას მონიტორმა დააფიქსირა, რომ სასამართლო სხდომის დარბაზში შესვლისას ადვოკატი კითხულობდა, თუ რომელი მათგანი იყო ბრალდებული.

⁶² წინა საანგარიშო პერიოდში 150-დან 72 (48%) შემთხვევაში იყო კომუნიკაციის პრობლემა.

IX. საქმის არსებითი განხილვის დროს გამოვლენილი ტენდენციები

სასამართლო სხდომების გაჭიანურების პრობლემა

შესავალი

სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულება სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც გარანტირებულია როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო სტანდარტებით.⁶³ პროცესის ეფექტური მართვა, რაც დაკავშირებულია ბრალდებულის გონივრულ ვადაში გასამართლების უფლებასთან, სასამართლოს პასუხისმგებლობის საკითხია. გონივრულ დროში გასამართლების უფლება ათავისუფლებს სასამართლო პროცესის მოლოდინში მყოფ პირებს ხანგრძლივი გაურკვევლობისგან.

მართლმსაჯულების გაჭიანურება ზიანს აყენებს სასამართლო სისტემის რეპუტაციას, მართლმსაჯულების ეფექტიანობას, სანდოობას. სამართალწარმოების ხანგრძლივობა უარყოფითად აისახება მტკიცებულებათა ხარისხსა თუ დასაშვებობაზე.

სასამართლო ვალდებულია, ჯეროვნად და დროულად განიხილოს მისთვის წარდგენილი საქმე. მოსამართლის ავადმყოფობა, სასამართლოთა გადატვირთულობა, კადრების სიმცირე, დანაშაულის რიცხვის ზრდა თუ სხვა მიზეზი არ არის საპატიო მიზეზი და დაყოვნების გამამართლებელი გარემოება. სახელმწიფოს ვეგლება სასამართლო სისტემის იმგვარად ორგანიზება, რომ უზრუნველყოფილი იყოს სამართალწარმოების გონივრულ ვადაში განხორციელება.

სასამართლო ვალდებულია, პრიორიტეტულად განიხილოს ის სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა.⁶⁴ ამავე კოდექსის მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისთვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან

⁶³ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, მუხლი 6(1), საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, მუხლი 14(3)(გ).

⁶⁴ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 8 (2,3).

არაუგვიანეს 24 თვისა.⁶⁵

არის შემთხვევები, როდესაც სისხლის სამართლის საქმეები წლების განმავლობაში მიმდინარეობს ისე, რომ კონკრეტული შედეგი არ დგება და მართლმსაჯულება სათანადოდ ვერ ხორციელდება. პროცესების არაგონივრული დროით წარმოებით ირღვევა როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ვადები, ასევე, სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტები.

საიას მონიტორებმა პროცესის დაგვიანებით დაწყებისა და განხილვის გადადების მრავალი შემთხვევა დააფიქსირეს, რაც საქმის წარმოების წლობით გაგრძელებისა და გაჭიანურების მნიშვნელოვანი განმაპირობებელი ფაქტორებია.


პროცესის გადადება

ამ საანგარიშო პერიოდში საია დაესწრო 1202 საქმის არსებითი განხილვის სხდომას, საიდანაც 606 (50%) შემთხვევაში განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული არაუმეტეს ერთი მოქმედება, ხოლო 606-დან 477 სხდომა გახსნისთანავე გადაიდო. როგორც წესი, გადადების საფუძველი სათანადოდ არ იყო დასაბუთებული. რამდენიმე შემთხვევაში კი, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ გადადება საქმის წარმოების გაჭიანურებას ემსახურებოდა.

⁶⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 185(6).

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ სასამართლო სხდომის გადადების მიზეზები

დიაგრამა №26



- სასამართლო სხდომების გადადების ყველაზე ხშირი მიზეზი იყო პროკურორის მოწმეთა არყოფნა – 32% (195 პროცესი). ძირითადად, პროკურორი პროცესზე მხოლოდ აცხადებდა, რომ ვერ შეძლო მოწმეების წარმოდგენა, სხვა დამატებით მიზეზებზე მსჯელობას ადგილი არ ჰქონია. რიგ შემთხვევებში ამ საფუძვლით გედიზედ რამდენიმე სხდომა გადაიდო.

„ბათუმის ციხის ყოფილი უფროსების“ საქმის გაჭიანურება

საია მონიტორინგს უწევს ბათუმის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე ე.წ. „ციხის ყოფილი უფროსების საქმეს“. ბათუმის ციხის ყოფილი უფროსის და რეჟიმის უფროსის საქმეზე, წლებია, სასამართლო განხილვა მიმდინარეობს. ბრალდებულებს ბრალი ედებათ დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობაში მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაშემლუდული ორი ან მეტი პირის მიმართ (სსკ-ის 144³-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით).

ასზე მეტი პატიმრის საჩივრის საფუძველზე დაწყებული გამოძიების შემდეგ, საქმის განხილვა ბათუმის საქალაქო სასამართლოში 2014 წლის 4 მარტს დაიწყო და თითქმის 5 წელია მიმდინარეობს.

სასამართლოების მონიტორინგმა აჩვენა, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში საქმე ჭიანურდება. იყო შემთხვევები, როდესაც პროცესები რამდენიმეთვიანი ინტერვალით ინიშნებოდა. სასამართლო სხდომების გადადების ძირითადი საფუძვლებია ბრალდების მხარის მიერ მოწმეთა წარუდგენლობა, მოსამართლის ავადმყოფობა. იყო შემთხვევა, როდესაც 1 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი სასამართლო სხდომა ჩატარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ პროცესის გაჭიანურების თაობაზე პრეტენზია აქვთ დაზარალებულად ცნობილ პირებს, ასევე ბრალდებულებს.

აღნიშნულ საქმეზე გასულია სასამართლოში საქმის განხილვის კანონით გათვალისწინებული ვადა. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც არასაპატიმრო საქმეს, მას გააჩნდა ცვლილების ამოქმედებიდან 36-თვიანი (3-წლიანი)⁶⁶ განხილვის ვადა, რომელიც 2019 წლის 1-ლ იანვარს ამოიწურა. საიას მოსაზრებით, ერთმნიშვნელოვანია პროცესის გაჭიანურება, რაც დადასტურებულია კანონით დადგენილი ვადების დარღვევითაც.⁶⁷

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, მხარე ვალდებულია, უზრუნველყოს საკუთარ მოწმეთა გამოცხადება.⁶⁸ ამასთან, ხშირად უცნობი რჩება, წინასწარ, გონივრული ვადით ადრე დაიბარა პროკურორმა მოწმეები თუ არა და ხომ არ იყო მხარის მიერ მოწმეთა წარმოდგენასთან დაკავშირებით გულგრილი დამოკიდებუ-

⁶⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 333-ე მუხლის მე-8 ნაწილი: „პირველი ინსტანციის სასამართლოს ამ კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის ამოქმედების მომენტისათვის სასამართლოში განსახილველად არსებულ სისხლის სამართლის საქმეებზე განაჩენი გამოაქვს იმავე ნაწილის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 36 თვისა“. <https://matsne.gov.ka/document/view/90034?publication=103>.

⁶⁷ აღნიშნული ინფორმაცია დამუშავდა 2019 წლის 2 მაისს.

⁶⁸ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 228 (1).

ლება. იმ შემთხვევაში, როდესაც მოწმე უარს აცხადებს გამოცხადებაზე, კანონმდებლობა მხარეს ანიჭებს უფლებამოსილებას, დააყენოს შუამდგომლობა მოწმის გამოძახების თაობაზე, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოწმეს უკვე სასამართლო გამოიძახებს, გამოცხადებლობის შემთხვევაში კი, შესაძლებელია მისი იძულებით მიყვანა.⁶⁹ ამ საანგარიშო პერიოდში პროკურორმა 195 სხდომიდან, რომელიც მოწმეთა არყოფნის გამო გადაიდო, მხოლოდ 3 შემთხვევაში დააყენა სასამართლოს წინაშე ზემოაღნიშნული შუამდგომლობა.

საპროცესო შეთანხმების დადების მოტივით გადაიდო სხდომების 23% (140 სხდომა). არაერთმა საქმემ ცხადყო, რომ ხშირ შემთხვევაში საპროცესო შეთანხმებაზე მოლაპარაკება პროცესის გადადების საბაბია და არა – რეალური მიზეზი. მართალია, არის შემთხვევები, როდესაც რეალური ინტერესი არსებობს საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით, თუმცა, მხარეები არასათანადო გულმოდგინებით ეპყრობიან აღნიშნულ საკითხს და არ ცდილობენ, რომ მოლაპარაკების პროცესი სწრაფად და გაჭინურების გარეშე წარიმართოს.

ერთ-ერთ საქმეზე სასამართლო განხილვა მიმდინარეობდა 2015 წლიდან. 2018 წლის მარტში პროკურორმა მოსამართლეს მიმართა სხდომის გადადების მოთხოვნით, ვინაიდან მხარეებს სურდათ საპროცესო შეთანხმების დადება.

მოსამართლემ პროკურორს მიუთითა, რომ საქმის განხილვა მიმდინარეობდა 3 წლის განმავლობაში და დროულად გაეფორმებინათ საპროცესო შეთანხმება ან/და წარმოედგინათ მოწმეები.

- ადვოკატის ან პროკურორის გამოუცხადებლობის მიზეზით გადაიდო სხდომების 18% (10% - 8%), საერთო ჯამში – 114 სხდომა. იყო შემთხვევები, როდესაც პროცესის მხარეები არ აფრთხილებდნენ სასამართლოს და ისე აცდენდნენ სხდომებს, რაც ერთმნიშვნელოვნად აფერხებს სწრაფ და ეფექტურ მართლმსაჯულებას.
- წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, საგრძნობლად არის გაზრდილი ბრალდებულის გამოუცხადებლობის მიზეზით პროცესის გადადების შემთხვევები და შეადგენს სხდომების 15%-ს (86

⁶⁹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 149.

სხდომა).⁷⁰ თუკი წინა საანგარიშო პერიოდში 3 (1%) პროცესის გადადების მიზეზი იყო ის, რომ პენიტენციარულმა დეპარტამენტმა ვერ მოახერხა ბრალდებულის გადმოყვანა საპატიმრო დაწესებულებიდან, ამ საანგარიშო პერიოდში ასეთი 47 (10%) შემთხვევა დაფიქსირდა.

გემოაღნიშნული პრობლემა, ძირითადად, ეხება რეგიონებს და ყველაზე ხშირად ადგილი აქვს გორის რაიონულ სასამართლოში. პენიტენციარული დეპარტამენტი ვალდებულია, ბრალდებული წარადგინოს სასამართლო სხდომაზე, ხოლო წარუდგენლობის არგუმენტად არასაკმარისი რესურსი ვერ გამოდგება.

სხდომების დაგვიანებით დაწყება

აღსანიშნავია, რომ პროცესის დაგვიანებით დაწყება, როგორც წესი, არ ხდება მსჯელობის საგანი. არც მხარეების და არც მოსამართლის მხრიდან დაგვიანების თაობაზე არ კეთდება შესაბამისი განმარტებები და, ზოგადად, ნაკლები მნიშვნელობის საკითხად აღიქმება მაშინ, როდესაც სხდომის საათზე მეტი ხნით დაგვიანება არაერთ პრობლემას იწვევს და, საბოლოოდ, პროცესის გაჭიანურებას უწყობს ხელს.

საიას მიერ განხორციელებულმა მონიტორინგმა აჩვენა, რომ 1202 სასამართლო სხდომიდან 361 (30%) შემთხვევაში საქმის განხილვა დაგვიანებით დაიწყო. 46 სასამართლო სხდომის დაწყება საათზე მეტი ხნით დაგვიანდა, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს მხარეებისთვის, ვინაიდან ხშირად პროკურორს ან/და ადვოკატს იმავე დღეს აქვს ჩანიშნული სხვა პროცესი და ერთი პროცესის დაგვიანებით დაწყება ავტომატურად წარმოშობს რისკს, რომ პროკურორის/ადვოკატის შემდგომი პროცესიც დაგვიანებით დაიწყება ან გადაიდება.


მონიტორინგმა აჩვენა, რომ სხდომის გვიან დაწყების მიზეზი ხშირად ხდება მოსამართლის დაგვიანება – 134 (37%) სხდომა. მხარეთა დაგვიანება ან/და მხარეთა ყოფნა სხვა პროცესზე დაფიქსირდა 65 (18%) შემთხვევაში. ერთ-ერთ მთავარ მიზეზად რჩება სასამართლო სხდომის დარბაზში მიმდინარე სხვა საქმის განხილვა – 98 (27%) შემთხვევა. სხვა მიზეზებში ერთიანდება ისეთი შემთხვევები, როგორიცაა ბრა-

⁷⁰ წინა საანგარიშო პერიოდში 7%-ით განისაზღვრა ბრალდებულის გამოუცხადებლობის მოტივით სხდომების გადადების მაჩვენებელი.

ლდებულის დაგვიანება, ბადრაგირების სამსახურის მხრიდან ბრალდებულის გვიან მოყვანა, ტექნიკური ხარვეზი, თარჯიმნის დაგვიანება, მოწმის დაგვიანება და ასე შემდეგ.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ სხდომების დაგვიანებით დაწყების მიზეზები

დიაგრამა №27



საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ მხარეთა დაგვიანება და პროცესების გადადება აფერხებს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას და წარმოადგენს პროცესების გაჭიანურების მნიშვნელოვან საფუძველს.

მხარეთა შეჭიბრებითობასა და თანასწორობაში ჩარევა

შესავალი

მხარეთა შეჭიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპი განმტკიცებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით,⁷¹ ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.⁷² დღეს მოქმედი სისხლის სამართლის პროცესი აგებულია მხარეთა შეჭიბრებითობისა და თანასწო-

⁷¹ საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 62, პუნქტი 5.

⁷² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 9.

რობის პრინციპზე, რაც გულისხმობს, რომ მტკიცებულებათა მოპოვება და სასამართლოში წარდგენა მხოლოდ მხარეთა პრეროგატივაა. სასამართლოს დამოუკიდებლად ეკრძალება მტკიცებულებათა მოპოვება და გამოკვლევა.⁷³ მოსამართლეს, მათ შორის, ეკრძალება მონმის დაკითხვა. მოსამართლეს მონმეთათვის კითხვის დასმის უფლება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში ენიჭება, როდესაც ეს აუცილებელია სამართლიანი სასამართლოს უზრუნველსაყოფად და, როდესაც სახეზეა მხარეთა თანხმობა. აღნიშნული გამართლებულია იმ საფუძვლით, რომ მოსამართლე შეგიბრებთ სისხლის სამართლის პროცესში ასრულებს ნეიტრალური არბიტრის როლს, რაც წინააღმდეგობაში მოდის მონმისთვის კითხვის დასმასთან, რადგან კითხვა შეიძლება რომელიმე მხარის ინტერესებს ემსახურობდეს.

სასამართლო სხდომების ანალიზი

საანგარიშო პერიოდში პროცესებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მოსამართლეები, ძირითადად, არ სარგებლობენ კითხვის დასმის უფლებით. თუმცა, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მოსამართლემ კითხვები მხარეთა ნებართვის გარეშე დაუსვა მონმებს ან სხვაგვარად ჩაერია მხარის კომპეტენციებში.

მონმები დაკითხნენ 366 პროცესზე. აქედან 68 (19%) შემთხვევაში მოსამართლემ დასვა კითხვები. 43 (63%) შემთხვევაში მოსამართლემ არ აიღო მხარეებისგან ნებართვა კითხვის დასმის დროს. 25 კითხვა (21%) არა დამამუსტებელი, არამედ სრულიად ახალი შინაარსის შეკითხვა იყო და, ფაქტობრივად, ადგილი ჰქონდა მონმის ხელახალ დაკითხვას.

ამ საანგარიშო პერიოდში არ დაფიქსირებულა მოსამართლის მხრიდან ფამილარული ან/და ირონიული დამოკიდებულება მხარეების მისამართით.

⁷³ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 25 (2).


განაჩენები

სასამართლოების მონიტორინგის ფარგლებში საიას მონიტორები დაესწრნენ 1202 არსებითი განხილვის სხდომას. 171 (14%) პროცესზე დადგა განაჩენი: 144 (84%) გამამტყუნებელი, 6 (4%) ნაწილობრივ გამამართლებელი და 21 (12%) გამამართლებელი.

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, მკვეთრად არის გაზრდილი გამამართლებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებელი,⁷⁴ თუმცა, საყურადღებოა, რომ გამამართლებელი განაჩენების სრული უმრავლესობა დგება ოჯახურ დანაშაულებზე.⁷⁵

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ გამამტყუნებელი განაჩენებისას გამოყენებული სასჯელის სახეები 2017 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში

დიაგრამა №28



აღსანიშნავია, რომ, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, შეცვლილია მდგომარეობა სასჯელების გამოყენების კუთხით. მკვეთრად შემცირებულია ჯარიმის და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების ოდენობა. ამის პარალელურად, საგრძნობლად


⁷⁴ წინა საანგარიშო პერიოდში 191 (20%) პროცესზე დადგა განაჩენი: 178 (93%) - გამამტყუნებელი, 3 (2%) - ნაწილობრივ გამამართლებელი, 10 (5%) - გამამართლებელი.

⁷⁵ 21 გამამართლებელი განაჩენიდან 16 შეეხებოდა ოჯახურ დანაშაულებს.

არის გაზრდილი ვადიანი თავისუფლების აღკვეთის პროცენტული მაჩვენებელი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ გამამტყუნებელი განაჩენებისას გამოყენებული სასჯელის სახეები (არ მოიცავს ოჯახურ დანაშაულებთან დაკავშირებულ მონაცემებს)

დიაგრამა №29



X. ოჯახური დანაშაულების საქმეებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ტენდენციები

ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის შემთხვევებში ალკჰოლის ღონისძიებების გამოყენება

კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

ოჯახური დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განისაზღვრება სისხლის სამართლის კოდექსის მე-11⁷⁶ მუხლზე მითითებით. სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მიხედვით, ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობა, სისტემატური შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი, მაგრამ არ მოჰყოლია ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე, მძიმე ან მსუბუქი დაზიანება, იძლევა ოჯახში ძალადობის შემადგენლობას. სსკ-ის 126¹-ე მუხლის პირველ ნაწილში 2018 წლის 30 ნოემბერს შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც ოჯახში ძალადობის დანაშაულისთვის სასჯელის ზომად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლამდე ვადით.⁷⁷

სხდომების ანალიზი

უნდა აღინიშნოს, რომ წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, ამ პერიოდში რადიკალურად არის შეცვლილი პროკურორების/მოსამართლეების მიდგომები ოჯახურ დანაშაულებთან დაკავშირებით. პროკურორები თითქმის ყველა შემთხვევაში შუამდგომლობენ პატიმრობის გამოყენებას, ხოლო სასამართლოები უფრო ხშირად აკმაყოფილებენ პროკურორის შუამდგომლობას.

წინა საანგარიშო პერიოდში საია დაესწრო ოჯახური დანაშაულის/ოჯახური ძალადობის 71 ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომას, რაც წარმოადგენდა პროცესების 17%-ს.⁷⁸ ამ საანგარიშო პე-

⁷⁶ ოჯახური დანაშაული ნიშნავს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ამ კოდექსის 108-ე, 109-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 1331, 1332, 137-ე-141-ე, 143-ე, 144-ე-1443, 149-ე-1511, 160-ე, 171-ე, 187-ე, 253-ე, 255-ე, 2551, 3811 და 3812 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.

⁷⁷ 2018 წლის 30 ნოემბრამდე ოჯახში ძალადობა (სსკ-ის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით 1 წლამდე ვადით.


⁷⁸ წინა საანგარიშო პერიოდში საია დაესწრო 402 ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომას.

რიოდში კი, ორგანიზაცია დაესწრო 182 სხდომას, რაც პროცესების 30%-ს შეადგენს.⁷⁹ 13 პროცენტული ერთეულით მონაცემების ზრდა მიანიშნებს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ოჯახური დანაშაულების/ოჯახური ძალადობის ფაქტების გამოვლენის მაჩვენებელი გაზრდილია.

182 სხდომიდან, რომელიც ეხებოდა ოჯახში ძალადობას, 178 შემთხვევაში მოძალადე იყო კაცი, ხოლო 4 შემთხვევაში – ქალი. 192 დაზარალებულიდან 171 იყო ქალი. ყველაზე ხშირად ფიქსირდებოდა მეუღლის ან ყოფილი მეუღლის მიმართ ძალადობის ფაქტები – 157 შემთხვევა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები ოჯახური დანაშაულისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში

დიაგრამა №30



პროკურატურამ ასეთი ტიპის დანაშაულებზე აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა მოითხოვა საქმეების 90%-ში,⁸⁰ რაც წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით 13 პროცენტული ერთეულით მეტია.⁸¹ წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, პროკურატურა უფრო არგუმენტირებულად და დასაბუთებულად ითხოვდა აღკვეთის ღონისძიების

⁷⁹ საია დაესწრო 594 ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომას.

⁸⁰ 182 საქმიდან 163 შემთხვევაში პროკურატურა ითხოვდა პატიმრობას.

⁸¹ წინა საანგარიშო პერიოდში პროკურატურა პატიმრობას ითხოვდა 79% შემთხვევაში.

გამოყენებას. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იყო შემთხვევები, როდესაც პროკურატურა გარკვეულ საქმეებში ითხოვდა პატიმრობის ან გირაოს გამოყენებას ისე, რომ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება არ იყო სათანადოდ დასაბუთებული.

იხილეთ დაუსაბუთებლად მოთხოვნილი პატიმრობის მაგალითი:

პირს ბრალი ედებოდა არასრულწლოვანი შვილის მიმართ ძალადობაში და ყოფილი მეუღლის მიმართ მუქარაში (სსკ-ის მე-11 პრიმა 151-ე მუხლი; 126¹ მუხლის მე-2 ნაწილის ა ქვეპუნქტი). პროკურორმა იშუამდგომლა პატიმრობის გამოყენება მაშინ, როდესაც შემთხვევიდან გასული იყო 8 თვე.

მოსამართლემ არ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა იმ მოტივით, რომ შემთხვევიდან გასული იყო დიდი დრო, რომლის განმავლობაშიც ძალადობის შემთხვევა არ განმეორებულა.

სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა პატიმრობასთან დაკავშირებით დააკმაყოფილა 64% შემთხვევაში.⁸² წინა საანგარიშო პერიოდში ეს მაჩვენებელი შეადგენდა 57%-ს.

არის შემთხვევები, როდესაც დაცვის მხარე აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე წარმოადგენს ნოტარიულად დამოწმებულ წერილს, სადაც აღნიშნავს, რომ დაზარალებულს (მეუღლეს) არ აქვს პრეტენზია მისი მეუღლის მიმართ. სულ ასეთი 8 (4%) შემთხვევა დაფიქსირდა.

სსკ-ის 126¹-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე სასჯელის სახედ ჯარიმის გამოყენება დაუშვებელია. აღნიშნული დანაწესით კანონმდებელმა მიიჩნია, რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ თანხის ჩარიცხვა დაზარალებდა ოჯახის ფინანსურ მდგომარეობას. ამ საანგარიშო პერიოდში დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მიერ გამოყენებული გირაოს თანხა აშკარად აღემატებოდა ბრალდებულის ფინანსურ მდგომარეობას ან პროცესზევე ცხადი გახდა, რომ თანხის გადახდა მოუწევდა დაზარალებულს.

⁸² სასამართლომ მოთხოვნილი 163 პატიმრობიდან პროკურორის 105 შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

- ❖ პირს ბრალი ედებოდა მეუღლის მიმართ ძალადობაში არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით (სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის ბ ქვეპუნქტი). პროკურორმა იშუამდგომლა პატიმრობის გამოყენება. ბრალდებულმა განაცხადა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა და ნანობდა, ასევე, სასამართლოს სთხოვა, მხედველობაში მიეღო, რომ თავად არ მუშაობდა, მისი ოჯახი კი **სოციალურად დაუცველთა ბაზაში** ფიქსირდებოდა.

სასამართლომ ბრალდებულს განუსაზღვრა 3000 ლარიანი გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, რაც ერთმნიშვნელოვნად აღემატებოდა ბრალდებულის მატერიალურ მდგომარეობას.

- ❖ 2018 წლის სექტემბერში ბრალდებულმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მეუღლეს, ქალიშვილს და შვილიშვილს (სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა და გ ქვეპუნქტები). პროკურორმა იშუამდგომლა პატიმრობის გამოყენება. დაცვის მხარემ სხდომაზე წარმოადგინა დაზარალებულთა ნოტარიულად დამოწმებული განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდებულის მიმართ პრეტენზია არ გააჩნდათ. სასამართლომ გამოიყენა 5000 ლარიანი გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.

სხდომის მიმდინარეობისას ბრალდებულმა ერთ-ერთ დაზარალებულს მიმართა: **„ხომ გინდოდა ჩემი დაჭერა, ახლა იხადე ფული“**.

გემოაღნიშნული მაგალითები ცხადყოფს, რომ ამ ტიპის დანაშაულებთან დაკავშირებით პრობლემურია გირაოს, როგორც აღკვეთის ღონისძიების, გამოყენება. უმრავლეს შემთხვევაში ბრალდებულები წარდგენენ დაკავებულის სახით. სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით კი, გირაოს შეფარდების შემთხვევაში ყოველთვის იყენებენ მას პატიმრობის უზრუნველყოფით. შესაბამისად, თუკი ბრალდებულს არ აქვს შესაძლებლობა, თავად გადაიხადოს გირაოს თანხა, ასეთ დროს რჩება ორი შესაძლებლობა: 1. დაზარალებული პირი იხდის თანხას ბრალდებულის ნაცვლად; 2. ბრალდებული ვერ იხდის თანხას და რჩება პატიმრობაში.

სსკ-ის 126¹-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, 2018 წლის

30 ნოემბრის შემდეგ, მოსამართლეებს აღარ აქვთ შესაძლებლობა, გამოიყენონ შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. ისედაც მწირი არჩევანის პირობებში, მოსამართლეებს დარჩათ მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების 3 სახე, რომლის გამოყენებაც შეუძლიათ: გირაო, პატიმრობა ან/და პირადი თავდებობა.


ტენდენციები ოჯახურ დანაშაულებზე, ქალაქების მიხედვით

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, შეცვლილია მიდგომები კონკრეტული ქალაქების/რაიონების სასამართლოების მხრიდან. ქალაქების მიხედვით მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ თბილისისა და გორის სასამართლოებს აქვთ ერთნაირი მკაცრი მიდგომები და უმეტესწილად იყენებენ პატიმრობას. ქუთაისის და თელავის სასამართლოები ძირითადად იყენებენ გირაოს, ხოლო ბათუმის საქალაქო სასამართლო თითქმის ყველა შემთხვევაში იყენებს გირაოს.

აღსანიშნავია, რომ წინა საანგარიშო პერიოდში ქუთაისის საქალაქო სასამართლოს არცერთ შემთხვევაში არ გამოიყენებია პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახე, ხოლო ამ საანგარიშო პერიოდში შეცვლილია სასამართლოს მიდგომები და 34 საქმიდან 14 (41%) შემთხვევაში გამოიყენა პატიმრობა.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები ოჯახში ძალადობის (სსკ-ის მე-11 პრიმა მუხლით გათვალისწინებული ქმედებების) შემთხვევებში, ქალაქების მიხედვით, 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით

დიაგრამა №31



საპროცესო შეთანხმების შედეგად შეფარდებული სასჯელები ოჯახური დანაშაულისთვის

ამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 534 ბრალდებულს გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება, აქედან მხოლოდ 9 (2%) ბრალდებულთან, რომელსაც ბრალი ედებოდა ოჯახური დანაშაულის ჩადენაში (სსკ-ის მე-11¹ ან/და სსკ-ის 126¹-ე მუხლები), გაფორმდა საპროცესო შეთანხმება.⁸³ ზემოაღნიშნული მიუთითებს პროკურატურის დამოკიდებულების ცვლილებაზე ამ ტიპის დანაშაულებთან მიმართებით. გასულ წლებში ხშირ შემთხვევაში ფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება, ხოლო ბოლო ორი საანგარიშო პერიოდი, პროკურატურა უარს ამბობს საპროცესო შეთანხმების დადებაზე.

აღსანიშნავია, რომ 4 სასამართლო სხდომაზე პროკურორმა დამარაღებულის პოზიცია საჯაროდ წარმოადგინა, დანარჩენ 5 შემთხვევაში კი, დამარაღებულის მოსაზრება უცნობი დარჩა.

5 ბრალდებულს სასჯელის სახედ შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც ნაწილი ჩაითვალა პირობით მოსახდელად. 3 ბრალდებულს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაითვალა პირობითად. 1 ბრალდებულის მიმართ კი, მოსამართლემ გამოიყენა თავისუფლების აღკვეთა (რაც ჩაითვალა პირობითად) და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა.

არსებითი განხილვის შედეგად სასამართლოს მიერ გამოყენებული სასჯელები ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულის საქმეებზე

ამ საანგარიშო პერიოდში საია დაესწრო ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებულ 310 არსებითად განსახილველ სხდომას, საიდანაც 81 მათგანზე დადგა განაჩენი. აღსანიშნავია, რომ წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის გამრდილი გამამართლებელი განაჩენების პროცენტული მაჩვენებელი – 81-დან 16 (20%) შემთხვევაში დადგა გამამართლებელი განაჩენი.⁸⁴

ძირითადად, გამამართლებელი განაჩენი დგება მაშინ, როდესაც

⁸³ წინა საანგარიშო პერიოდში 303 ბრალდებულისგან 19 (6%) ბრალდებულს გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება.

⁸⁴ წინა საანგარიშო პერიოდში 73 განაჩენიდან მხოლოდ 4 იყო გამამართლებელი.

დაზარალებული პირი უარს ამბობს, მისცეს ჩვენება ოჯახის წევრის წინააღმდეგ. 16-დან 14 შემთხვევაში სწორედ ამ მოტივით დადგა გამამართლებელი განაჩენი. მოსამართლე აღნიშნავდა, რომ არ არსებობდა პირდაპირი მტკიცებულებები ბრალდებულის წინააღმდეგ, რაც მისცემდა მას გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას.


მოსამართლემ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი და მისი გამოცხადების შემდეგ განმარტა, რომ საქმეში არ არსებობდა არცერთი პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც პირის ბრალეულობას დაადასტურებდა. კერძოდ, დაზარალებულმა, რომელიც, ამავე დროს, პირდაპირი მონმე იყო, უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე. მოსამართლემ აღნიშნა, რომ ის შებოჭილი იყო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით და მხოლოდ ირიბი მტკიცებულებების საფუძველზე გამამტყუნებელ განაჩენს ვერ გამოიტანდა. თუმცა, იქვე დაამატა, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი იყო შინაგანი რწმენისთვის, რათა დარწმუნებულიყო, რომ ბრალდებულმა მართლაც ჩაიდინა აღნიშნული დანაშაული.

წინა საანგარიშო პერიოდისგან განსხვავებით, შედარებით გამკაცრებულია სასჯელის სახეები ოჯახურ დანაშაულთან მიმართებით. თუ წინა საანგარიშო პერიოდში, გამამტყუნებელი განაჩენების 25%-ის შემთხვევაში ბრალდებულს სასჯელის სახედ ეკისრებოდა თავისუფლების აღკვეთა, ამ პერიოდში ეს მონაცემი 7 პროცენტული ერთეულით გაზრდილია და შეადგენს 32%-ს.

65 საქმიდან 11 (17%) შემთხვევაში სასამართლომ ბრალდებულს სასჯელის სახედ შეუფარდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა. პირობითი მსჯავრი და გამოსაცდელი ვადა დაუწესდა 31 (48%) პირს, ხოლო ვადიანი თავისუფლების აღკვეთა – რეალური სასჯელი – დაეკისრა 21 (32%) ბრალდებულს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ, ოჯახურ დანაშაულებზე გამოყენებული სასჯელის სახეები, 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით

დიაგრამა №32



რაც შეეხება ქალაქების მიხედვით არსებულ სიტუაციას, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში ვითარება შეცვლილია – თუ წინა საანგარიშო პერიოდებში არ ფიქსირდებოდა შემთხვევა, როდესაც სასამართლო იყენებდა თავისუფლების აღკვეთას, როგორც სასჯელის ფორმას, ამ პერიოდში განხილული 26 საქმიდან 6 შემთხვევაში სასამართლომ ბრალდებულს თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.


თბილისისა და გორის სასამართლოებს კვლავინდებურად აქვთ მკაცრი მიდგომა ამ ტიპის დანაშაულებთან მიმართებით. რაც შეეხება ბათუმის საქალაქო სასამართლოს, საია დაესწრო 12 სასამართლო სხდომას, სადაც განაჩენი გამოცხადდა, ხოლო 9 შემთხვევაში სასამართლომ სასჯელის სახედ გამოიყენა თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაითვალა პირობითად.

საიას მონიტორები დაესწრნენ ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებული საქმეების იმ სხდომებს, სადაც განაჩენი გამოცხადდა: გორის რაიონულ სასამართლოში – 14; თბილისში – 14; თელავში – 15; ბათუმში – 12.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე იხილეთ ოჯახურ დანაშაულებთან და-

კავშირებით გამოყენებული სასჯელის სახეები ქალაქების მიხედვით, 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით პერიოდში

დიაგრამა №33



დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა

ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე, მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულის კვალიფიკაცია რეალურად შეესაბამებოდეს ჩადენილი ქმედების სიმძიმეს. დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია ან/და პროკურორის მხრიდან დისკრიმინაციულ მოტივზე მიუთითებლობა შეუძლებელს ხდის გენდერულად მგრძობიარე სისხლის სამართლის სისტემის არსებობას, სადაც ბრალდებისა და სასამართლო ორგანოების მიერ ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების სათანადო აღიარება, კვალიფიკაცია და დასჯა ხორციელდება.⁸⁵

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი პროკურატურის მხრიდან დისკრიმინაციულ მოტივზე მითითების მაჩვენებელი, თუმცა, გენდერული ნიშნით მოტივირებული დანაშაულების გამოკვლევა და შეფასება მაინც სერიოზულ გამოწვევად რჩება.

⁸⁵ დეკანოსიძე, თ. ფემიცილის საქმეების განაჩენები 2014, საიას კვლევა, თბილისი, 2016, 35-36.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ ამ საანგარიშო პერიოდში 182 შემთხვევიდან, რომლებშიც დაზარალებული იყო ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი ქალი, 9 (5%) საქმეში პროკურორმა მიუთითა, რომ სახეზე იყო დისკრიმინაციული მოტივი. ზემოხსენებულ ყველა საქმეში სასამართლომ გამოიყენა პატიმრობა. წინა საანგარიშო პერიოდში აღკვეთის ღონისძიების სხდომაზე საიას არცერთ შემთხვევაში არ დაუფიქსირებია პროკურორის მხრიდან დისკრიმინაციულ მოტივზე მითითების ფაქტი.

საიამ დააფიქსირა კიდევ 8 შემთხვევა, როდესაც პროკურორს შეეძლო დისკრიმინაციულ მოტივზე მითითება.

- ❖ პირს ბრალად ედებოდა შვილის მიმართ მუქარა (სსკ-ის მე-11' 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). ბრალდებულმა პროცესზე განაცხადა: „ჩემი შვილი პატიოსნად გაგზარდე და თბილისში წასვლის შემდეგ შეიცვალა. ტატუები აქვს სხეულზე, პირსინგიც აქვს გაკეთებული და არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობს“.
- ❖ პირს ბრალად ედებოდა შვილის მიმართ მუქარა (სსკ-ის მე-11' 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). კონფლიქტის მიზეზი გახდა გოგონას სამუშაო გრაფიკი, რაც, ბრალდებულის მოსაზრებით, არ შეესაბამებოდა ქალის როლს.

ამ საანგარიშო პერიოდში, საქმის არსებითად განხილვის დროს, პროკურორმა 11 შემთხვევაში მიუთითა დისკრიმინაციულ მოტივზე, აქედან: 2 შემთხვევაში – გენდერული იდენტობის ნიშნით, 1 შემთხვევაში კი – სექსუალური ორიენტაციის ნიშნით დისკრიმინაციაზე.⁸⁶

პრობლემად რჩება ადვოკატთა ნაწილის მხრიდან გამოთქმული დისკრიმინაციული გამონათქვამები, რაც კიდევ უფრო აღრმავებს საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას მონწყლადი ჯგუფების მიმართ და აძლიერებს გენდერულ სტერეოტიპებს.

⁸⁶ წინა საანგარიშო პერიოდში საიამ დააიდენტიფიცირა მხოლოდ 2 საქმე, სადაც პროკურატურა უთითებდა დისკრიმინაციულ მოტივზე.

XI. ნარკოტიკული დანაშაულის საქმეებზე დაკვირვების შედეგად გამოვლენილი ტენდენციები

აღკვეთის ღონისძიებები ნარკოტიკულ დანაშაულზე

კანონმდებლობის მოკლე მიმოხილვა

სსკ-ის ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებულ თავში მნიშვნელოვანი ცვლილებები არც ამ საანგარიშო პერიოდში შესულა მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სსკ-ის არაერთი მუხლით დასჯადი ქმედებისთვის გათვალისწინებული სასჯელის ზომა.⁸⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები ცხადად წარმოაჩინეს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ნარკოტიკული დანაშაულის თავით გათვალისწინებული ნორმები არ არის სათანადოდ მოწესრიგებული. სასჯელის ზომები ხშირად შეუსაბამოდ დიდია ქმედების უმართლობის ხარისხთან შედარებით და, სავარაუდოდ, მიმართვის შემთხვევაში, საკონსტიტუციო სასამართლო სხვა ნორმატიულ შინაარსს/სასჯელის ზომასაც არაკონსტიტუციურად ცნობს.

⁸⁷ სსკ-ის 260 (1) მუხლით გათვალისწინებული სასჯელის ზომა - თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ნელი მარჩუანის (100 გრამამდე) პირადი მოხმარების მიზნით შექმნილი/შენახვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2017 წლის 15 თებერვლის განჩინება №3/1/855 – ვებგვერდი, 21.02.2017წ.

სსკ-ის 260 (3)-ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას (0,00009 გრამი) ნარკოტიკული საშუალება – დემომორფინის დამზადების, შექმნისა და შენახვისთვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება №1/8/696 – ვებგვერდი, 20.07.2017წ.

სსკ-ის 265 (2) მუხლით გათვალისწინებული ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კანაფის (მცენარე) (10 გრამამდე) პირადი მოხმარების მიზნებისთვის უკანონოდ დათესვის ან მოყვანისთვის სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება №1/9/701,722,725 – ვებგვერდი, 20.07.2017წ.

სსკ-ის 265 (2) მუხლით გათვალისწინებული ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც კანაფის (მცენარე) (64 გრამამდე; 151 გრამამდე) პირადი მოხმარების მიზნებისთვის უკანონოდ დათესვის ან მოყვანისთვის სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება №1/9/701,722,725 – ვებგვერდი, 20.07.2017წ.

2017 წლის 30 ნოემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო პრეცედენტული გადაწყვეტილება და მარჩუანის მოხმარებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება არაკონსტიტუციურად მიიჩნია, კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება №1 / 13 / 732; 2017 წლის 30 ნოემბერი.

საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილებით,⁸⁸ კიდევ უფრო ცალსახა გახდა სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის საჭიროება, ასევე, უკანონო მფლობელობიდან ან ბრუნვიდან ამოღებული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების მცირე, დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობების ნუსხის მოწესრიგების აუცილებლობა.

საკონსტიტუციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით განასხვაა ნარკოტიკული ნივთიერების ერთი მოხმარებისათვის განკუთვნილი ოდენობის შექმნა, შენახვა, დამზადების შემთხვევები იმ შემთხვევებისგან, როდესაც ნარკოტიკული ნივთიერების ოდენობა განკუთვნილია ერთზე მეტი მოხმარების მიზნით, ასევე, განასხვაა ნარკოტიკული ნივთიერებები, რომელთა მოხმარება არ იწვევს სწრაფ შეჩვევას ან/და აგრესიულ ქცევას.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სახეზეა კუმულაციურად შემდეგი პირობები: 1. ერთი მოხმარებისთვის საჭირო ოდენობის ნარკოტიკული საშუალების შექმნის, შენახვის, დამზადების შემთხვევა და 2. ამ ნივთიერების მოხმარება არ იწვევს სწრაფ შეჩვევას ან აგრესიულ ქცევას.

შესაბამისად, სახელმწიფოს ამ დროისთვის არათუ არ აქვს ნარკოტიკული საშუალებების (ფსიქოაქტიური) ოდენობების ნუსხა მოწესრიგებული იმგვარად, რომ გამოყოფილი იყოს ერთი მოხმარებისთვის საჭირო ოდენობები, არამედ ამ ნუსხაში ბევრ ნარკოტიკულ საშუალებას

⁸⁸ სარჩელის დასახელება: საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 1/6/770; 2.08.2019; ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლის სიტყვების „...ან, გამოწვევის შემთხვევაში, თუ საქმის გარემოებებისა და დამრღვევის პიროვნების გათვალისწინებით ამ ზომის გამოყენება არასაკმარისად იქნება მიჩნეული – ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით“ (2017 წლის 28 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სანქციის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობას ისეთი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისა და ერთი მოხმარებისთვის საჭირო ოდენობის შექმნისა და შენახვისათვის, რომელთა მოხმარება არ იწვევს სწრაფ შეჩვევას ან/და აგრესიულ ქცევას.

ბ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის სიტყვების „...ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე“ (2017 წლის 28 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ისეთი ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მოხმარებისა და ერთი მოხმარებისათვის საჭირო ოდენობით დამზადების, შექმნისა და შენახვისათვის, რომელთა მოხმარება არ იწვევს სწრაფ შეჩვევას ან/და აგრესიულ ქცევას.

ბას საერთოდ არ გააჩნია მცირე ოდენობის ნაწილი. აუცილებელია ნუსხის მოწესრიგება და ნარკოტიკული საშუალებების ზუსტი კლასიფიკაცია, ასევე, სისხლის სამართლის კოდექსში ნარკოტიკულ დანაშაულებზე სასჯელების ნაწილის გადახედვა.

სხდომების მოკლე მიმოხილვა


წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, შემცირებულია დანაშაულების – ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება და მცენარე კანაფის ან მარიხუანის უკანონო შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და გასაღება (სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლები) – პროცენტული რაოდენობა.⁸⁹ საია დაესწრო 111 სასამართლო სხდომას 123 ბრალდებულის მიმართ, ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით. აქედან 23 პირს ბრალი ედებოდა სსკ-ის 273-ე ან 273¹-ე მუხლებით ინკრიმინირებული ქმედების ჩადენაში.

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოს და პროკურატურის მიდგომები ამ ტიპის დანაშაულზე არ შეცვლილა და, დაახლოებით, წინა საანგარიშო პერიოდის იდენტურია. ამ საანგარიშო პერიოდში **სასამართლომ ყველა 48 შემთხვევაში დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა პატიმრობასთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც სხვა დანაშაულებზე სასამართლო შემთხვევათა 81%-ში აკმაყოფილებს პროკურორის შუამდგომლობას.**

⁸⁹ ამ საანგარიშო პერიოდში საია დაესწრო 668 სასამართლო სხდომას, სადაც სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას პროკურატურა ედავებოდა მხოლოდ 23 (3%) პირს, წინა საანგარიშო პერიოდში კი - 402 ბრალდებულიდან 32-ს (8%).

ქვემოთ იხილეთ დიაგრამა ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებების შესახებ. დიაგრამებზე არ არის დათვლილი სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლებთან მიმართებით გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებები

დიაგრამა №34



ნარკოტიკული დანაშაულების შესახებ აღკვეთის ღონისძიებები უფრო მეტად დაუსაბუთებელი ან/და არასაკმარისად დასაბუთებულია, ვიდრე სხვა ტიპის დანაშაულის შემთხვევაში. საანგარიშო პერიოდში საიამ სულ 140 დაუსაბუთებელი ან/და არასაკმარისად დასაბუთებული გადანყვეტილება გამოავლინა აღკვეთის ღონისძიების თაობაზე. აქედან 46 (33%) შემთხვევა ეხებოდა ნარკოტიკულ დანაშაულს. პროკურატურა ამ საანგარიშო პერიოდშიც შაბლონურად, ყველა შემთხვევაში, მიუთითებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შემდეგ საფუძვლებზე: 1. დანაშაულის გაგრძელების საფრთხე – ვინაიდან ნარკოტიკული დანაშაული ხასიათდება განმეორებითობით; 2. დანაშაულის სიმძიმე; 3. მიმალვის საფრთხე.

იხილეთ დაუსაბუთებელი პატიმრობის მაგალითი:

პირს ბრალი ედებოდა ნარკოტიკული საშუალება ჰეროინის შენახვაში (სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა ქვეპუნქტი). პროკურორმა იშუამდგომლა პატიმრობის გამოყენება, ისაუბრა მიმალვის საფრთხეზე, არგუმენტად კი მოიყვანა ის, რომ სასჯელის სახით გათვალისწინებულია მხოლოდ თავისუფლების აღკვეთა, ისაუბრა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე, რაც, მისივე განმარტებით, განპირობებულია ნარკოტიკული დანაშაულის ბუნებაზე.

ადვოკატმა აღნიშნა, რომ ბრალდებულის მხრიდან მიმალვის საფრთხე არ არსებობს, ვინაიდან ბრალდებულს ჰყავს ოჯახი, აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, არ არის ნასამართლევი, ადმინისტრაციული წესით სახდელდადებულიც კი, რაც მეტყველებს მის დამოკიდებულებაზე მართლწესრიგის მიმართ. ბრალდებული აპირებს, ითანამშრომლოს გამოძიებასთან.

სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და პირს შეუფარდა პატიმრობა.


მართალია, სასამართლო, როგორც წესი, ამცირებს პროკურორის მიერ მოთხოვნილ გირაოს თანხას, თუმცა, ნარკოტიკულ დანაშაულებზე თანხის ოდენობა უფრო მეტია ვიდრე სხვა ტიპის დანაშაულებზე.⁹⁰

ამ საანგარიშო პერიოდში ნარკოტიკულ დანაშაულებზე ბრალდებული 100 პირიდან 86 (86%) წარდგა დაკავებულის სახით, საიდანაც 45 მათგანს პატიმრობა შეეფარდა, ხოლო 41-ს – გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით.

ქვემოთ იხილეთ ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოყენებული გირაოს სახეები. დიავგრამაზე არ არის დათვლილი სსკ-ის 273-ე და 273-ე პრიმა მუხლებთან მიმართებით გამოყენებული გირაოს სახეები.

⁹⁰ ნარკოტიკულ დანაშაულებზე გირაოს საშუალო ოდენობა არის 3855 ლარი, რაც 650 ლარით აღემატება სხვა დანაშაულებზე გამოყენებული გირაოს საშუალო ოდენობას.

დიაგრამა №35



საილუსტრაციოდ იხილეთ მოსამართლის მხრიდან უდანაშაულობის პრეზუმეციის დარღვევისა და შემდგომ არათანაზომიერი ოდენობის გირაოს („შეფარული პატიმრობის“) შეფარდების მაგალითი:

პირს ბრალად ედებოდა ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვა (სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილი). პროკურორმა იშუამდგომლა, რომ გამოყენებულიყო გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით, 5000 ლარის ოდენობით. შუამდგომლობა დაასაბუთა სტანდარტულად და შაბლონურად. ადვოკატმა მოითხოვა 1000 ლარიანი გირაოს გამოყენება და აღნიშნა, რომ ბრალდებული იყო სოციალურად დაუცველი, არ ჰქონდა 5000 ლარის გადახდის საშუალება, რომ იგი პროფესიით ხელოსანი იყო და სისტემატური სამუშაო არ ჰქონდა, ასევე, ჰყავდა მეუღლე და 2 მცირეწლოვანი შვილი. ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობდა, თუმცა, მოსამართლე უსვამდა იმგვარ კითხვებს, რომელიც წინააღმდეგობაში მოდიოდა ბრალდებულის ინტერესებთან, კერძოდ: „საიდან შეიძინეთ ნარკოტიკული საშუალება?“, „ვინმესგან იყიდეთ?“, რაზეც ბრალდებული პასუხობდა, რომ დამნაშავე არ იყო.

საბოლოოდ, მოსამართლემ ბრალდებულს შეუფარდა გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით 2500 ლარის ოდენობით, თუმცა, მიღებული გადაწყვეტილება სასამართლო სხდომაზე არ დაუსაბუთებია.


სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა) ინკრიმინირებული ქმედების ჩადენაში ბრალდებულების მიმართ პროკურორი ყველა შემთხვევაში ითხოვდა პატიმრობას და ერთნაირად, ბლანკეტურად აყალიბებდა შუამდგომლობას, საუბრობდა ბრალდებულის მხრიდან **შესაძლო/სავარაუდო** ნარკოტიკული ნივთიერების **გასაღების მიზანმიმართულ**, თუმცა, 24 ბრალდებულის მიმართ მოთხოვნილი პატიმრობიდან მხოლოდ 11 ალკვეთის ღონისძიების სხდომაზე წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც ობიექტურ პირს დაარწმუნებდა, რომ, შესაძლოა, ბრალდებულს ნარკოტიკული ნივთიერება მართლაც გასაღების მიზნით ჰქონოდა.

სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლები

ამ საანგარიშო პერიოდში საია დაესწრო ალკვეთის ღონისძიების 23 სხდომას აღნიშნულ მუხლებთან დაკავშირებით. 23 ბრალდებულისგან 19-ისადმი დანაშაულის კვალიფიკაცია იძლეოდა შესაძლებლობას, პროკურორს/მოსამართლეს ეშუამდგომლა/გამოეყენებინა ალტერნატიული ალკვეთის ღონისძიების სახე – შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, თუმცა, პროკურორმა არცერთ შემთხვევაში არ იშუამდგომლა, ხოლო სასამართლომ მხოლოდ 3 შემთხვევაში გამოიყენა ზემოაღნიშნული ალკვეთის ღონისძიების სახე. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ, როგორც მხარეები, ისე მოსამართლეები შეთანხმებას გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ არ აღიქვამენ გირაოს და პატიმრობის რეალურ ალტერნატივად.

ქვემოთ იხილეთ სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულზე აღკვეთის ღონისძიების შესახებ სტატისტიკა, 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით.

დიაგრამა №36



უმრავლეს შემთხვევაში პროკურორს არ ჰქონდა გამოკვლეული ბრალდებულის მატერიალური მდგომარეობა, როდესაც გირაოს თანხას ითხოვდა. თუმცა, სასამართლო იკვლევდა ბრალდებულის ქონებრივ მდგომარეობას და, ბრალდებულის უსახსრობის მიუხედავად, ძირითადად, იყენებდა გირაოს და არა – ნაკლებად მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას.

პროკურატურამ სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის 20 შემთხვევაში მოითხოვა გირაო, სასამართლომ 16 შემთხვევაში დააკმაყოფილა გირაოს შუამდგომლობა,⁹¹ 3 შემთხვევაში გამოიყენა შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ, ერთ შემთხვევაში კი – არცერთი აღკვეთის ღონისძიება. პროკურორმა სამჯერ იშუამდგომლა პატიმრობის შეფარდება, ხოლო სასამართლომ სამივე შემთხვევაში დააკმაყოფილა.


⁹¹ გირაოს თანხა მერყეობდა 1000 ლარიდან 5000 ლარამდე.

საპროცესო შეთანხმების სხდომებზე გამოყენებული სასჯელაბი ნარკოტიკული დანაშაულებისთვის

ნარკოტიკული დანაშაულისთვის ბრალდებული პირების ნახევარზე მეტს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა ჯარიმის გადახდის პირობით. საიამ მონიტორინგი გაუწია სულ 171 სასამართლო სხდომას, რომელზეც ნარკოტიკული დანაშაულისთვის ბრალდებულისთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმება განიხილებოდა. აქედან, 117 ბრალდებულს ბრალი ედებოდა სსკ-ის 260-ე – 265-ე მუხლებით ინკრიმინირებული ქმედების, ხოლო დანარჩენ 54 ბრალდებულს – სსკ-ის 273-ე და 273'-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში.

ქვემოთ, იხილეთ დიაგრამა, რომელზეც ასახულია საპროცესო შეთანხმებისას ნარკოტიკული დანაშაულისთვის გამოყენებული სასჯელის სახეები 2018 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით (აღნიშნულ დიაგრამაზე ასახული არ არის სსკ-ის 273-ე და 273'-ე მუხლებით გათვალისწინებული სასჯელის სახეები)


დიაგრამა №37



აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოყენებული ჯარიმის ოდენობა⁹² საგრძნობლად აღემატება სხვა ტიპის დანაშაულებზე გამოყენებული ჯარიმის საშუალო ოდენობას. ნარკოტიკულ დანაშაულთან მიმართებით გამოყენებული ჯარიმის საშუალო ოდენობა შეადგენს 6778 ლარს, ხოლო ყველა სხვა დანაშაულთან დაკავშირებით ჯარიმის საშუალო ოდენობა 4238 ლარით განისაზღვრა. შესაძლოა, ამ მიდგომის განმაპირობებელი საფუძველი იყოს ის, რომ, როგორც წესი, ნარკოტიკული დანაშაული მძიმე ან/და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულია. თუმცა, კანონმდებლობიდან გამომდინარე, ასევე აუცილებელია, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრისას ყურადღება გამახვილდეს ბრალდებულის მატერიალურ მდგომარეობაზე.⁹³

ქვემოთ იხილეთ დიაგრამა, რომელზეც ასახულია გამოყენებული სასჯელის სახეები საპროცესო შეთანხმების შემდგომ, სსკ-ის 273-ე და 273'-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენისთვის, 2017 წლის მარტიდან 2019 წლის თებერვლის ჩათვლით

დიაგრამა №38



⁹² არ შედის სსკ-ის 273-ე და 273'-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე სასჯელის სახით გამოყენებული ჯარიმა.

⁹³ სსკ-ის 42-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, ამ ტიპის დანაშაულებზე ჯარიმის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი მკვეთრად გაზრდილია. ასევე, საგრძნობლად არის შემცირებული საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი.

საქმის არსებითი განხილვით გამოტანილი სასჯელები

საიას მონიტორები დაესწრნენ ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებულ (სსკ-ის 260-ე მუხლი) 6 პროცესს, სადაც მოსამართლემ გამოიტანა გადაწყვეტილება. ექვსივე შემთხვევაში დადგა გამამტყუნებელი განაჩენი: 5 შემთხვევაში – ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, 1 შემთხვევაში – თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაითვალა პირობითად. რაც შეეხება სსკ-ის 273-ე და 273¹-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს, დადგა 1 განაჩენი და მსჯავრდებულს სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

ერთ შემთხვევაში პირი დამნაშავედ ცნო სასამართლომ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შექმნა-შენახვაში (სსკ-ის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის ა ქვეპუნქტი). სასჯელის ზომად განისაზღვრა მინიმალური სასჯელი 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის დანაშაულზე ამ საანგარიშო პერიოდში დაიდო 27 საპროცესო შეთანხმება და უმრავლეს – 24 შემთხვევაში ბრალდებულებს შეეფარდა პირობითი მსჯავრი, ჯარიმა, საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა ან სხვა. მხოლოდ 3 მათგანს შეეფარდა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, ისიც არაუმეტეს 1 წლის ვადით.

XII. მძიმე სოციალური ფონით განხირობაპული დანაშაულები

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური მდგომარეობა, გარკვეულ შემთხვევაში, აისახება კონკრეტული პირის მხრიდან განხორციელებულ ქმედებაში.⁹⁴ საია დაესწრო სასამართლო სხდომებს, რომლის მიმდინარეობისას იკვებებოდა, რომ ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედების ხარისხი, მოტივი და მიზანი გამომდინარეობდა სოციალური სიღუბლიდან. მნიშვნელოვანია, თუ როგორი მიდგომები აქვს პროკურატურას და სასამართლოს, ხდება თუ არა მათი მხრიდან გემოაღნიშნულის გათვალისწინება – ბრალდებულის სოციალური მდგომარეობის, ქმედების ჩადენის და სხვა ასპექტების მხედველობაში მიღება.

აღკვეთის ღონისძიების სხდომებზე გამოვლენილი ტენდენციები

მიმდინარე საანგარიშო პერიოდში საია დაესწრო 25 ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომას, სადაც ჩადენილი ქმედების მიზეზი იყო გაჭირვება. 25-ვე შემთხვევაში სასამართლომ გამოიყენა გირაო ან პატიმრობა, არცერთ შემთხვევაში არ შეუფარდებია პირადი თავდებობა და არ დაუტოვებია აღკვეთის ღონისძიების გარეშე. 25 შემთხვევიდან პროკურორმა პატიმრობა იშუამდგომლა 9 შემთხვევაში, რაც სასამართლომ ყველა შემთხვევაში დააკმაყოფილა.

⁹⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2017 წელს საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 450423-ს. http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database/Database__Social%20Statistics__Social%20Protection/Beneficiaries_of_Subistence_Allowance.px/table/tableViewLayout2/?rxid=85999b07-769f-4cac-ae81-594234635249.

იხილეთ სოციალური სიღრმეების გამო ჩადენილი დანაშაულების მაგალითები, სადაც სასამართლომ გამოიყენა პატიმრობა:

- ❖ პირს ბრალი ედებოდა ქურდობაში (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის ბ ქვეპუნქტი), კერძოდ, ნივთების ქურდობაში ორი სხვადასხვა ავტომობილიდან, მიანი – ჯამში 120 ლარი. პროკურორმა იშუამდგომლა პატიმრობის გამოყენება, რაც დაასაბუთა იმ გარემოებით, რომ ბრალდებულმა აღნიშნული ქმედება ჩაიდინა პირობითი მსჯავრის ქვეშ, ანალოგიურ დანაშაულზე არის მსჯავრდებული და არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის რისკი.

ბრალდებული არის 18 წლის, არის უსახლკარო, ცხოვრობს ქუჩაში და არ გააჩნია შემოსავალი. ბრალდებულმა აღიარა დანაშაული და მხარი დაუჭირა პროკურორის შუამდგომლობას. სასამართლომ დააკმაყოფილა პატიმრობის შესახებ შუამდგომლობა.

- ❖ პირს ბრალად ედებოდა ეკლესიის ეზოში არსებულ საქათმეში შეღწევა და 21 ქათმის მოპარვა (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტები და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი), თითოეულის ფასი – 20 ლარი, მიანი – ჯამში 420 ლარი. პროკურორმა იშუამდგომლა პატიმრობის გამოყენება, რაც იმ გარემოებით დაასაბუთა, რომ პირი წარსულში იყო მსჯავრდებული ქურდობისთვის, არსებობდა მიმალვის და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.

ბრალდებულის ადვოკატმა განმარტა, რომ პირს აქვს მძიმე სოციალური ფონი, აღიარებს დანაშაულს და მოითხოვა გირაო 1000 ლარის ოდენობით. სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა.

16 შემთხვევაში პროკურორმა იშუამდგომლა გირაოს გამოყენება და აქედან 2 შემთხვევაში მოითხოვა გირაოს მინიმალური ოდენობა. აღსანიშნავია, რომ სასამართლო, როგორც წესი, ამცირებდა პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს ოდენობას, ითვალისწინებდა ქმედების ხარისხს და ბრალდებულის სოციალურ მდგომარეობას. 16-დან 12 (75%) შემთხვევაში სასამართლომ გამოიყენა გირაოს მინიმალური ოდენობა.

იხილეთ სოციალური სიდუხჭირის გამო ჩადენილი დანაშაულების მაგალითები, სადაც სასამართლომ გამოიყენა გირაო:

- ❖ პირს ბრალი ედებოდა ქურდობაში (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის ბ ქვეპუნქტი), კერძოდ, ერთ-ერთი აფთიაქიდან 54 ლარის ღირებულების სახის კრემის მოპარვაში. ბრალდებულმა პროცესზე განაცხადა, რომ აღიარებდა დანაშაულს, ხოლო დანაშაულის ჩადენის მიზეზი იყო ის, რომ სურდა სახის კრემის გაყიდვა და, სანაცვლოდ, შვილისთვის საკვები პროდუქტების ყიდვა.
პროკურორმა განმარტა, რომ ბრალდებულს წლების წინაც ჰქონდა ჩადენილი ქურდობა და მიუთითა ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეზე, ხოლო სასამართლოს წინაშე აღკვეთის ღონისძიების სახედ **6000 ლარიანი** გირაოს გამოყენება იშუამდგომლა. სასამართლომ მინიმუმამდე შეამცირა პროკურორის მიერ მოთხოვნილი გირაოს თანხა და ბრალდებულს 1000 ლარიანი გირაოს გადახდა დააკისრა.
- ❖ ორ პირს ბრალად ედებოდა ქურდობის მცდელობა (სსკ-ის მე-19, 177 -ე (2) ა; (3) ა;). კერძოდ, ბრალდების მიხედვით, ისინი შეეცადნენ, ერთ-ერთი კომპანიის ეზოდან მოეპარათ ჯართი. ქურდობის შემთხვევაში, ზიანის ოდენობა იქნებოდა 160 ლარი. ბრალდებულებმა პროცესზე აღნიშნეს, რომ აქვთ მძიმე მატერიალური მდგომარეობა, რაც დანაშაულის მოტივი გახდა. პროკურორმა იშუამდგომლა 4000 ლარის ოდენობით გირაოს გამოყენება თითოეული ბრალდებულის მიმართ, ხოლო სასამართლომ ორივე პირს შეუფარდა 2000 ლარიანი გირაო.

საპროცესო შეთანხმების დადებისას გამოვლენილი ბუნდულობები

საია დაესწრო საპროცესო შეთანხმების დადების შესახებ 20 სხდომას, სადაც ნათლად იკვეთებოდა, რომ ბრალდებულის მიერ ჩადენილი ქმედება გამომდინარეობდა სოციალური გაჭირვებიდან.

დაფიქსირდა 6 შემთხვევა, როდესაც პროკურორს შეეძლო, საერთოდ არ დაეწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და შეეთავაზებინა მხარისთვის განრიდების გამოყენება. თავის მხრივ, სასამართლოს შეეძლო, არ დაემტკიცებინა საპროცესო შეთანხმება ქმედების მცირე მნიშვნელობიდან გამომდინარე.

- პირს ბრალი ედებოდა 21 ლარის ღირებულების ჯართის ქურდობის მცდელობაში (სსკ-ის მე-19; 177-ე მუხლის პირველი ნაწილი). პროცესზე გამოიკვეთა, რომ ბრალდებულს ჰქონდა მძიმე სოციალური მდგომარეობა, მანამდე არ ყოფილა ნასამართლევნი, მის ყოველდღიურ საქმიანობას წარმოადგენდა ურიკით ბარგის გადატანა. საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა შემდეგი პირობებით: 6 თვე თავისუფლების აღკვეთა, რაც ჩაითვალა პირობითად და 1 წელი გამოსაცდელი ვადა.
- ბრალდებულმა მოიპარა შავი ლითონის დეტალები, რითაც დაზარალებულს მიადგა 50 ლარის ქონებრივი ზიანი (სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნაწილი). პირი ადრე ნასამართლევნი არ ყოფილა. საპროცესო შეთანხმებით განესაზღვრა ჯარიმის მინიმალური ოდენობა 500 ლარი, თუმცა, პროცესზე გამოიკვეთა, რომ აღნიშნული თანხის გადახდა, შესაძლოა, ბრალდებულისთვის პრობლემა ყოფილიყო.
- საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება, რომ ერთ-ერთი მეტროს მიმდებარე მაღაზიიდან ბრალდებული შეეცადა, მოეპარა სხვადასხვა სახის პროდუქცია, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენდა 7 ლარს (სსკ-ის მე-19, 177-ე მუხლის პირველი ნაწილი). მოსამართლემ მოითხოვა შესვენება, გავიდა სათათბირო ოთახში და დაბრუნების შემდეგ ბრალდებულს ჰკითხა, იყო თუ არა მისთვის 1000 ლარის ოდენობის ჯარიმა სამართლიანი სასჯელი იმისთვის, რაც ჩაიდინა (7 ლარის ღირებულების პროდუქციის ქურდობის მცდელობა). აღნიშნულზე ბრალდებულმა განაცხადა, რომ სურდა საპროცესო შეთანხმების დადება.

20 შემთხვევიდან 6 შემთხვევაში სასჯელის სახედ გამოყენებული იყო ჯარიმა. ასეთ დროს, როდესაც პირი მძიმე სოციალური ვითარების გამო სჩადის დანაშაულებრივ ქმედებას, სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენება კიდევ უფრო მეტად აუარესებს მის ფინანსურ მდგომარეობას და, შესაძლოა, ახალი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისკენ უბიძგებდეს.

XIII. მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული სხვა საკითხები

თარჯიმნის ყოლის უფლება

საქართველოს კონსტიტუცია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი⁹⁵ და საერთაშორისო კონვენციები,⁹⁶ რომელთა ხელმოწერი მხარეც არის საქართველო, ითვალისწინებს, რომ, თუ პირმა არ იცის სამართალწარმოების ენა, მას უფლება აქვს, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით სახელმწიფოს ხარჯზე.

ამ საანგარიშო პერიოდში საიას მონიტორები დაესწრნენ 87 სასამართლო სხდომას ბოლნისის, ხელვაჩაურის, მარნეულის და გურჯაანის სასამართლოებში. აღნიშნულის მიზანი იყო ეთნიკური ან/და რელიგიური უმცირესობით დასახლებულ პუნქტებში მოქმედ სასამართლოებში არსებული ვითარების შეფასება.

გამოვლენილი ტენდენციები

საია დაესწრო 169 სასამართლო სხდომას, სადაც მიწვეული იყო თარჯიმანი. ზემოაღნიშნული 169 სხდომის გარდა, საიამ დააფიქსირა 3 შემთხვევა, როდესაც პროცესზე იკვებებოდა, რომ ბრალდებულს უჭირდა მოსამართლის ნათქვამის გაგება და ამკარად საჭიროებდა თარჯიმნის დახმარებას.

აღსანიშნავია, რომ 7 შემთხვევაში მოსამართლემ საკუთარი ინიციატივით გამოაცხადა შესვენება, რათა ბრალდებულისთვის თარჯიმანი მიეყვანათ, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

საიამ გამოავლინა 4 შემთხვევა, როდესაც თარჯიმანი ვერ ახერხებდა ბრალდებულისთვის სათანადო თარგმანის უზრუნველყოფას.

⁹⁵ სსსკ-ის 38-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

⁹⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 6.3.

ბრალდებულმა მოითხოვა სრულად თარგმნა, ვინაიდან, მისი თქმით, ქართული ენა სათანადოდ არ ესმოდა. მოსამართლემ მიმართა თარჯიმანს, რომ არ იყო აუცილებელი ყველაფრის თარგმნა. პროცესის მიმდინარეობისას, ბრალდებულსა და თარჯიმანს შორის მოხდა შელაპარაკება. როგორც გაირკვა, ბრალდებულს პრეტენზია ჰქონდა თარგმანთან დაკავშირებით, რადგან თარჯიმანი სათანადოდ ვერ თარგმნიდა ქართულიდან აზერბაიჯანულ ენაზე.

ამის შემდეგაც, ბრალდებულმა სხდომაზე რამდენჯერმე გამოთქვა პრეტენზია თარგმანის ხარისხთან დაკავშირებით, თუმცა, სასამართლოს ამაზე რეაგირება არ ჰქონია.

საჯარო განხილვის უფლება

საჯარო განხილვის უფლება ბრალდებულის და საზოგადოების მნიშვნელოვანი უფლებაა და გარანტირებულია როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კანონმდებლობით. ამ უფლების რეალიზაციისთვის, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს საქმის წარმოების იმგვარად განხორციელება, რომ სხდომაზე დაინტერესებული პირის დასწრების შემთხვევაში, მას არ შეექმნას მიმდინარე პროცესში გარკვევის პრობლემა. გარდა ამისა, სასამართლოს განაჩენი უნდა გამოცხადდეს საჯაროდ, სასჯელის ზომის, შესაბამისი კანონის და ბრალდებულის მიერ მისი გასაჩივრების უფლების მითითებით.⁹⁷

გამოვლენილი ტენდენციები

მონიტორინგმა აჩვენა, რომ, როგორც წესი, საჯარო განხილვის უფლება დაცულია. მონიტორინგის წინა პერიოდების მსგავსად, ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომები არ ცხადდება – 594-დან მხოლოდ 123 (21%) შემთხვევაში გამოცხადდა ინფორმაცია სხდომის ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ.

რაც შეეხება წინასასამართლო და საქმის არსებითად განხილვის სხდომებს, 1635-დან 233 (14%) შემთხვევაში არ გამოცხადდა ინფორმაცია სხდომის თარიღისა და დროის შესახებ. ეს საკმაოდ მაღალი

⁹⁷ სსსკ-ის 277-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

მაჩვენებელია და აუცილებელია, ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად სასამართლომ ყველა საჭირო ზომა მიიღოს.

ბრალდებულის მიმართ ვიზუალურად დამამცირებელი ღონისძიების გამოყენება

უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ერთ-ერთ სახეს პატიმარი ბრალდებულის მიმართ ვიზუალურად დამამცირებელი ზომების გამოყენება წარმოადგენს, ვინაიდან ასეთი ტიპის უსაფრთხოების ზომების დაწესება ტოვებდა შთაბეჭდილებას, რომ ბრალდებულები იყვნენ საშიში დამნაშავეები, რომელთაგანაც საჭირო იყო საზოგადოების დაცვა, რაც ზიანს აყენებდა უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს.⁹⁸ აღნიშნულ საკითხზე ყურადღება გამახვილებულია OSCE/ODIHR-ის სასამართლო მონიტორინგის ანგარიშში. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს, რომ ნებისმიერ პირს, რომელსაც ბრალი ედება დანაშაულში, უნდა მოეპყრონ უდანაშაულობის პრეზუმფციის შესაბამისად. ეს გულისხმობს, რომ „ბრალდებულები, ჩვეულებრივ, არ უნდა შებოჭონ ბორკილებით, არ უნდა ჩასვან საკანში სასამართლო პროცესების მსვლელობისას და არ უნდა წარმოადგინონ სასამართლოს წინაშე, როგორც საშიში დამნაშავეები“.⁹⁹

ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის რამდენიმე გადაწყვეტილებაში ეხება სასამართლო პროცესზე ბრალდებულისადმი მოპყრობის იმგვარ საკითხებს, რომლებმაც, შესაძლოა, საზიანოდ იმოქმედოს უდანაშაულობის პრეზუმფციაზე და გამოიწვიოს პირისთვის დამამცირებელი გარემოების შექმნა. მაგალითად, ერთ საქმეზე დადგინდა, რომ სასამართლო პროცესზე ბრალდებულთა მოსათავსებლად რკინის საკნების გამოყენებამ „შესაძლოა, აფიქრებინოს ჩვეულებრივ მაყურებელს, რომ იგი არის უკიდურესად საშიში დამნაშავე“.¹⁰⁰ სხვა საქმეზე სასამართლომ დაასკვნა, რომ ასეთი ზომის დაწესება ვერასოდეს გამართლდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით, რადგან ეს წარმოადგენს ღირსების შემლახველ მოპყრობას.¹⁰¹

⁹⁸ OSCE/ODIHR, სასამართლო მონიტორინგის ანგარიში, საქართველო, პ.108.

⁹⁹ ზოგადი კომენტარი N32, ციტატა ნაშრომიდან, შენიშვნა 113, პარ. 30.

¹⁰⁰ ფირუზიანი სომხეთის წინააღმდეგ, ECtHR, 26 ივნისი, 2012, პარ 73.

¹⁰¹ რამიშვილი და კობრიძე საქართველოს წინააღმდეგ, ECtHR, 27 იანვარი, 2009,

გამოვლენილი ტენდენციები

წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, შემცირებულია პატიმარ ბრალდებულებთან მიმართებით ვიზუალურად დამამცირებელი ღონისძიების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი. თუმცა, საიამ დააფიქსირა, რომ არსებითად საქმის განხილვის სხდომებზე 435 შემთხვევაში ბრალდებული პროცესზე წარმოდგენილი იყო პატიმრის სტატუსით, აქედან 117 (27%) შემთხვევაში გამოყენებული იყო პატიმრის გალიაში განთავსება.¹⁰²

მთელ რიგ შემთხვევებში ბრალდებულის მიმართ ზემოაღნიშნული ღონისძიების გამოყენება, შესაძლოა, უკავშირდებოდეს უსაფრთხოების დაცვას. თუმცა, პროცესებზე ნაკლებად რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ის რისკები, რომლებიც შეიძლება ამგვარი ღონისძიების გამოყენების საფუძველი გახდეს, ინდივიდუალურ დონეზე იყო გამოძილი და შეფასებული. კერძოდ, ბრალდებულების ქცევა არ იყო სასამართლოსთვის შეუფერებელი ან აგრესიული, ასევე, არ იკვეთებოდა ნასამართლობის კომპონენტი ან სხვა გარემოება, რაც პოტენციური საფრთხის მაჩვენებელი იქნებოდა.

117-დან 32 ბრალდებულს, რომელიც გალიაში იყო მოთავსებული, ჩადენილი ჰქონდა არაძალადობრივი დანაშაული და დამარალებულ მხარეს არ წარმოადგენდა კონკრეტული პირი (ნარკოტიკული დანაშაული/იარაღის ტარება). 32-ვე შემთხვევაში ბრალდებულები არ იქცოდნენ გამომწვევად, აგრესიულად ან/და არ გამოხატავდნენ უპატივცემლობას სასამართლოს მიმართ.

მსგავსი ღონისძიებების გამოყენება ყოველგვარი ინდივიდუალური გარემოებების შეფასებისა და საფრთხის სათანადოდ გაზომვის გარეშე ხდება მაშინ, როდესაც ასეთი ზომები მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა იყოს დაშვებული, როდესაც არსებობს ბრალდებულის მხრიდან გაქცევის მცდელობის ან სხვა არამართლზომიერი ქმედების განხორციელების აშკარა და რეალური საფრთხე.

პარ. 100-101, სადაც სასამართლომ გააკრიტიკა საბრალდებო სკამების გისოსებით შემოზღუდა და „სპეციალური დაცვის“ ყოფნა საჯარო განხილვაზე დასაბუთების გარეშე. ასევე, ადამიანის უფლებების კომიტეტის No. 1405/2005 გადაწყვეტილება, მიხაილ პუსტოვოიტი უკრაინის წინააღმდეგ. იხ. პარ. 9.2, 9.3 და 10, სასამართლომ მიიჩნია, რომ რკინის საკნის გამოყენება არღვევდა მე-7 და მე-14 (30 (ბ)) მუხლებს ICCPR-ის მე-14 (1) მუხლთან ერთად.

¹⁰² წინა საანგარიშო პერიოდში პატიმრობის დაწესებულებიდან წარდგენილი იყო 350 პირი, ხოლო აქედან 140 (40%) მოთავსებული იყო ე.წ. გალიაში.

დასკვნა და რეკომენდაციები

წინამდებარე ანგარიშმა ცხადყო, რომ სისხლის სამართალწარმოება ხარვეზებით მიმდინარეობს, თუმცა, გარკვეულ საკითხებში შეინიშნება გაუმჯობესებული მიდგომებიც.

ანგარიშმა აჩვენა, რომ პრობლემები, რომლებიც **ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომებზე** არსებობდა, კვლავინდებურად სახეზეა. კერძოდ, სასამართლო, როგორც წესი, იყენებს **ალკვეთის ღონისძიების** ორ სახეს – გირაოს და პატიმრობას. ამასთან, შეინიშნება პროკურატურის მხრიდან პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებლის ზრდის ტენდენცია და კრიტიკულად მაღალია სასამართლოს მხრიდან პატიმრობის მოთხოვნის დაკმაყოფილების მაჩვენებელი. სასამართლო მონიტორინგის არსებობის განმავლობაში, პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი ამ საანგარიშო პერიოდზე მაღალი იყო მხოლოდ 2011-2012 წლებში, როდესაც სასამართლო ყველა (100%) შემთხვევაში აკმაყოფილებდა პროკურატურის შუამდგომლობებს პატიმრობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ გამრდილი პატიმრობის დაუსაბუთებლად/ნაწილობრივ დაუსაბუთებლად გამოყენების მაჩვენებელიც.

მკვეთრად არის გამრდილი პირველი წარდგენის სხდომაზე დაკავებულის სტატუსით წარდგენილი ბრალდებულების რაოდენობა. ასეთ დროს კი, კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასამართლოს მხრიდან **დაკავების კანონიერებაზე** სასამართლო კონტროლის განხორციელებას. სამწუხაროდ, ამ საანგარიშო პერიოდშიც, უმრავლეს შემთხვევებში, სასამართლომ ყურადღება არ დაუთმო დაკავების კანონიერების შემოწმებას.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდში შემცირებულია სასამართლო სხდომებზე ბრალდებულთა მხრიდან **წამებასა ან/და არასათანადო მოპყრობასთან** დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები. წამების აკრძალვა ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლებაა, რომელსაც აბსოლუტური ხასიათი გააჩნია. თითოეული ასეთი ფაქტი სახელმწიფოს მკაცრ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს. საიას შეფასებით, დროულად უნდა ამოქმედდეს ცვლილება, რომლითაც მოსამართლეს ეძლევა უფლებამოსილება, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ წამების, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობის განხორციელების ან შესაძლო განხორციელების შემთხვევაში, შესაბამის საგამოძიებო უწყებას მიმართოს.

წინასასამართლო სხდომებზე, ერთეული გამონაკლისის გარდა, არც ამ საანგარიშო პერიოდში გამოვლენილა მოსამართლეთა მიკერძოებული ან არაობიექტური დამოკიდებულება რომელიმე მხარის მიმართ. ამასთან, საგრძნობლად მოიმატა დაცვის მხარის აქტიურობამ მტკიცებულებების დასაშვებობის მოთხოვნის ნაწილში. პრობლემურ საკითხად რჩება გადაუდებელი აუცილებლობით ჩასატარებელი **ჩხრევა/ამოღების** საგამონაკლისო წესის პრაქტიკაში ძირითად წესად ქცევა, რაც საგამოძიებო ორგანოების მხრიდან თვითნებობის შესაძლებლობას ზრდის.

მონიტორინგმა აჩვენა, რომ **საპროცესო შეთანხმების** სხდომების მიმდინარეობისას სასამართლო კიდევ უფრო იშვიათად მსჯელობს სასჯელის კანონიერებასა და სამართლიანობაზე. გამოვლინდა შემთხვევები, როდესაც ბრალდების მხარე მხოლოდ შუამდგომლობის სარეზოლუციო ნაწილს წარმოადგენდა. ზოგჯერ პროკურორს თავად სასამართლო მოუწოდებდა, ამგვარად მოქცეულიყო და დაცვის მხარეც ეთანხმებოდა, რაც ობიექტური დამკვირვებლის თვალში პროცესს ფორმალურ ხასიათს სძენდა.

საქმის არსებითი განხილვის სხდომებზე დაკვირვებამ გამოავლინა არაერთი შემთხვევა, როდესაც პროცესები ჭიანურდებოდა, კერძოდ, სხდომები დაგვიანებით იწყებოდა ან, საკმაოდ ხშირად, გახსნისთანავე ხდებოდა მათი გადადება. საიამ დააიდენტიფიცირა შემთხვევები, როდესაც დარღვეული იყო კანონით გათვალისწინებული საქმის განხილვის და გადაწყვეტილების გამოტანის 24-თვიანი ვადა. ყოველივე ზემოთქმული კი, ვნებს სასამართლოს იმიჯს, ავტორიტეტსა და რეპუტაციას.

საანგარიშო პერიოდში ბრალდებულის პირველი წარდგენის სხდომებზე დაკვირვებისას გამოიკვეთა, რომ მკვეთრად არის გაზრდილი ოჯახური დანაშაულების პროცენტული მაჩვენებელი, რაც სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დანაშაულის გამოვლენის გაზრდილ რაოდენობაზე მიუთითებს. მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურა უფრო მეტად ცდილობდა, დაესაბუთებინა მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, საიამ გამოავლინა შემთხვევები, სადაც იკვეთებოდა, რომ მხოლოდ სახელმწიფოს მკაცრი პოლიტიკა განაპირობებდა პროკურატურის მხრიდან პატიმრობის მოთხოვნას. აღსანიშნავია, რომ ამ საანგარიშო პერიოდში კიდევ უფრო იშვიათად ხდებოდა ოჯახური დანაშაულის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმება. ასევე, გამკაცრებულია ოჯახურ

დანაშაულთან მიმართებით სასჯელის სახეები, კერძოდ, გამზრდილია თავისუფლების აღკვეთის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი.

რაც შეეხება **ნარკოტიკულ დანაშაულებს**, პროცესების მონიტორინგმა ცხადყო, რომ ასეთ საქმეებზე აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული ვირაოსა თუ სასჯელის სახით გამოყენებული ჯარიმის ოდენობები საგრძნობლად აღემატება სხვა ტიპის დანაშაულებზე შეფარდებული ვირაოსა თუ ჯარიმის საშუალო ოდენობას.

სასამართლო სხდომების მონიტორინგი და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები აჩვენებს, რომ ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით არსებული კანონმდებლობა ხარვეზიანია და საჭიროებს მოწესრიგებას. საკონსტიტუციო სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებამ¹⁰³ კიდევ უფრო მეტად ცხადყო, რომ აუცილებელია ე.წ. ნუსხის განახლება, სადაც განისაზღვრება ადეკვატური ოდენობები საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად (ერთჯერადი მოხმარების ოდენობა, მცირე, დიდი, განსაკუთრებით დიდი ოდენობა). ასევე, აუცილებელია სასჯელის ნაწილის გადახედვა. ზემოაღნიშნული ცვლილებების განხორციელება უზრუნველყოფს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი მინიმალური სტანდარტის დაკმაყოფილებას.

საია იმედოვნებს, რომ ანგარიშში გამოვლენილი დადებითი ტენდენციები გაგრძელდება, ხოლო მონიტორინგის შედეგად იდენტიფიცირებული ხარვეზები დროთა განმავლობაში გამოსწორდება. სწორედ ამიტომ საიამ შეიმუშავა კონკრეტული რეკომენდაციები შესაბამისი უწყებებისთვის.

საერთო სასამართლოებს:

- მოსამართლეებმა შესაბამის შემთხვევებში უფრო ხშირად უნდა გამოიყენონ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებები (ალტერნატიული ღონისძიებები, პატიმრობისა და ვირაოს გარდა), ან საერთოდ უარი თქვან აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე, როდესაც პროკურორი ვერ ასაბუთებს მისი გამოყენების აუცილებლობას. ასევე, სასამართლოებმა უნდა მოითხოვონ პროკურა-

¹⁰³ სარჩელის დასახელება: საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 1/6/770; 2.08.2019.

ტურისგან აღკვეთის ღონისძიების შუამდგომლობის უფრო მეტი დასაბუთება და მტკიცების ტვირთი უნდა დააკისრონ ბრალდების მხარეს;

- პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს აღკვეთის ღონისძიების მიზნებს. უპირატესობა ყოველთვის უნდა მიანიჭონ უფლების შეზღუდვის შედარებით მსუბუქ ფორმას;
- ბრალდებულებს, რომლებსაც ადვოკატი არ ჰყავთ, მოსამართლეებმა სრულყოფილად უნდა განუმარტონ აღკვეთის ღონისძიების ყველა სახე და მათი გამოყენების შესაძლებლობა. მოსამართლეებმა უფრო მეტი აქტიურობა უნდა გამოიჩინონ და საკუთარი ინიციატივით გამოარკვიონ, შესაძლებელია თუ არა გირაოსა და პატიმრობაზე უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიების შეფარდება;
- სასამართლო სხდომაზე, რომელზეც განიხილება აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის გადასინჯვის საკითხი, აუცილებელია, მოსამართლემ დაასაბუთოს პატიმრობის ძალაში დატოვების საჭიროება;
- საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას მოსამართლეები მეტად უნდა გააქტიურდნენ და დაამტკიცონ მხოლოდ სამართლიანი და კანონიერი საპროცესო შეთანხმებები, რათა არ არსებობდეს ეჭვი სასჯელისა და დანაშაულის პროპორციულობასთან დაკავშირებით;
- პროცესის გაჭიანურების თავიდან აცილების მიზნით, სასამართლომ სიღრმისეულად უნდა გამოიკვლიოს მხარის დაგვიანებისა თუ გამოუცხადებლობის საფუძვლები და, არასაპატიო მიზეზის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენოს კანონით გათვალისწინებული სანქციები;
- მოსამართლეებმა, იმ შემთხვევაში, როდესაც მიიჩნევენ, რომ კონკრეტული ქმედებისთვის გათვალისწინებული სასჯელის ზომა აშკარად აღემატება ქმედების უმართლობის ხარისხს და ამით ირღვევა კონკრეტული პირის კონსტიტუციური უფლება, გამოიყენონ კანონით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილება და გადაწყვეტილების მიღებამდე წარდგინებით მიმართონ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

საქართველოს პროკურატურას:

- სრულყოფილად დაასაბუთონ კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა, მათ შორის, განმარტონ, რატომ ვერ უზრუნველყოფს სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიების შეფარდება შესაბამის მიზნებს;
- დაასაბუთონ მოთხოვნილი გირაოს ოდენობა და შეისწავლონ ბრალდებულის ქონებრივი და მატერიალური შესაძლებლობები;
- გამოძიებისა და ბრალდების ორგანოებმა მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ჩაატარონ ჩხრეკა და ამოღება სასამართლოს წინასწარი ნებართვის გარეშე, გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით;
- ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე პროკურატურამ ყველა შესაძლო საშუალებით გამოიკვლიოს, ხომ არ იყო დანაშაული ჩადენილი გენდერის ნიშნით ან სხვა შეუწყნარებლობის მოტივით. თუკი ასეთს ჰქონდა ადგილი, პროკურატურამ სასამართლო სხდომამზე უნდა ისაუბროს დანაშაულის დისკრიმინაციული მოტივის შესახებ;
- საპროცესო შეთანხმების გაფორმების დროს სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს დამარალბულის პოზიციას და სხდომამზე გააჟღეროს ინფორმაცია დამარალბულთან კონსულტაციისა და მის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესახებ;
- გამოიყენოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება და დანაშაულის მცირე მნიშვნელობის შემთხვევაში უარი თქვას სისხლისსამართლებრივ დევნაზე ან/და შესთავაზოს ბრალდებულს განრიდება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი სავარაუდო დანაშაულის ჩადენის მოტივია მძიმე სოციალური ფონი, ბრალდებული არ არის ნასამართლევი, ხოლო ბიანი, რომელიც დადგა, არის მცირე მნიშვნელობის.

საქართველოს პარლამენტს:

- აუცილებელია საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველ ნაწილში და ძირითადი აღკვეთის ღონისძიების სახეების რაოდენობის გაზრდა;

- კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს დაკავების კანონიერების განხილვის მექანიზმები და პროცედურები. უნდა განისაზღვროს მოსამართლის ვალდებულება, პირველი წარდგენის სხდომაზე ყოველთვის შეამოწმოს დაკავების კანონიერება როგორც წინასწარი ნებართვის არსებობის შემთხვევაში, ისე გადაუდებელი აუცილებლობის დროს;
- კანონმდებლობით უნდა მოწესრიგდეს სსკ-ის ნარკოტიკული დანაშაულის თავი და, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, უნდა დაწესდეს ადეკვატური სასჯელები.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას:

- აუცილებელია, რომ ადვოკატებმა საქმის განხილვის ყველა ეტაპზე კვალიფიციურად, აქტიურად და დამაჯერებლად განახორციელონ ბრალდებულთა დაცვა. ამ მიზნით, ადვოკატთა ასოციაციამ უნდა უზრუნველყოს მათი პერმანენტული გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება სისხლის სამართალწარმოების სხვადასხვა სფეროში (მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების სტანდარტებთან დაკავშირებით, მტკიცებულებათა მოპოვებისა და დასაშვებობის წესებთან მიმართებით და ა.შ.);
- ადვოკატებმა უნდა გამოავლინონ მაღალი ეთიკურობა პროცესის მონაწილეების, განსაკუთრებით, დაუცველი ჯგუფების მიმართ. მათი საქმიანობა არ უნდა იყოს სტერეოტიპული და სტიგმის შემცველი.